მინისძვრის შედეგების ლიკვიდაციას, შესაძლოა, თბილისელების რამდენიმე თაობა „მოესწროს„ A3

რუსთავის საქმის ბრალდებული ჩვენებას ცვლის A7

როგორ გავიგოთ, არის თუ არა გურამ შარაძე რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი და აქვს თუ არა ამას მნიშვნელობა? A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 10 ივლისი, 2002 წელი. №38

ფასი 50 თეთრი

## სამშვიდობო ძალები ნარკოტიკების ბიზნესით არიან დაკავებულნი

ვერიკო თევზაძე

*ნარკოტიკები ინტენსიურად გადააქვთ რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მთელ მონაკვეთზე, მათ შორის, მდინარე ფსოუს ხიდზეც. ამ საქმიანობაზე კონტროლს სომხები აწარმოებენ (ისინი არიან კურიერებიც, გამყოლებიც და ა. შ.), რეალიზატორთა ფართო ქსელიც, ძირითადად, სომხებით არის დაკომპლექტებული. სანდო წყარომ "24 საათს" აუწყა, რომ აფხაზეთში ნარკობიზნესში, სხვებთან ერთად, გუდაუთელი საეკლესიო პირიც არის გარეული.*

ჩვენთვის ცნობილი გახდა რამდენიმე რეალიზატორის ვინაობა. მათ შორის არიან: სოფელ ქვემო შილოვკაში მცხოვრები **ვლადიმერ და აშოტ მარქარიანები, მელიკ ოგანიანი,** გაგრელები: **ხაჩიკ ბარსემიანი, სურიკ ატაკიანი, რაზმიკ კირაჯიანი** და **სერგო სურგელიანი,** სოფელ ხეივანში მცხოვრები **სერგო ტერზიანი** და ვინმე **სუიუმჩევი,** ქალაქ ჩერკასკიდან.

აფხაზეთიდან რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, კრასნოდარის მხარეში გატანილი ნარკოტიკები სოჭიდან ბარჟებითა და ავტომანქანებით გადააქვთ ნოვოროსიისკსა და როსტოვში, ამის შემდეგ იგი რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში ვრცელდება. სოხუმიდან ზღვით ნარკოტიკები

გაგრძელება A3 გვერდზე

## „საქართველოს პრეზიდენტი ასლან აბაშიძეს ხელს უშლის..."

თამარ ხორბალაძე

ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა პირველად განაცხადა, რომ აფხაზეთის კონფლიქტში საკუთარი წარმომადგენლის, ასლან აბაშიძის პოზიციებს ბოლომდე არ იზიარებს. იგი გაემიჯნა მოსაზრებას აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმების თაობაზე. იქვე თქვა, რომ აბაშიძის მიერ საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი ინიციატივის გახმოვანებაში მას ეჭვი ეპარება.

ასეთი განცხადებით შეიქმნა თავად ქვეყნის ხელისუფალის მიერ საკუთარი წარმომადგენლის, ასლან აბაშიძის მიერ წარმოებული სამშვიდობო მოლაპარაკებების კრიტიკის პრეცედენტი, რასაც "აღორძინებისგან" საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა.

"24 საათთან" საუბარში ვალერი გელბახიანმა და გიორგი თარგამაძემ განაცხადეს, რომ მსგავსი პოზიციის არსებობა საქართველოს ხელისუფლებამ კარგა ხანია, იცოდა.

საკითხის კომენტირებისას ვალერი გელბახიანმა აღნიშნა:

**- მსგავსი მოსაზრება, ჩვენ მიერ, უკვე რამდენიმე წელია გახმოვანებულია. ჩვენ შევთავაზეთ, რომ დროებითი სტატუსი ჩადებულიყო კანონში, არ გაიზიარეს. დღეს კი არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც საქმიანობს**

გაგრძელება A3 გვერდზე

# კავკასია დროთა მიჯნაზე

## მიუნხენელი ქართველი რეჟისორი და კავკასიური დრო

B5



*კადრი ფილმიდან*

ქართულ-ოსური დღე სმოლენსკის მოედანზე A2

მიხეილ სააკაშვილი: "ნანული შევარდნაძე ხაჩიშვილს ციხეში წერილებს სწერდა" A2

ბაზი იქნება! თუმცა, მხოლოდ საჩვენებელი A3

"ყველაზე კარგი რომანი" და "ახალი" სიძე A6

ვინც ამ კანონის წინააღმდეგია, ნარკომაფიის წინააღმდეგი არ არის A6

მკვლელობაში ბრალდებულთა უპრეცედენტო განაჩენი A7

მერილინ მონროს პორტრეტისათვის B2

ცხელი ვახშამი და კამერული გამოთხოვება საფრანგეთთან B4

რას ფიქრობს ჩივაძე კოლეგა-კონკურენტზე B6

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | ☼ |
| ქუთაისი | 33 | ☼ |
| ბათუმი | 32 | ☼ |
| სოხუმი | 32 | ☼ |
| ფოთი | 33 | ☼ |
| თელავი | 31 | ☼ |
| ზუგდიდი | 34 | ☼ |
| გორი | 29 | ☼ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2150 |
| ევრო | 2.1904 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4153 |
| რუბლი | 0.0701 |

## ჯორბენაძე ძალოვან მინისტრებს შეექიდა

თამარ ხორბალაძე

გუშინ ავთანდილ ჯორბენაძემ ძალოვანი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შედეგების განხილვის დროს წამოჭრა.

**"უცხოელი მოქალაქეების გაუთავებელი გატაცებები უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო გარემოზე,"** - ასეთი გახლდათ პასუხისმგებლობის თემის გახმოვანების ოფიციალური ლოგიკა.

გუშინ ერთგვარად გამართლდა ის მოლოდინი, რომელზეც საქართველოს უშიშროების მინისტრი "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჯერ კიდევ 30 ივნისს საუბრობდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სამმხრივ ოპერაციაზე საუბარი არ ყოფილა

საქართველოში გუშინ დაიწყო და სამ დღეს გასტანს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, ვლადიმირ რუშაილოს ვიზიტი. ამას წინ უძღოდა რუსი წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუშაილოს ვიზიტი გამიზნული იყო პანკისის ხეობაში დაგეგმილი სამმხრივი ოპერაციის მოსამზადებლად.

საქართველოს პრეზიდენტმა კი წინა დღით განმარტა, რომ არ აპირებს არც ერთი უცხო ძალის გამოყენებას პანკისის ხეობაში.

გუშინ საქართველოში ჩამოსული რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საკითხის კომენტირებისას ზოგადი ინფორმაციით შემოიფარგლა. მან განაცხადა, რომ კონსულტაციები შეეხო საქართველოსა და რუსეთისათვის მნიშვნელოვან თითქმის ყველა თემას, მათ შორის - პანკისსაც და ანტიტერორისტულ საქმიანობასაც. განხილულ იქნა რუსეთის და საქართველოს კანონდამცველი სტრუქტურების შეთანხმებული მოქმედების საკითხებიც.

როგორც საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ დააზუსტა, შეხვედრაზე არ ყოფილა საუბარი ერთობლივ ოპერაციაზე პანკისის ხეობაში.

ვიზიტის განმავლობაში რუშაილო შეხვდა უშიშროების მინისტრს, დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, სახელმწიფო მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან.

## 62 მილიონი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის გარეთ დარჩა

სოფო კვინტრაძე

*ბიუჯეტში მორიგი გარღვევა სახელმწიფო კანცელარიაში ეკონომიკური ბლოკის მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას იწვევს. სახელმწიფო მინისტრმა, ავთანდილ ჯორბენაძემ ქვეყნის ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების ხელმძღვანელები შეკრიბა, ივნისის თვის ბიუჯეტის შედეგების განსახილველად. 11,6 მილიონი ლარი – ივნისის თვის ბიუჯეტის გარღვევა - სახელმწიფო მინისტრის აღშფოთების მიზეზი გახდა. გუშინვე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსმა, რომან გოცირიძემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც ბიუჯეტის ექვსი თვის შედეგები წარმოადგინა. იანვრიდან ივნისის ჩათვლით სახელმწიფო ბიუჯეტში 62,89 მილიონი ლარის გარღვევაა, რის გამოც რომან გოცირიძე პესიმისტურ დასკვნებს აკეთებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე



*ვლადიმირ რუშაილო და თედო ჯაფარიძე*

ბესო გულაშვილის ფოტო

## კონტრაბანდასთან ბრძოლაში მთავრობას მხოლოდ ამინდი ეხმარება

გვანცა კვინიკაძე

*კონტრაბანდასთან ბრძოლას საქართველოში, რამდენიმე წელიწადია, უმაღლესი ხელისუფლები თავიანთ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნევენ. ამავე დროს, ქვეყანაში მოქმედი კარგად აწყობილი კონტრაბანდული სქემები, ბევრი ექსპერტისთვის ნათელს ხდის, რომ ეს სქემები, სწორედ ამ ხელისუფალთა ჩარევის გარეშე, ვერ იმუშავებდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ივნისი წყალდიდობის გამო რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალი ჩაკეტილი იყო, საქართველოს ბაზარს უერგნეთობა არ დამჩნევია: კონტრაბანდული საქონელი კვლავაც უხვად იყო წარმოდგენილი სამომხმარებლო ბაზარზე, გარკვეულ შეფერხებაზე მხოლოდ საქონლის 10-20 პროცენტით გაზრდილი ფასები მიანიშნებდა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა დაფიქსირდა ნავთობპროდუქტების კონტრაბანდასთან დაკავშირებით, რაც, ზოგი შეფასებით, 15 პროცენტით გაიზარდა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის მოსახლეობისთვის გაზის მიწოდების აღდგენა დღეიდან, ეტაპობრივად თბილისის სამგორის რაიონიდან დაიწყება.

მოსახლეობა გაზს 10 აგვისტომდე მიიღებს, რისთვისაც "საქგაზს" წინასწარ 950 ათასი ლარი გადაუხადეს.

აუცილებელია, ამ პერიოდში დღემდე მოხმარებული გაზისათვის მოსახლეობამ დავალიანება - მილიონ 800 ათასი ლარი გადაიხადოს, რათა შესაძლებელი გახდეს 10 აგვისტოს შემდეგ გაზის მიწოდების გაგრძელება.

როგორც გაზგამანაწილებელი კომპანია "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა **ვახტანგ ცაავამ** აღნიშნა, აუცილებელია თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის ეტაპობრივი რეაბილიტაცია, რადგან ტექნიკური მიზეზებით ქალაქის რიგ უბნებში გაზის მიწოდების აღდგენა შეუძლებელია.

■ ■ ■

**თბილისი. ისრაელის კომპანია "ტაჰალი" "თბილგაზის" 85 პროცენტის შესყიდვის პირობად გაზზე სამომხმარებლო ტარიფის არსებული 27 თეთრიდან 50 თეთრამდე გაზრდას ითხოვს, რაც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის განცხადებით, "აბსოლუტურად მიუღებელია".**

**აღნიშნულ ტარიფში "ტაჰალი" თავისი წილის განსაზღვრას 30 თეთრით ითხოვს. "ტაჰალის" მოთხოვნაზე დათანხმების შემთხვევაში, მოსახლეობისათვის გაზის მოხმარება არარენტაბელური გახდება, მის გამოყენებაზე უარს იტყვის და ზამთარში ელექტროენერგიით გათბობას ამჯობინებს.**

**სახელშეკრულებო პროექტით, "ტაჰალი" ვალდებულებას იღებს "თბილგაზის" სარეაბილიტაციოდ 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელოს.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მაცხოვრებლებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით საკითხის საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა დონეზე დასმასა და სამართლიანობის მიღწევას აპირებს.

"რუსეთი არ მალავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, აფხაზეთში თავისი მოქალაქეების დასაცავად, შესაძლოა, საქართველოს საშინაო საქმეში ჩაერიოს, - თქვა საქართველოს საგანგებო საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ - ანალოგიური ვითარებაა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რუსეთის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებითაც" - აღნიშნა მან.

მალხაზ კაკაბაძის თქმით, აფხაზეთში დღეისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციით, დაახლოებით 150 000 ადამიანი ცხოვრობს. თბილისში არსებობს მონაცემები, რომლითაც აფხაზეთის 50 ათასმა მაცხოვრებელმა რუსეთის მოქალაქეობა უკვე მიიღო.

■ ■ ■

**ოზურგეთი.** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანებით, ოზურგეთის რაიონის პოლიციის უფროსი ეროტი გორდელაძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. განთავისუფლების ბრძანებაში ამ გადაწყვეტილების მოტივი მითითებული არ არის. კონფიდენციალურ საუბარში პოლიციელები გორდელაძის გათავისუფლების მიზეზად თბილისში გასულ კვირას მომხდარ მკვლელობას ასახელებენ, რომელიც ოზურგეთის რაიონის სოფელ ბოხვაურში მცხოვრებმა გიორგი კალანდაძემ ჩაიდინა. ამ უკანასკნელზე 1996 წლიდან რესპუბლიკური ძებნა იყო გამოცხადებული და იგი ოზურგეთის რაიონის პოლიციის უფროსის მფარველობაში მყოფი მისი პირადი მძღოლის ბიძაშვილი აღმოჩნდა.

■ ■ ■

**კოდორი.** განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მალხაზ კაკაბაძე** აცხადებს, რომ რუს სამშვიდობოთა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა კოდორის ხეობის რეგულარული პატრულირება სავსებით საკმარისია ამ რეგიონში არსებული რეალური ვითარების შესასწავლად.

"კოდორის ხეობაში დსთ-ს ეგიდით მოქმედ სამშვიდობოთა მუდმივმოქმედი პოსტის გახსნას არცერთი დოკუმენტი არ ითვალისწინებს, მათ შორის მოსკოვის 1994 წლის შეთანხმება, რომლითაც" მოსკოვი და სოხუმი აპელირებენ" - განაცხადა მან.

გაეროს გენერალური მდივნის ახალ სპეციალურ წარმომადგენელთან ხეიდი ტელიავინთან, მიმდინარე კვირას დაგეგმილ შეხვედრაზე სოხუმი კოდორის ხეობაში რუს სამშვიდობოთა მუდმივმოქმედი პოსტის გახსნის საკითხის წამოწევას აპირებს, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან იმყოფებიან.

■ ■ ■

**თბილისი.** ისან-სამგორის რაიონის საფოსტო განყოფილების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ "მკვდარ სულებზე" 16.500 ლარზე მეტი საპენსიო თანხა იყო გაწერილი.

ყველა პენსიონერს, რომელიც საქართველოდან მუდმივად საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში მიდის, საპენსიო ფონდი დავალიანებას უსტუმრებს. სწორედ მათთვის განკუთვნილი პენსია - 6.500 ლარზე მეტი 20 წლის წინათ გარდაცვლილ ადამიანებზე გაცემულად იყო ნაჩვენები.

■ ■ ■

**ქუთაისი.** თემურ შაშიაშვილი კატეგორიულად მოითხოვს ზესტაფონის "ფეროს" დირექტორატის მთლიანი შემადგენლობის განთავისუფლებას.

გუბერნატორის განცხადებით, უახლოეს დღეებში თანამდებობას დატოვებს "ფეროს" გენერალური დირექტორი ნიკა ამბოკაძე, საკადრო ცვლილებები იქნება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაშიც. "ფეროს" ძირითადი პარტნიორი ინგლისური ფირმა "როინლი" იზიარებს შაშიაშვილის მოსაზრებას.

■ ■ ■

**გორი.** კახელ პედაგოგთა ექსკურსია გორში, გუშინ საკმაოდ უსიამოვნოდ დასრულდა.

სტალინის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად შესულ პედაგოგებს და მძღოლს მიკროავტობუსი გატაცებული დახვდათ. მიკროავტობუსში ხელჩანთები, პროდუქტი და სხვადასხვა ნივთები ჰქონდათ. მიმდინარე ოპერატიული ღონისძიების მიუხედავად ავტობუსის ადგილსამყოფელი და გამტაცებლების ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

სამართალდამცავების ერთ-ერთი ვერსიით გამორიცხული არ არის გატაცებული მიკროავტობუსი ცხინვალის მიმართულებით იყოს გადაყვანილი.

გორში უტრანსპორტოდ დარჩენილი პედაგოგები კახეთში გორის დარცხვენილმა პოლიციამ გაამგზავრა.

■ ■ ■

**თბილისი.** კლიპმეიკერმა ბასა ფოცხიშვილმა ახლახან დაასრულა მუშაობა ძველი სიმღერის ახალ კლიპზე, რომელიც მერაბ სეფაშვილისა და უცნობის მიერ შესრულებულ სიმღერაზე გადაიღო. საყოველთაოდ ცნობილი ქართული რომანსი „ისევ შენ და ისევ შენ" უცნობმა გაარემიქსა.

■ ■ ■

**ბაქო.** აშშ-ის პროგრამა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გაუვნებელყოფის შესახებ მოიცავს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის გამნაღმველების მომზადებას ამერიკის სპეცდანიშნულების რაზმის სამხედრო მოსამსახურეების მიერ.

ამერიკელთა სპეცრაზმის, გამნაღმველი ჯარების, "ფსიქოლოგიური ოპერაციების" ქვედანაყოფების 30 სამხედროსაგან შემდგარი ჯგუფი აზერბაიჯანის ფიზულის რაიონში უკვე შეუდგა ადგილობრივი გამნაღმველების სწავლების პროცესს.

სწავლება ტარდება სომხურ-აზერბაიჯანული შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დარჩენილი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გაუვნებელყოფის პროგრამის ფარგლებში.

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი "ჩარჩო" ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეებისა და თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი თბილისში სიტყვა "ანექსიის" გარკვევის წინადადებით გამოვიდა. (შეგახსენებთ, აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი პრეზიდენტმა შევარდნაძემ ანექსიას შეადარა.)

ბორის პასტუხოვმა, რომელმაც აღნიშნული მოლაპარაკებისას ქართული დელეგაციის ხელმძღვანელთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან თბილისში კონსულტაციები დაასრულა, განაცხადა, რომ "პრინციპული და მნიშვნელოვანი" მომენტები განიხილეს.

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის თავდაცვის სამინისტრო "ილუზიას" უწოდებს საქართველოს პრეზიდენტის პრეტენზიებს სსრკ-ს შეიარაღებაზე.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს თბილისის პრეტენზიებს საბჭოთა კავშირის შეიარაღების ნაწილზე, რომელიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოდან გაიტანეს. ამგვარი პრეტენზიები სინამდვილეს არ შეესაბამება და არ დასტურდება არანაირი საკანონმდებლო აქტით - განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრ კოსოვანმა.**

■ ■ ■

**აფხაზეთი.** აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ქართული მხარე უკავშირებს აფხაზური მხარის თანხმობას, განიხილოს გაეროს გენმდივნის ყოფილი სპეცწარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ მომზადებული დოკუმენტი თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე.

აფხაზეთში რკინიგზის ფუნქციონირების აღდგენით დაინტერესებას გამოთქვამენ ასევე რუსეთი და სომხეთი.

აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებაში რეალური ძვრების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია იქნება სხვა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პროექტების განხილვა, მათ შორის - აფხაზეთის გავლით ნავთობის ტრანზიტის შესახებ.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ვადაგასული წამლები გამოჩნდა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრმა" „ბავშვთა სამყაროს" სავაჭრო სახლის პირველ სართულზე და ბაზრობის ტერიტორიაზე შეძენილი მედიკამენტების ანალიზი ჩაატარა.

63 დასახელების მედიკამენტიდან სტანდარტს შეესაბამებოდა მხოლოდ ცხრა, 15 ვადაგასული იყო, 12 ფალსიფიცირებული, 35 დასახელების მედიკამენტი კი საერთოდ არ არის რეგისტრირებული.

„არარეგისტრირებული და ვადაგასული მედიკამენტების შესაფუთი მასალა მტვრიანი და ჭუჭყიანია, დაკარგული აქვს სასაქონლო სახე, რის გამოც, შესაძლებელია, მისი შემძენი პათოგენური მიკროორგანიზმებით დაავადდეს", — ნათქვამია ლაბორატორიულ დასკვნაში.

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილავიამშენი" კავკასიის მასშტაბით ვერტმფრენების სარემონტო ცენტრის შექმნას აპირებს.

ქარხნის ტერიტორიაზე ამჟამად ერთი ქართული ვერტმფრენი დგას, რომელსაც სარემონტო სამუშაოები უნდა ჩაუტარდეს. აგვისტოს ბოლოს "თბილავიამშენში" ამერიკასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ხუთადგილიან ამერიკულ ბიზნეს კლასის ორ თვითმფრინავს ააწყობენ. გარდა ამისა, "თბილავიამშენმა" თურქმენეთს 24 თვითმფრინავი უნდა გაურემონტოს.

ცნობილია, რომ საქართველო თურქმენეთის ბუნებრივ აირს მოიხმარს და ვალი აქვს. "თბილავიამშენში" თვითმფრინავების სარემონტო სამუშაოები ამ ვალის დასაფარად სრულდება.

# ჟორჟბენაძე ძალოვან მინისტრებს შეექიდა

პირველი გვერდიდან

ამით, ასევე, დადასტურდა კანცელარიის კულუარებში კარგა ხნის მანძილზე მორარული ეჭვი, ჯორბენაძის მიერ ძალოვანი მინისტრების "მოშორების სურვილის" თაობაზე.

სახელმწიფო მინისტრს, დღევანდელი კანონმდებლობით, ძალოვანი მინისტრები არ ემორჩილებიან და, შესაბამისად, მათი გადაყენების ინიცირების უფლებაც არ აქვს.

სხვათა შორის, თავად მინისტრთა კაბინეტის ის პროექტიც, რომელიც თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა, ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში ტოვებდა.

ანუ, მსგავს უფლებას მოკლებული იქნებოდა თავად პრემიერ-მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც, პარლამენტს მისთვის ეს პოსტი რომ დაემტკიცებინა.

ასეთ საკანონმდებლო ნიუანსებს გუშინ სახელმწიფო მინისტრისთვის ძალოვანების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაში ხელი არ შეუშლია.

წინასწარი ინფორმაციით, მთავრობის დღევანდელ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტი არჩევანის წინაშე დადგება. დღეს იგი ან ანგარიშს გაუწევს სახელმწიფო მინისტრს, გადააყენებს ძალოვანებს და ამით ავთანდილ ჯორბენაძეს პრემიერ-მინისტრზე მეტ უფლებას გაუნაღდებს, ან... ან ამ ინიციატივაზე უარის თქმით მიანიშნებს, რომ პრემიერ-მინისტრზე მაღლა მხოლოდ პრეზიდენტი დგას.

# მიხეილ სააკაშვილი: „ნანული შევარდნაძე ხაჩიშვილს ციხეში წერილებს სწერდა„

ვერიკო თევზაძე

*მიხეილ სააკაშვილს გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს პირველი ლედისა და ხაჩიშვილის წერილების შინაარსი არ გადმოუცია. მან, სამაგიეროდ, დეტალურად გაგვაცნო ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის მიმართვა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისადმი.*

სააკაშვილის თქმით, იგი შეხვდა პოლიციის მაღალჩინოსნებს, რომლებიც შევარდნაძის მიერ გადადგმული ნაბიჯის გამო იმედგაცრუებულნი არიან. **"თუ გავიხსენებთ იმ დროს, როცა "მხედრიონელები" პოლიციელებს თავიანთ კაბინეტებში უმოწყალოდ სცემდნენ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა საშიშროების წინაშე დგანან ჩვენი სამართალდამცავები "მხედრიონის" ხელახალი რეანიმაციით."**

სააკაშვილმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ ხაჩიშვილი ციხეში საშინლად იქცეოდა, რომ მისი გათავისუფლება, მინიმუმ, ათი წელი მაინც არ შეიძლებოდა. მიხეილ სააკაშვილის აზრით, შევარდნაძე და მისი გარემოცვა არის დესტაბილიზაციის მთავარი წყარო. **"საქართველოში მიმდინარეობს გასამხედროებული ბანდიტური შენაერთების ხელახალი აღზევების პროცესი. მთავრობამ გადაწყვიტა, ეს ფორმირებები გამოიყენოს ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის. პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ სამართალდამცავი ორგანოები მას არ დაეხმარება ანტიხალხური, კანონიერებისა და დემოკრატიის წინაღმდეგ მიმართული აქტების განხორციელებაში და ამიტომაც დახმარებისთვის მიმართა ბანდიტებს. შევარდნაძის მთავრობას სურს, გააუქმოს ადგილობრივი არჩევნების შედეგები და შეტევაზე გადავიდეს ოპოზიციისა და დემოკრატიული ფასეულობების წინააღმდეგ."**

სააკაშვილი ირწმუნება, რომ მას მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოება როდი აღელვებს. მის "შეწუხებას" შევარდნაძე "მხედრიონის" გარეშეც მოახერხებდა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, შევარდნაძეს "მხედრიონი" ბიზნესმენთა "გამოსაწველად" და მოსახლეობის დასაშინებლად უფრო სჭირდება. **"მხედრიონი" მოსახლეობას დაემუქრება: "თუ ცხვირს გარეთ გამოყოფ და ქუჩაში გამოხვალ, გესვრი, როგორც ამას 1993 წელს ვაკეთებდი! მათ თუ სურთ, ნებისმიერ მოსახლეს შეუვარდებიან სახლში..."**

მიხეილ სააკაშვილს არ გაუკვირდება, თუ საქართველოს პრეზიდენტი იგორ გიორგაძის რეაბილიტაციასაც მოახდენს: **"ხაჩიშვილთან შედარებით, გიორგაძე ინგლისური ჯენტლმენების კლუბის საპატიო წევრია."**

ნაციონალური მოძრაობა–დემოკრატიული ფრონტი ქართველ სამართალდამცავებს მოუწოდებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილონ დანაშაულებრივ ბრძანებებს, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ისინი, რათა **"არ მიეცეს შევარდნაძეს დესტაბილიზაციის და სამოქალაქო დაპირისპირების შესაძლებლობა."**

**კომენტარი: როგორც ყოფილი გავლენიანი მხედრიონელები აცხადებენ, "მხედრიონის" რეანიმაციაზე საუბარი სისულელეა. მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ პრეზიდენტის მეთაურობით დაძაბულობის ახალი ხელოვნური კერა შექმნა და პროვოკაციაზე წამოაგო პოლიტიკური ძალები. მათი აზრით, ვითარების ზედმეტი დრამატიზება უმნიშვნელო ფიგურებს მომავალში მართლა ძალად აქცევს.**

# ქვემო ქართლის დეპუტაცია ლევან მამალაძის ინტერესებს იცავს

თამარ მჭედლიშვილი



*"პროკურატურაც ჩაბმულია ამ პროცესებში და ასრულებს ამ ძალების პოლიტიკურ შეკვეთას"* ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლევან მამალაძის ირგვლივ ატეხილ კრიმინალურ სკანდალს, გუშინ საპარლამენტო ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" გამოეხმაურა. მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის დიდი დამსახურებისა და ღვაწლის აღნიშვნის შემდეგ, ფრაქციის წევრები უკვე ანტიმამალაძისეული კამპანიის დამკვეთებზე ალაპარაკდნენ.

**- ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის, რომ 2 ივნისს საარჩევნო ბიულეტენების დატაცების საქმის ძიებაში აქტიურად არიან ჩაბმული დაინტერესებული პოლიტიკური ძალები და ფიგურები, რომლებიც წინასწარვე ქმნიან საზოგადოებრივ აზრს ამ საქმის გარშემო, ზეწოლას ახდენენ ძიებაზე და გარკვეული მიმართულებით უბიძგებენ მას, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ განვაცხადოთ: პროკურატურაც ჩაბმულია ამ პროცესებში და ასრულებს ამ ძალების პოლიტიკურ შეკვეთას,"** - აცხადებენ ფრაქციის წევრები.

გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელსაც ფრაქციის აზერბაიჯანელი წევრებიც ესწრებოდნენ, ერთგვარ გაფრთხილებას ჰგავდა, რომელიც, დაახლოებით, ასე უნდა აღქმულიყო: მხარეში აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები ერთად, ძმურად ცხოვრობენ, რიგდება პენსიები და ხელფასები, მუშაობს საწარმოები. ამ ფონზე, მოსახლეობა არ დაუშვებს პროვოკატორების შეჭრას რეგიონში და იქ ვითარების დაძაბვას.

"პროვოკატორებში" "ალიანსელები" "ნაციონალურ მოძრაობას" და ჟვანიას გუნდს გულისხმობენ. **"კარგად ვხედავთ იმასაც, რომ შემთხვევითი არ იყო ბიულეტენების გატაცების თემის აგორება, იმ სკანდალური ვითარების ფონზე, რომელიც სრულიად ხელოვნურად შექმნეს ქვემო ქართლის რწმუნებულის გარშემო ჩვენმა კოლეგა-პარლამენტარებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაკეთებული, აშკარად ტენდენციური, არასამართლებრივი და არასამართლიანი განცხადებებით. ეს ვითარება უკვე გადაიზარდა პრეზიდენტის მიმართ წაყენებულ ულტიმატუმებსა და მუქარებში, რომ დაიწყებენ მასობრივ გამოსვლებს რუსთავსა და ქვემო ქართლის რეგიონში. ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ მთელ რიგ პოლიტიკურ ჯგუფებსა და მათ ლიდერებს ქვემო ქართლის რეგიონში აქვთ თავიანთი სუბიექტური, პოლიტიკური თუ ფინანსური ინტერესები. ამის მიუხედავად, მაინც არ გვეგონა, რომ საქართველოს ბედით შეწუხებული პატრიოტების მანტიით შემოსილი პოლიტიკოსები ასე ღიად და უპასუხისმგებლოდ მოეკიდებოდნენ ისეთ სათუთ საკითხს, როგორიც არის ქვემო ქართლში სტაბილურობის შენარჩუნება,"** - განაცხადა ფრაქციის თავმჯდომარემ, ირაკლი გოგავამ.

ერთი სიტყვით, პარლამენტში ლევან მამალაძის მხარდამჭერი ძალა კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ მამალაძის წინააღმდეგ გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე ჟვანია-სააკაშვილის დაკვეთით მოქმედებენ. მათთვის ყველაზე მომგებიანი არგუმენტი, რაღა თქმა უნდა, რეგიონის სპეციფიკური ხასიათია. ამის გათვალისწინებით, მრავალეროვანი ფრაქციის განცხადებებიც საკმაოდ მკვეთრი და მუქარის შემცველია: **"ქვემო ქართლის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ რეგიონში სტაბილურობის, სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება, პირველ რიგში, ედუარდ შევარდნაძის დამსახურებაა, ასევე, ქვემო ქართლში მისი რწმუნებულის, ლევან მამალაძის გონივრული მართვისა და ადამიანური დამოკიდებულების შედეგი. გვინდა, ყველასათვის გასაგები გავხადოთ, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა არ აპირებს, ვინმეს გაათელინოს ეს მთავარი მონაპოვარი და ახლა, საქართველოსთვის გადამწყვეტ მომენტში, არ აჰყვება სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ავანტიურულ გეგმებს, რომელთა უკან იოლად იკითხება არაკეთილმოსურნეთა მცდელობა, არიონ ვითარება რეგიონშიც და მთელ საქართველოში, წაართვან ქვეყანას ისტორიული შანსი",** - ასეთ ერთობლივ განცხადებას აკეთებენ ფრაქციის წევრები.

# ქართულ-ოსური დღე სმოლენსკის მოედანზე

რუსიკო ნიკურაძე

საკ. კორ. მოსკოვში

რუსეთის სამშვიდობო მისია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ყოფნის 10 წლის იუბილეს აღნიშნავს. გაუგებარია, ასეთი გადაწყვეტილების მიღებას რატომ დასჭირდა მოსკოვში პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი წარმომადგენლის, ბატონი ირაკლი მაჭავარიანის ვიზიტი. რუსი სამხედროები ე.წ. სამხრეთ ოსეთში საკუთარ მხედრულ იუბილეს აღნიშნავენ - მხარეთა დაშორიშორებაში ათი წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებსა და იქ საქართველოს იურისდიქციის დასრულების დასაწყისს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა, **მიხეილ მაიოროვმა** გუშინ 24საათისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ირაკლი მაჭავარიანთან მოლაპარაკებები გრძელდება და განიხილავენ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ბლოკს. მაიოროვის თქმით, **სამხედრო დაფინანსების საკითხებზე არ მსჯელობენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების შეთანხმებას.**

კომისიის სხდომის მონაწილეები კონფლიქტის ზონაში რუსი სამხედროების დატოვების უკვე გადაწყვეტილ საკითხზე დუმილს ამჯობინებენ. მათი იქ ყოფნის საიუბილეო თარიღის 10 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნაზე, ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახური ოფიციალურად იტყობინება.

მაიოროვმა ისიც გვითხრა, რომ **მოლაპარაკებებისას აზრთა სხვადასხვაობას ადგილი არ აქვს და ყველაფერი ზედმეტი მღელვარების გარეშე მიმდინარეობს .**

ქართულ-ოსური მოლაპარაკებები მოსკოვში ალანიის პრეზიდენტის, ძასოხოვის ფხიზელი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს - შერეული კომისიის სხდომას ძასოხოვის პირადი წარმომადგენელი თეიმურაზ კუსოვი ესწრება. მაჭავარიანთან ერთად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოლაპარაკებების მაგიდას უზის ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგანგებო დავალებათა დე-ფაქტო ელჩი ბორის ჩოჩიევიც.

შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომის დაწყებამდე ბატონმა მაიოროვმა 24 საათს განუცხადა, რომ **ოფიციალური მოსკოვი დაინტერესებულია ომის დროს სამხრეთ ოსეთში დარღვეული ინფრასტრუქტურის აღდგენით, ლტოლვილების დაბრუნებით და მთელი რიგი ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებით.**

ერთი სიტყვით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკუთარ კონტროლზე აჰყავს ქართულ-ოსური ზონაც. აფხაზეთთან საქმე ხომ, ასე თუ ისე, გარკვეულია. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ სამხრეთ-ოსეთის ეკონომიკური აღმავლობის პროექტს სოლიდურ ფინანსურ დახმარებას ჩრდილოეთ ოსეთის ბიზნეს-ელიტაც აღმოუჩენს. მთელ ამ პროცესში მეტად საინტერესო როლი ითამაშა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომელმაც მოსკოვში ნიადაგი მოამზადა და მოულოდნელად გაქრა, ესტაფეტა კი რჩეულიშვილს გადაულოცა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული-საკონტროლო კომისიის სხდომამ ადრე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაცია მოიწონა და კმაყოფილება გამოთქვა, საქართველო-რუსეთის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში, ქართულ-ოსურ მხარეებს შორის გაფორმებული ეკონომიკური პროექტით - "2002-2007 წლებში ალანია-მცხეთა-თიანეთის რეგიონს შორის ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის" შესახებ. ამისათვის რუსეთის პარლამენტის ძლიერი ოსური ლობი ვახტანგ რჩეულიშვილს ემადლიერება, რადგან, სენატორ კადოხოვის სიტყვებით, **ამ კაცს არავისი პოლიტიკური ბოღმა არ კლავს და თავისი ქვეყნის მომავალი აწუხებს."**

სმოლენსკის მოედანზე მდებარე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღლივ შენობაში, ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებს ესწრებოდნენ ეუთო-ს, ევროკომისიისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები - ალბათ იმიტომ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა ამ პროცესში მოსკოვს ოსურ ზონაში ადამიანის უფლებების დაურღვევლობის გარანტიის დეკლარირებისათვის სჭირდება. გუშინვე ივანოვის უწყების სტატს-მდივანს, ვალერი ლოშჩინინს შეხვდა და ესაუბრა ეუთოს მისიის მეთაური საქართველოში უ. მ. ლაკომბო. ჟურნალისტებისათვის ცნობილი გახდა, რომ ამ შეხვედრაზე განიხილეს რუსეთ-ეუთო-ს თანამშრომლობის საკითხები ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში.

ასეა თუ ისე, მოსკოვში მიმდინარე ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებზე ძირითადი ადგილი მაინც ორგანიზაციულ საკითხებს დაეთმო.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# გაზი იქნება!
## თუმცა, მხოლოდ „საჩვენებელი„

გიორგი ასანიშვილი

- უახლოს დღეებში თბილისი ბუნებრივ აირს მიიღებს, - არწმუნებდა დეპუტატებს ფრაქცია "დემოკრატების" გაფართოებულ სხდომაზე მიწვეული "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ ბურკიაშვილი. თუმცა, მის დაპირებას აღფრთოვანებაში არავინ მოუყვანია: ყველამ კარგად იცის, რომ "ცისფერი ალის" ციალი დიდხანს არ გასტანს და ალტერნატიული ენერგეტიკული საშუალებების ძიება მალე ისევ საჭირო გახდება.

პარლამენტარები გუშინ ბევრს ეცადნენ, დაედგინათ, თუ საიდან იღებს სათავეს გაზით მომარაგებაში არსებული პრობლემები, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - ისინი მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდნენ: ზოგი ენერგეტიკის მინისტრისკენ იშვერდა ხელს, ზოგი - დედაქალაქის მერიისკენ, ზოგი - "საქგაზისკენ"...

პარადოქსია, მაგრამ, თუ ბურკიაშვილის ნათქვამს ვირწმუნებთ, ენერგეტიკის სამინისტროში არ არსებობს პიროვნება, რომელიც გაზით უზრუნველყოფის საკითხებს გაუწევს კურირებას. "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმითაც არის უკმაყოფილო, რომ ენერგეტიკის სარეაბილიტაციოდ დიდძალი თანხები გამოიყოფა, მაგრამ იქიდან გაზმომარაგებაზე ერთი ცენტიც არ იხარჯება. ამასობაში კი თავად "თბილგაზი" სულს ღაფავს - ამ ორგანიზაციის დავალიანებამ 83 მილიონ ლარს მიაღწია და ეს კომპანია, ფაქტობრივად, უკვე გაკოტრებულია. მიუხედავად ამისა, პარლამენტარ მიხეილ მაჭავარიანის თქმით, "თბილგაზს", როგორც



"ეს იგივეა, ერთი კილოგრამი შაქარი რომ იყიდოთ და სახლში მხოლოდ 400 გრამი მიიტანოთ" ლევან ხერხეულიძის ფოტო

თაფლს, ისე ეტანებიან შემმოწმებლები. დეპუტატს ასევე საეჭვოდ ეჩვენება ის გარემოებაც, რომ სემეკის მიერ "ნებადართული" 13-პროცენტიანი საწარმოო დანაკარგები, ხშირად 60 პროცენტამდეც კი ადის.

**"ეს იგივეა, ერთი კილოგრამი შაქარი რომ იყიდოთ და სახლში მხოლოდ 400 გრამი მიიტანოთ,"** - ასე დაასურათხატა სიტუაცია საგადასახადო შემოსავლების ყოფილმა მინისტრმა, რომელმაც გუშინდელი განხილვის დროს მთავარი ოპონენტის როლი იკისრა. შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალს მაჭავარიანი იმაში ხედავს, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ მთლიანად აიღოს პასუხისმგებლობა იმ კონტრაქტების გაფორმებაზე, რომლებიც გაზით მომარაგებას შეეხება.

მისგან განსხვავებით, ჯემალ ბურკიაშვილი ამტკიცებს, რომ სიტუაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოსწორდება, თუ სისტემა ფიქსირებული გადახდის პრინციპს დაუბრუნდება, ამ ეტაპზე კი იგი აუცილებლად მიიჩნევს წინასწარი გადახდის პრაქტიკის მასობრივად დანერგვას.

"თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ამ განცხადებამ "დემოკრატები" ძალიან გააოცა. **"რად გინდათ წინასწარი გადახდა, დავალიანების მქონეებს გადაუჭერით მილები და საკითხიც ამოიწურება,"** - უფასო რჩევებს იძლეოდნენ პარლამენტარები, თუმცა, საეჭვოა, რომ "თბილგაზის" ხელმძღვანელობამ ისინი გაითვალისწინოს.

ჯემალ ბურკიაშვილი დეპუტატებმა კიდევ ერთხელ მაშინ მიიმწყვდიეს კუთხეში, როდესაც საუბარი მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოსახლეობისთვის გაზის მიწოდების საკითხს შეეხო. "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯიუტად ამტკიცებდა, ეს ტექნიკურად შეუძლებელიაო, მაგრამ კონკრეტული მიზეზების დასახელებისგან თავს იკავებდა...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაზით მომარაგების მოჯადოებულ წრეში შეღწევა და, მით უფრო, მისი გარღვევა, "ტრადიციულად", ვერც გუშინ მოხერხდა. სანუგეშოდ მხოლოდ ის რჩება, რომ მალე გაზი ისევ იქნება (სასწაულები კიდევ ხდება!). მართალია, დაბალი წნევის გამო, როგორც პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე შენიშნავს, ის მხოლოდ "საჩვენებლად" თუ გამოდგება, მაგრამ სულ არაფერს, ეს მაინც სჯობია.

# მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციას, შესაძლოა, თბილისელების რამდენიმე თაობა „მოესწროს„

გიორგი ასანიშვილი

*25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრით გამოწვეული ზარალი 400 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს და, თუ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია დღევანდელი ტემპებით გაგრძელდება, რეაბილიტაციის პროცესი, მინიმუმ, ერთ საუკუნეს გასტანს. თბილისელებს თავისი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ამბავი კარგად მოეხსენებათ და ასეთი ხანგრძლივი აღმშენებლობისთვის მზად არ არიან. ლამის ქვეყნის მთელი წლის ბიუჯეტისოდენა თანხის ერთბაშად მოძიება კი შეუძლებელია.*

ასეთი ჩიხური მდგომარეობის ფონზე შედარებით დამაიმედებლად გამოიყურება ვიცე-სპიკერ გიგი წერეთლის ინიციატივა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: დედაქალაქის მერიამ და საქართველოს მთავრობამ უნდა შექმნან ერთობლივი მიზნობრივი პროგრამა და მისი შესრულების მყარი გარანტიები ჩაიდოს თბილისისთვის ახალი საგადასახადო რეჟიმის დაწესებაში. ეს რეჟიმი აჭარის ანალოგიური იქნება - საშემოსავლო და მოგების გადასახადის 99 პროცენტი ადგილზე დარჩება, ისევე, როგორც დამატებითი ღირებულების გადასახადის გარკვეული ნაწილი, დაახლოებით, 10-15 პროცენტი. ასეთი მიდგომით, ყოველწლიურად 30-40 მილიონი ლარის აკუმულირება მოხერხდება და ეს სახსრები მთლიანად მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციას მოხმარდება.

**"წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დაპირებებისა და პათეტიკის დონეზე დარჩება. ქალაქის მერიის მიერ გაღებული მიზერული სახსრები საქმეს ვერ უშველის. არჩევნების პერიოდში გარკვეული თანხები პოლიტიკურმა პარტიებმა და ცალკეულმა პიროვნებებმაც გაიღეს, მაგრამ ესეც ზღვაში წვეთია. მიწისძვრით დაზარალებულები გარკვეულ შვებას, ისიც რამდენიმე წლის შემდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევაში იგრძნობენ, თუ მიზნობრივი პროგრამა განხორციელდება,"** - აცხადებს გიგი წერეთელი.



"მიწისძვრით დაზარალებულები გარკვეულ შვებას რამდენიმე წლის შემდეგ იგრძნობენ" ლევან ხერხეულიძის ფოტო

მიწისძვრის შედეგად შექმნილი ვითარების მთელი სიმძიმე ნათლად წარმოჩნდა ფრაქცია "დემოკრატების" გუშინ გამართულ გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც, ამ ფრაქციის წევრების გარდა, ესწრებოდნენ თბილისის გამგებლები და მაჟორიტარი დეპუტატები, დედაქალაქის საკრებულოს წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

580 ოჯახი დღემდე ქუჩაშია დარჩენილი; დაახლოებით 13 ათასი საცხოვრებელი სახლი მიეკუთვნება დაზიანების მეორე და მესამე (მძიმე და უმძიმეს) კატეგორიას; 202 საშუალო სკოლიდან, 45 საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებს; სავალალო მდგომარეობაშია საზოგადოებრივი დანიშნულების არაერთი ნაგებობა.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, აკაკი ზოიძის თქმით, სახელმწიფოს შეუძლია, რომ უბინაოდ დარჩენილები წელსვე დააკმაყოფილოს. პარლამენტარ ელენე თავდორაძეს კი ამაში სერიოზულად ეპარება ეჭვი და იხსენებს, რომ 1991 წელს რაჭასა და ზემო იმერეთში მომხდარი მიწისძვრის დროს დაზარალებულთაგან ბევრი დღემდე "ვაგონჩიკებში" ცხოვრობს. ფრაქციის გუშინდელ სხდომაზე აღმასრულებლებისა და კანონმდებლების ასეთი "შეტაკება" გამონაკლისი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავყრილობაზე განსხვავებული პოლიტიკური ხედვის მქონე პერსონები იყვნენ წარმოდგენილნი, საკითხის პოლიტიზაცია მაინც არ მომხდარა და შეკრებას საკმაოდ კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა. იგი ზოიძის ოპტიმისტური განცხადებებით დაგვირგვინდა.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სხდომის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ საშუალო სკოლები სასწავლო წლის დაწყებას მზადყოფნაში შეხვდებიან, ხოლო იმ შვიდი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაშია, სხვა სკოლებში გადანაწილდებიან. ზოიძის ოპტიმიზმს, ეტყობა, ის გარემოება განაპირობებს, რომ პირველ აგვისტოს, მსოფლიო ბანკი, მიწისძვრის შედეგად დაზარალებული საზოგადოებრივი შენობების შესაკეთებლად, 10 მილიონ დოლარს გამოყოფს და ეს სახსრები, თითქმის მთლიანად, საშუალო სკოლების რეაბილიტაციას მოხმარდება. შედარებით მცირე სახსრებით საქართველოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც დაეხმარებიან, თავად ქალაქის მერია კი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესაკეთებლად 2,3 მილიონ ლარს გაიღებს.

აკაკი ზოიძის განცხადებით, სექტემბრისთვის ნავარაუდევია საბიუჯეტო ცვლილებები და მის ფარგლებში მიწისძვრით დაზარალებულთათვის 1,5 მილიონი ლარის გამოყოფა, რომელსაც პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ადრე შეპირებული მილიონი ლარიც დაემატება.

საგადასახადო შემოსავლების ყოფილ მინისტრს, მიხეილ მაჭავარიანს, კარგად მოეხსენება, თუ რა ემართება ხოლმე წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტს. მოსალოდნელმა სეკვესტრმა რომ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო თანხები არ იმსხვერპლოს, მაჭავარიანი სთავაზობს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს — ზემოაღნიშნული სახსრები, ცენტრალურის ნაცვლად, ჩაირიცხოს დედაქალაქის ბიუჯეტში.

კანცელარიიდან წამოსულ დაპირებებს სხვა დეპუტატებიც ეჭვის თვალით უყურებენ და აცხადებენ, რომ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზე ზედამხედველობა მომავალშიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

# „გია ჭანტურიას მკვლელები პოლიტიკურ გემოვნებაზე დავობენ„

ვერიკო თევზაძე

*"შევარდნაძე, რომელსაც არანაირი პოლიტიკური დასაყრდენი არ გააჩნია, "მართვადი ქაოსის" პოლიტიკას იწყებს," – ასეთია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის, ირაკლი ქადაგიშვილის პოზიცია.*

არანაირი შეწყალება - ხაზგასმით აღნიშნავენ ედეპელები - ეს არის შევარდნაძის განკარგულება! ისინი საქართველოს პრეზიდენტისგან პასუხს მოითხოვენ კითხვაზე: ვინ გაათავისუფლა (და არა შეიწყალა) მან – ტერაქტის ორგანიზატორები, გია ჭანტურიას მკვლელები, თუ ციხეში "ბეჯითად მოღვაწე" ადამიანები?

ეროვნულ-დემოკრატები, რომელთაც არ ავიწყდებათ, რომ ჟვანია და სააკაშვილი მათი ოპონენტები არიან, **"არ დაუშვებენ შევარდნაძის მიერ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისათვის მიუღებელი მექანიზმების ამოქმედებას, მნიშვნელობა არ აქვს - ეს ჟვანია-სააკაშვილის ჩასაძირად იქნება გამიზნული, თუ მათ გასაძლიერებლად."**

ედპ-ს წარმომადგენელთა განცხადებით, გათავისუფლებულ პატიმართა სატელევიზიო კრიტიკა სწორედ ჟვანია-სააკაშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. გია ჭანტურიას თანაგუნდელებში მწარე სინანულს იწვევს ის ფაქტი, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი ლიდერის მკვლელები ღია ეთერში პოლიტიკურ გემოვნებაზე ბაასობენ.

ედპ მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ: **"ჩვენ ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის მზად ვართ, რადგან ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც პრეზიდენტი მკვლელებს და ტერაქტის ორგანიზატორებს ციხიდან ღია ეთერისაკენ აძლევს მწვანე შუქს. გამოდის, რომ ეს პრეზიდენტი კი არა, ხონთქარი ყოფილა."**

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეშფოთებას გამოეხმაურნენ "გაერთიანებული დემოკრატები". ისინი სოლიდარობას უცხადებენ პარტიას, რომელსაც უშუალოდ შეეხო პოლიტიკური ტერორი და აცხადებენ, რომ ყველა პოლიტიკურ ძალასთან, მათ შორის - ოპონენტებთანაც, ითანამშრომლებენ, რათა არ დაუშვან პოლიტიკური ტერორის რეანიმაცია.

# სამშვიდობო ძალები ნარკოტიკების ბიზნესითა არიან დაკავებული

პირველი გვერდიდან

გააქვთ თურქეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

ერთ-ერთი ქართული სპეცსამსახურის წარმომადგენელმა "24 საათს" განუცხადა, რომ აფხაზეთში ნარკობიზნესში დაკავებულ გავლენიან პირებს შორის ასახელებენ **ლევან და პაშა (იგივე "პაშკა") არძინბებს** და გუდაუთის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელს, **ბესიკ ფილიას.**

აფხაზეთში პროსტიტუციის ბიზნესიც არის გაჩაღებული. უკრაინიდან და რუსეთის ფედერაციიდან აქ ჩაყვანილ ქალებს, ისევე, როგორც ადგილობრივ ახალგაზრდებს, თურქეთში ამგზავრებენ. ისინი, ძირითადად, თურქული საზღვაო ტრანსპორტით გადაჰყავთ. სანდო წყარო იუწყება, რომ უცხოეთში გაყვანამდე, ქალებს თავს უყრიან სოხუმში და იქ, დროებით, თურქულ გემებზე აცხოვრებენ. ამ ხნის განმავლობაში გემი საროსკიპოს ფუნქციას ასრულებს. ამ პერიოდში მეძავებს ერთგვარი სტაჟირების გავლის საშუალება ეძლევათ.

პროსტიტუციის ბიზნესში გარეულნი არიან სოხუმის ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოები. "24 საათის" მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ საქმით აქტიურად არის დაკავებული ოჩამჩირის პოლიციის თანამშრომელი კახა პერტაია.

აფხაზეთში პროსტიტუციის ბიზნესში წარმატებით საქმიანობს ყოფილი "ბოევიკი" ეკა ახალაია. შეგახსენებთ, რომ ეს ქალბატონი ლეონის ორდენის სამივე ხარისხის კავალერია. ახალაიას ემსახურება 25-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება. მათ, ძირითადად, 16-19 წლის რუსი და სომეხი ეროვნების გოგონებით დაკომპლექტებული ჯგუფები გადაჰყავთ თურქული გემებით. თითო ჯგუფში 5-7 გოგონა ირიცხება.

აფხაზეთში პროსტიტუციისა და ნარკოტიკების ბიზნესი ყვავის. უკანასკნელ პერიოდში ნარკოტიკების რეალიზატორთა არეალი საგრძნობლად გაფართოვდა.

წლეულს, მაისის ბოლო რიცხვებში სოხუმის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციამ დააკავა გუდაუთის სამხედრო ნაწილის მოსამსახურე, ზემდეგი სერგეი ბაიკოვი, რომელსაც დიდი რაოდენობით მარიხუანა აღმოაჩნდა. ნარკობიზნესში გარეული არიან სამშვიდობო ძალები, ისინი ამაზე შესანიშნავად ითბობენ ხელს.

ნარკოტიკების გადაზიდვაში საქმოსნებს დიდ სამსახურს უწევს ბომბორას აეროდრომი, ოღონდ, რასაკვირველია, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი აეროდრომის ხელმძღვანელობას სოლიდურ თანხას ჩაუთვლიან...

# „საქართველოს პრეზიდენტი ასლან აბაშიძეს ხელს უშლის..."

პირველი გვერდიდან

**ეს ხელისუფლება. ეს არის არალეგიტიმური, უკანონო ხელისუფლება.**

- პრეზიდენტმა გუშინ განაცხადა, რომ არ იზიარებს მსგავს მოსაზრებას...

**- თუ პრეზიდენტისა და ასლან აბაშიძის შეხედულებები განსხვავდება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში, მაშინ, ასე არ გამოვა საქმე. ასლან აბაშიძე არ არის ის ადამიანი, რომ ძალად იღებდეს ვალდებულებებს.**

- თქვენ განსხვავებას ხედავთ?

**- როგორ ვერ ვხედავ. ასლან აბაშიძე, მაგალითად, ამბობს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება არის ეტაპობრივი პროცესი, რომელიც უნდა განხორციელდეს მშვიდობიანი გზით. ლეგიტიმურს რომ ვეძახით, აფხაზეთის ის ხელისუფლება, ამ პოლიტიკის საპირისპიროდ, ომის გარდა სხვა მეთოდს არ ცნობს. საქართველოს ერთი გუბერნატორი გაიძახის, რომ პარტიზანული მოძრაობა უნდა დაიწყოს. შევარდნაძე კი არც ერთს აპირებს და არც მეორეს... ეს ძალიან ჰგავს კრილოვის იგავ-არაკს. ასეთი არათანამიმდევრული პოლიტიკის პირობებში, არც ასლან აბაშიძე არ ისურვებს ამ საქმის გაგრძელებას.**

გიორგი თარგამაძე "24 საათთან" საუბარში კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ შევარდნაძე ამ მიმართულებით ასლან აბაშიძის აქტიურობას ყოველთვის ხელს უშლიდა:

**- პრეზიდენტის განცხადება ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტის დარეგულირების შესახებ პრეზიდენტისა და აბაშიძის ხედვა სერიოზულად განსხვავდება ერთმანეთისგან. შეიძლება ასეთი შეთანხმების მცდელობა იყო, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. აბაშიძე და "აღორძინება" ამ საკითხს ორი წლის განმავლობაში აყენებდა, მათ შორის - საპარლამენტო ტრიბუნიდანაც. მე, პირადად, ძალიან მიკვირს, რომ ამან ახლა გამოიწვია ასეთი გაკვირვება. ჩვენ კარგა ხანია ვამბობთ, რომ დღევანდელ სიტუაციაში ლეგიტიმური ხელისუფლება დამამუხრუჭებელ როლს თამაშობს.**

- პრეზიდენტის გუშინდელი განცხადება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ასლან აბაშიძე მომავალში პრეზიდენტის წარმომადგენლის როლში, შესაძლოა, აღარ მოგევლინოს?

**- თუ გაიზრდება რაოდენობა იმ მიდგომებისა, რომელშიც პრეზიდენტისა და აბაშიძის პოზიციები იქნება განსხვავებული, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ პრეზიდენტის წარმომადგენლად ასლან აბაშიძის ყოფნის საკითხი ეჭვქვეშ დადგება. თუმცა, აქვე იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ამ პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის, მაინცადამაინც, პრეზიდენტის მანდატი არ არის აუცილებელი. მას ასეთი მანდატი უკვე მიანიჭა ლტოლვილთა უმრავლესობამ. თანაც იგი სერიოზული პარტიის და ავტონომიის ლიდერია. ამიტომ არა პრეზიდენტის წარმომადგენლის რანგში, მაგრამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეეძლება კვლავ აკეთოს მსგავსი და სხვა განცხადებები.**

- დღეს საამისო ფონს ხედავთ?

**- დღეს, მე თუ მკითხავთ, ძალიან ბევრი მიზეზია საიმისოდ, რომ ასლან აბაშიძემ თავად თქვას უარი პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსზე. მას შემდეგ, რაც იგი ამ სტატუსით აღიჭურვა, დაიწყო მთელი კასკადი მოვლენებისა, რომლებიც პროვოცირებული და მართული იყო საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების მიერ. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ხელისშემშლელი ფონის შექმნა სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის. შეგახსენებთ, ბატონი ასლანი ამ სტატუსით აღიჭურვა გასული წლის შემოდგომაზე, რაც დაემთხვა კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს, ჩეჩნების გადაყვანას და სამხედრო ავანტურას, შემდეგ პარტიზანების მოძრაობის გააქტიურებასა და ჩაშლას, შემდეგ პრეზიდენტის ერთ-ერთი რწმუნებულის არაადეკვატურ განცხადებებს და ომისათვის მოწოდებებს...**

- თქვენ მიიჩნევთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ხელს უშლის ასლან აბაშიძეს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში და ამ გზაზე რუსეთთან დაახლოებაში?

**- მას საქართველოს ხელისუფლება ხელს უშლის იმაში, რომ, რწმუნებიდან გამომდინარე, თავისი ფუნქცია განახორციელოს. თუ ამისთვის დასჭირდება რუსეთთან ან მოზამბიკთან ურთიერთობის დარეგულირება, ესეც უნდა გამოიყენოს. მე, პირადად, კომპლექსები მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში არ მაწუხებს.**

საქართველოს პრეზიდენტისა და მისი წარმომადგენლის ხედვისა და პოზიციების განსხვავება გუშინ, ან თუნდაც ერთი კვირის წინ, არ გამხდარა ცნობილი. ამა წლის ივნისში, მოსკოვში ვიზიტის დროს, ასლან აბაშიძის პრეს-კონფერენციაზე გახლდათ დაფიქსირებული ბევრი ისეთი მიდგომა, რომელიც შევარდნაძის "ხაზს" სცდება. ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა ბატონი ასლანი, რომ "**ის, რაც თბილისში აფხაზეთის ხელისუფლების პარალელური სტრუქტურების მოქმედებით ხდება, ხელს უშლის მოლაპარაკებების პროცესს**".

მან აქვე გაამჟღავნა საკუთარი ლოიალური პოზიცია აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხში. ეს ის საკითხია, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველო-რუსეთის ურთიერთიობაში ყველაზე მწვავედ დგას და რომლის ეუთო-ში განხილვაც, იმავე რუსეთმა, ორი დღის წინ დაბლოკა. საქართველოს პრეზიდენტმა კი რუსეთის მსგავს საქმიანობას, ორშაბათს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კვალდაკვალ, საქართველოს ტერიტორიების ანექსიის მცდელობა უწოდა.

საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც დღემდე ასეთ "სხვაობებს პოზიციებში" სერიოზული რეაქციის გარეშე ტოვებდა, ორშაბათს მათზე, მართალია მოკრძალებით, მაგრამ მაინც ალაპარაკდა.

სხვათა შორის, ამ მოვლენებს საკმაოდ საინტერესო ფონს უქმნის გასულ კვირას "Российская газета" - სთვის იგორ გიორგაძის მიერ მიცემული ინტერვიუ, რომელშიც იგი ამბობს, რომ ედუარდ შევარდნაძეს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ძალა არ შესწევს. ხელისუფლებაში მოსვლის სამომავლო პერსპექტივა კი იმას აქვს, ვინც ამ კონფლიქტის დარეგულირებას შეძლებს. ინტერვიუში გიორგაძე, რა თქმა უნდა, საქართველოში რუსეთის როლის გაზრდის აუცილებლობაზეც საუბრობდა.

# თამაზ ნადარეიშვილი: „აღორძინება„ რუსეთის დაკვეთას ასრულებს„

სოფო ბუკია

"აღორძინების" ინიციატივამ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმების თაობაზე, რომელიც ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტის ბრიფინგის თემადაც იქცა, რა თქმა უნდა, აღაშფოთა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, რომელმაც "24 საათთან" საუბარში განაცხადა:

**- სულ არ მაინტერესებს, რას ფიქრობს აფხაზეთის ხელისუფლებაზე "აღორძინება". როდის აქეთ გახდა გელბახიანის გადასაწყვეტი ლეგიტიმური ხელისუფლების დაშლა-არ მოშლა? საკანონმდებლო ბაზის უქონლობაში რას გულისხმობენ, საერთოდ არ მესმის. ჩვენ აფხაზეთის კონსტიტუციით ვხელმძღვანელობთ და თუ ვინმეს არ უნდა ამის დანახვა, ეს მათი პრობლემაა.**

**ჩვენ თავის დროზე აფხაზეთის მოსახლეობამ აგვირჩია.**

**აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა და პრეზიდენტმა მიიღეს გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ჩვენ თბილისში გავაგრძელეთ მუშაობა. ჩვენს ლეგიტიმურობას მთელი მსოფლიო ცნობს.**

**თუ პრეზიდენტი და პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმების შესახებ, ჩვენ დავემორჩილებით. თუმცა, მსგავსი რამ ჯერ მხოლოდ "აღორძინებას" მოუვიდა აზრად.**

**გასაგებიცაა, ისინი რუსეთის დაკვეთას ასრულებენ, უნდათ აფხაზეთი რუსეთს დაუმტკიცონ. ასე რომ, რა თქმა უნდა, ჩვენ მათთვის მტრები ვართ.**

# „წყალკანალის„ რეაბილიტაციას 500 მილიონი დოლარი სჭირდება

## ანუ მორიგი ქართული ეკონომიკური აბსურდი

მაია ურუშაძე

**”ჩვენ წყლის მიმწოდებელი წამყვანი კომპანია ვართ, ვემსახურებით ხუთ მილიონზე მეტ ინდუსტრიულ, კომერციულ და შიდა მოხმარების კლიენტს, უზრუნველვყოფთ მაღალხარისხოვანი წყლის მიწოდებასა და ფილტრაციას მსოფლიო ბაზარზე - ამერიკის, ავსტრალიის, აზიისა და ევროპის ქვეყნებში,”** – ასეთი ტიპის განცხადებები, აქამდე წყლის რესურსებით მდიდარ საქართველოში, უცხო ხილი იყო, ახლა კი ”წყალკანალის” მართვის ათწლიანი უფლებით მიღებისათვის გამოცხადებულ ტენდერში, ხუთი უცხოური კომპანია შეეჯიბრება ერთმანეთს.

დღემდე ”თბილწყალკანალში” მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციებისთვის ტიპიური ცოდვა-ბრალი ტრიალებს. თავად ვალებში ჩავარდნილი დედაქალაქის წყალმომარაგების სისტემა საკუთარი მევალეების მიმართ რეპრესიებს ატარებს, თუმცა – უშედეგოდ. იმის გამო, რომ ათი წლის მანძილზე სისტემაში აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებულა, ”წყალკანალი” მუდმივად საჭიროებს სახელმწიფო დოტაციას, რაც მორიგი ქართული ეკონომიკური აბსურდია – განსაკუთრებით, წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყნისთვის. სპეციალისტების გათვლით, საკუთარი თავის შესანახად ”წყალკანალს” ერთ სულ მოსახლეზე თვეში წყლის 4,5-ლარიანი ტარიფი მაინც სჭირდება, რაც მძიმე ტვირთად დააწვებოდა მოსახლეობას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო ვერ მოახერხებს წყლის საფასურის, თუნდაც ნაწილის, დაფარვას. ”თბილწყალკანალის” ინფორმაციით, დედაქალაქის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას 500 მილიონი დოლარი მაინც სჭირდება. ამიტომაც სახელმწიფო გამოსავალს წყალმომარაგების სისტემის მართვის უფლებით გასხვისებაში ხედავს.

**”წყალმომარაგებაში კერძო სექტორის მონაწილეობა დარგს ბიზნესად აქცევს”,** - აცხადებს ”მსოფლიო ბანკის თბილისის წყალმომარაგებისა და სანიტარიის პროექტის” დირექტორი ბრაიან სმიტი.

”თბილწყალკანალის” სარეაბილიტაციოდ კრედიტს (25-27 მილიონი დოლარის ფარგლებში) სახელმწიფო მსოფლიო ბანკისგან აიღებს. კრედიტი 40-წლიანია და მისი გადახდა 10 წლის შემდეგ უნდა დაიწყოს. მსოფლიო ბანკის კრედიტს სახელმწიფო იმ კომპანიას გადასცემს ასათვისებლად, რომელიც ტენდერში გაიმარჯვებს. გამარჯვებულის გამოვლენა ქართული მხარის გადაწყვეტილების მიხედვით მოხდება. უპირატესობას სატენდერო კომისია იმ კომპანიას მიანიჭებს, რომელიც სამუშაო გეგმის ყველაზე მისაღებ და მომგებიან ვარიანტს წარადგენს. გათვალისწინებული იქნება კომპანიების მიერ შემოთავაზებული საოპერატორო ტარიფის ოდენობაც.

თბილისის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისთვის მილიონ ექვსასი ათასი დოლარი დაიხარჯა. ამჟამად პროექტი, რომელიც ბრიტანულმა საკონსულტაციო კომპანია ”GIBB”-მა წარადგინა, შეთანხმებულია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტთან, ქონების მართვის, ეკონომიკის, ურბანიზაციისა და გარემოს დაცვის სამინისტროებთან, თბილისის საკრებულოსა და მთავრობასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან.

”წყალკანალისთვის” გამოცხადებულ ტენდერში დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის ცნობილი წყალმომმარაგებელი ფირმები მონაწილეობენ. მათ შორისაა ფრანგული ”ვივენდი” – ”Compagnie Generale Des Eaux”-ი, ასევე ფრანგული ”Suez Lyonnaise Des Eaux”-ი, გერმანული ”Berlinwasser International GMbH”-ი, იტალიური ”ACEA S.p.A.-Aquedotto” და ინგლისური ”Anglian Water Plc.”-ი. კონკურსის მონაწილეებმა წინადადებები 3 თვეში უნდა მოამზადონ, სატენდერო კომისია კი მათ ორი თვის განმავლობაში შეისწავლის. შედეგად, 2003 წლის დასაწყისისთვის თბილისის წყალმომარაგების სისტემის ოპერატორის ვინაობა ცნობილი გახდება.

**”ჩვენ კიდევ გვაქვს დრო იმისთვის, რომ დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა კარგად ჩაიხედონ პროექტში და მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოგვთავაზონ. მე დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩვენი პროექტი მაქსიმალურად პასუხობდეს ჩვენი მხარის ინტერესებს”,** - თავს იზღვევს ”თბილწყალკანალის” გენერალური დირექტორი იუზა ცარციძე, რადგან წყალმომარაგების სისტემის გასხვისებისთანავე დღის წესრიგში პირველ საკითხად წყლის ტარიფის მატება დადგება.

# „უორლდკომი“ „ანდერსენის“ წინააღმდეგ

“უორლდკომის” ყოფილმა ხელმძღვანელმა, ბერნი ებერსმა უარი განაცხადა, ჩვენება მიეცა აშშ-ს კონგრესის საფინანსო საკითხთა კომიტეტისთვის. ებერსს ბრალი კომპანიის ოთხმილიარდიან საბუღალტრო მაქინაციებში ედება. ისევე, როგორც მეორე სახელგატეხილი კომპანიის, “ენრონის” ხელმძღვანელმა, ებერსმაც მოიშველია ამერიკის კონსტიტუციის მეხუთე შესწორება, რომლის მიხედვითაც ნებადართულია საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან თავის არიდება. ამასთან, ებერსმა აღნიშნა, რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მან ბრალეულობა აღიარა.

ამერიკის კონგრესის კომიტეტისთვის ჩვენების მიცემა მოუწევთ კომპანიის ამჟამინდელ ხელმძღვანელებსაც, რომლებიც თავად არიან დაინტერესებულნი “უორლდკომის” პრობლემის მოგვარებით. ისინი კომპანიის მძიმე მდგომარეობას აუდიტორებს აბრალებენ. თავის მხრივ, ამ ბრალდებას არ ეთანხმება “უორლდკომის” აუდიტორის, “ანდერსენის” ხელმძღვანელობა. მათი თქმით, აუდიტორულ კომპანიას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა “უორლდკომის” დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების შესახებ.

# „გაზპრომი„ საკუთარ მედიაკომპანიებს ყიდის

“გაზპრომ-მედიამ” შეიძინა ვლადიმირ გუსინსკის წილი და საკუთარი კომპანიების სავალო ვალდებულებები იმ მედიაკომპანიების წინაშე, რომლებიც გუსინსკის ჰოლდინგში შედიან. სააქციო საზოგადოება “გაზპრომის” გამგეობის თავმჯდომარემ, ალექსეი მილერმა განაცხადა, რომ ეს გარიგება პოტენციური ინვესტორებისათვის “გაზპრომ-მედიას” აქტივებს უფრო მიმზიდველს გახდის.

დაახლოებით ერთი კვირის წინათ გერმანულმა საინვესტიციო ბანკმა, Dresdner Kleinwort Wasserstein-მა, რომელიც “გაზპრომმა” საკუთარი მედია-აქტივების შესაფასებლად დაიქირავა, საბოლოო ანგარიში წარადგინა. ანგარიში საჯარო არ გახდება, რადგან, “გაზპრომის” ხელმძღვანელობის აზრით, ეს ხელს შეუშლის “გაზპრომ-მედიას” პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკების პროცესს.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 4–10 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6481 | 0.6413 | 0.0055 |
| US$ | 1.5428 | | 0.9888 | 0.0084 |
| €uro | 1.559 | 1.0113 | | 0.0085 |
| ¥en | 182.89 | 118.59 | 117.29 | |

### 2002 წლის 10 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1904 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4153 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4896 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2150 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3208 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1867 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0701 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4539 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3809 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1573 ლარი |

# 62 მილიონი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის გარეთ დარჩა

## ვინ შეეწირება ბიუჯეტის გარღვევას - ეკონომიკური ბლოკის მინისტრები თუ თავად სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც სეკვესტრს უწინასწარმეტყველებენ?

პირველი გვერდიდან

ივნისის თვის ბიუჯეტის გეგმა 78,02 მილიონი ლარით იყო განსაზღვრული, თუმცა, თვის ბოლოსთვის მხოლოდ 66,58 მილიონი ლარი აღმოჩნდა მობილიზებული. დანაკლისის ნაწილი მიუღებელ გრანტებზე მოდის, ნაწილი კი – საბაჟო და საგადასახადო შემოსავლებზე, რომელშიც აჭარიდან გადმოურიცხავი თანხებიც შედის. ავთანდილ ჯორბენაძე საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი თითქმის ყველა ეკონომიკური უწყების ხელმძღვანელისადმი. განსაკუთრებული უკმაყოფილება მან ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის, გიორგი გაჩეჩილაძის მისამართით გამოთქვა. მისი განცხადებით, ეკონომიკის სამინისტრო ჯეროვნად არ იცნობს საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს. ჯორბენაძის წყრომა ვერც სახელმწიფო ხაზინის უფროსმა, დავით რამიშვილმა აიცილა. სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, ხაზინა თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს.

**“ფისკალური სფერო უწესოდ და არაწესიერად მუშაობს. თუმცა, არც სხვა სამინისტროები ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. თუ გგონიათ, რომ ასე გაგრძელდება, ძალიან ცდებით. მე დავაყენებ თქვენი პასუხისმგებლობის საკითხს და პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას,”** - ამგვარმა მუქარამ ჯორბენაძის გამოსვლაში არაერთხელ გაიჟღერა.

სახელმწიფო მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აჭარიდან თანხების გადმოურიცხველობაზე და სამინისტროებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს საკითხის სასწრაფო მოგვარება დაავალა. ჯორბენაძის უკმაყოფილება იმითაც იყო გამოწვეული, რომ საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვა ერთდროულად რამდენიმე უწყებაში ხდება.

**“სანამ ცალ-ცალკე იქნება აღრიცხვები სახელმწიფო ხაზინაში, ეროვნულ ბანკსა და ცენტრალურ ბიუჯეტში, მანამ ვერ მივიღებთ ერთიან მაჩვენებელს და გვექნება**



*რომან გოცირიძე* ლევან ხერხეულიძის ფოტო



*ავთანდილ ჯორბენაძე* ბესო გულაშვილის ფოტო

**ისეთი განსხვავებული მონაცემები, როგორიც დღეს გვაქვს,“** – განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ.

სახელმწიფო მინისტრი ქვეყანაში კონტრაბანდის შემოტანის საკითხსაც შეეხო. საბაჟო დეპარტამენტისა და საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელობას ჯორბენაძემ ასეთი კითხვით მიმართა: **“თქვენ არ იცით, ვინ არის დაკავშირებული კონტრაბანდასთან? თუ გარიგებაში ხართ მათთან ან პრობლემის მოგვარების თავი არ გაქვთ?”**

პასუხი ამ კითხვაზე არავის გაუცია. თუმცა, სხდომის ბოლოსთვის სახელმწიფო მინისტრმა ოდნავ შეარბილა ტონი და სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის ერთ-ერთ ობიექტურ მიზეზად ორ ივნისს გამართული ადგილობრივი არჩევნები დაასახელა.

ვნებათაღელვის გარეშე არც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის თავმჯდომარის, რომან გოცირიძის პრესკონფერენციას ჩაუვლია.

**“ექვსი თვის ბიუჯეტში გარღვევა 62 მილიონი ლარია. აქედან 35 მილიონი ლარი მოდის მიუღებელ გრანტებზე, დანარჩენი არის დანაკლისი საკუთარ შემოსავლებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტი უფრო შერბილებული პარამეტრებით იგეგმება, მაშინ ძნელი წარმოსადგენი იქნება, თუ როგორ აანაზღაურებს ამ დანაკლისებს ბიუჯეტი წლის მეორე ნახევარში. იმისათვის, რომ ბიუჯეტის გეგმა შესრულდეს, საჭირო იქნება თვეში 75 მილიონი ლარის მობილიზება. ეს იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუკი თეორიულად ჩავთვლით, რომ გრანტები მთლიანად შემოვა. თუმცა, საკუთარ შემოსავლებში დეფიციტის დაძლევა მაინც გართულდება,“** – აცხადებს რომან გოცირიძე და 2002 წლის პირველი ნახევრის შედეგებს არადამაკმაყოფილებელს უწოდებს.

გოცირიძის შეფასებით, ჯერჯერობით, ტენდენცია ბიუჯეტის შეუსრულებლობისაკენ მიდის და, თუ ასე გაგრძელდა, წლის ბოლოსთვის სავალალო შედეგები გვექნება სახეზე. იგი ასევე აცხადებს, რომ, მართალია, წინააღმდეგია ბიუჯეტის სეკვესტრისა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ესეც ერთ-ერთი გამოსავალია. მისი თქმით, თუ არ მოხდება სეკვესტრი, ანუ ხარჯების შეკვეცა, მაშინ უნდა მოხდეს 2002 წლის დანაკლისების 2003 წლის ბიუჯეტში გათვალისწინება.

ასე რომ, უახლოეს მომავალში ან ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები უნდა გააქტიურდნენ, ან არადა, ბიუჯეტის სეკვესტრი სავსებით რეალური და მოსალოდნელი იქნება.

# კონტრაბანდასთან ბრძოლაში მთავრობას მხოლოდ ამინდი ეხმარება

პირველი გვერდიდან

ერგნეთის ბაზრობა, რომელიც, ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყანაში არალეგალური პროდუქციის შემოღწევის უმთავრეს გზად არის მიჩნეული, ივნისში რუსეთიდან, პრაქტიკულად, ველარ მარაგდებოდა. მიუხედავად ამისა, ასოციაცია “ნავკომ” ივნისში ნავთობპროდუქტების კონტრაბანდის სერიოზული ზრდა დააფიქსირა. მისი მონაცემებით, შარშან ივნისში 28 ათასი ტონა, ხოლო წელს კი – 21 ათასი ტონა ბენზინის იმპორტი დაფიქსირდა. ე.ი. ქვეყანაში, მინიმუმ, 7 ათასი ტონა საწვავი არალეგალური გზით შემოვიდა. სულ, წლის პირველ ნახევარში 40 ათასი ტონით ნაკლები ბენზინი და 10 ათასი ტონით ნაკლები დიზელის საწვავი შემოვიდა, ვიდრე წინა წლის ბოლო ექვს თვეში და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტმაც ნავთობპროდუქტებიდან 20 მილიონი ლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო. ასოციაცია “ნავკოს” თავმჯდომარის, **გია ხუხაშვილის** განცხადებით, ასეთი მდგომარეობა იმის დამადასტურებელია, რომ ერგნეთის ბაზრობა ქვეყანაში კონტრაბანდის შემოღწევის ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი გზა არ არის. მისი აზრით, კონტრაბანდული ნავთობპროდუქტები საქართველოში, უმთავრესად, აზერბაიჯანული საზღვრის გავლის წყალობით მოხვდა. ამასთან, საუბარია არა მხოლოდ აზერბაიჯანულ, არამედ თურქმენულ და ყაზახურ ნავთობპროდუქტებზეც. **“ივნისში კონტრაბანდის წყარო შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ აზერბაიჯანის საზღვრის გავლით ვაგონებით, პორტებიდან ან საწარმოებიდან ორგანიზებულად შემოტანილი ნავთობპროდუქტები”,** - აცხადებს ხუხაშვილი.

საქართველოში შემოსული კონტრაბანდის, დაახლოებით, 80 პროცენტი - მაღალორგანიზებული სახის კონტრაბანდაა და მხოლოდ 20 პროცენტი მოდის წვრილ კონტრაბანდისტთა წილად. მაღალორგანიზებულობაში ხუხაშვილი კონტრაბანდის მაღალ “კრიშებსაც” გულისხმობს, რომელთა გარეშეც ამ საქმიანობის წარმოება შეუძლებელია. **“ყველასთვის ცნობილია, რომ კონტრაბანდის შემოტანა, ძალოვანი და ფისკალური ორგანოების ჩართვის გარეშე, შეუძლებელია. სიტუაციის ანალიზი აჩვენებს, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში იმ ხალხის პოზიციები, ვინც ორგანიზებული კონტრაბანდით არის დაკავებული, ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ადრე იყო,”** – მიაჩნია ხუხაშვილს. მისი აზრით, კონტრაბანდაში მაღალი ეშელონების მონაწილეობის სტიმულირებას ის თანხები უწყობს ხელს, რაც თუნდაც მხოლოდ ნავთობპროდუქტების არალეგალურ ბიზნესში ტრიალებს. “ნავკოს” თავმჯდომარის გათვლებით, საქართველოში ყოველთვიურად, დაახლოებით, 15 ათასი ტონა მხოლოდ ბენზინი შემოდის კონტრაბანდული გზით. მისი ფასი, ტონაზე 350 ლარის გადაანგარიშებით, დაახლოებით, 5.5 მილიონ ლარს შეადგენს. ასეთ ყოველთვიურ შემოსავალს კი ნებისმიერი დონის ჩინოვნიკის დაინტერესება შეუძლია.

სამომხმარებლო საქონლის ბაზარზე, არალეგალური პროდუქციის მხრივ, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა, რადგან იქ პროდუქციის ლეგალიზების ხარისხი გაცილებით დაბალია. სამომხმარებლო საქონელი, ძირითადად, ბაზრობებზე ბრუნავს, სადაც ლეგალური პროდუქციის წილი თითქმის ნულის ტოლია.

**“ქვეყანა, რომელიც საკუთარ საზღვრებს ვერ აკონტროლებს, განწირულია კონტრაბანდის ტყვეობისთვის”,** - მიაჩნია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, **იოსებ არჩვაძეს**. მისი განცხადებით, ოფიციალური მონაცემების თანახმად, აღურიცხავ პროდუქციაზე ნავთობპროდუქტების ბაზრის, დაახლოებით, მესამედი მოდის. არჩვაძე, საქართველოს კონტრაბანდით მომარაგების მხრივ, რუსეთის განსაკუთრებით ნეგატიურ როლზე საუბრობს. **“ჩვენი მონაცემებით, რუსეთთან ოფიციალურად აღრიცხული ვაჭრობის მოცულობის 60 პროცენტი, ანუ, წლიურად 150-200 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია ამ ქვეყნიდან საქართველოში კონტრაბანდის სახით შემოდის”,** - განაცხადა არჩვაძემ.

საზღვრების დაუცველობის მიზეზით კონტრაბანდის არსებობის გამართლებას, ხუხაშვილი ხელისუფლების შეგნებულ ტყუილად ან არაკომპეტენტურობის გამოვლინებად მიიჩნევს. სამაგიეროდ, ორივეს, მასაც და არჩვაძესაც, ასეთ ფონზე ქვეყნის ეკონომიკაში რაიმე წინსვლაზე საუბარი უსაფუძვლოდ მიაჩნიათ. “ნავკოს” თავმჯდომარის შეფასებით, კონტრაბანდასთან დაკავშირებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იმ პერიოდში იყო, როცა საგადასახადო შემოსავლების მინისტრის პოსტი **მიხეილ მაჭავარიანს** ეკავა. **“შემდგომ პერიოდში საგადასახადო ორგანოებში ხშირმა საკადრო ცვლილებებმა არასტაბილური სიტუაცია შექმნა, რის გამოც ყველა ცდილობს, მეტს გამორჩეს ამ სიტუაციას, კონტრაბანდის წინააღმდეგ რეალური ნაბიჯები კი ხელისუფლების მხრიდან არ იდგმება,”** – განაცხადა ხუხაშვილმა.

დაახლოებით ასეთივე სიტუაცია საქართველოში გასულ ზამთარშიც შეიქმნა. მაშინ რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალი დიდთოვლობის გამო ჩაიხერგა, მთავრობამ კი არ დააყოვნა და რუსეთიდან კონტრაბანდული ტვირთნაკადების შეწყვეტა საკუთარი “გადამჭრელი ზომების” დამსახურებად გამოაცხადა, თუმცა, თოვლის დადნობის შემდეგ ამ ზომებმა, რატომღაც, აღარ გაამართლა.

# „ტელიას“ „სონერას“ „ჩაყლაპვის“ უფლება მისცეს

მაია ურუშაძე

ევროპის სატელეკომუნიუკაციო ბაზარზე ახალი მსხვილი კომპანიის ფორმირება დასასრულს უახლოვდება. სკანდინავიის კავშირგაბმულობის ორ გიგანტ ოპერატორს, “ტელიასა” და “სონერას”, ერთ კომპანიად შერწყმისთვის აუცილებელი, ევროპელი ანტიმონოპოლისტების ნებართვა, თითქმის, უკვე ჯიბეში აქვთ. როგორც ევროპის ანტიმონოპოლიური კომისიის გენერალურმა დირექტორმა, ალექსანდრე შაუბმა განაცხადა, **“ევროსაბჭოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის კომისია დღე-დღეზე დაამტკიცებს ამ გარიგებას”.**

7,4 მილიარდი ევროდან 9 მილიარდ ევრომდე შეფასებული ამ გარიგების მიზანი ერთიანი საკომუნიკაციო კომპანიის შექმნაა, რომლის საერთო კაპიტალი 18 მილიარდ ევროს უტოლდება. კომპანიას 34 ათასი თანამშრომელი ემსახურება, ჰყავს 7,6 მილიონი აბონენტი და 8 მილიონი მობილური კლიენტი.

გაერთიანების შემდგომ “ტელიას” აქციონერებს კომპანიის წილის 64 პროცენტი ერგებათ, “სონერას” აქციონერებს კი – 36 პროცენტი. “ტელია” მზადაა, იკისროს “სონერას” ძველი ვალების გასტუმრება, რაც 2,7 მილიარდ ევროზე მეტია. ყოფილი კონკურენტების გაერთიანებითა და ერთობლივი ხარჯების ოპტიმიზაციით მიღებული ეკონომია 2005 წლამდე 300 მილიონ ევროს მიაღწევს.

ახალ კომპანიაში ქვეგანყოფილებების სახით შევლენ ბალტიისპირეთის ოპერატორები: “UAB Omnitel”-ი, “Lietuvos Telekomas”-ი და “Latvijias Mobilais Telefons”-ი, რომლებსაც ამჟამად ”ტელია” და ”სონერა” ერთობლივად ფლობენ. გარდა ამისა, გაერთიანებული კომპანიის საკუთრებაში რუსული ”მეგაფონის” აქციების 44-პროცენტიანი პაკეტი იქნება, რასაც სკანდინავიელები ”ზრდის დამატებით შესაძლებლობად” მიიჩნევენ.

კომპანიების შერწყმის პროცესი შემდეგნაირად განხორციელდება: ”სონერას” თითოეულ აქციაზე შვედური სატელეფონო კომპანია თავის 1,5144 აქციას გადაიხდის. ამ წუთისათვის ”ტელიას” მიერ დადგენილი ფასი იმაზე მაღალია, რომლითაც მოლაპარაკებათა მიმდინარეობის შესახებ ოფიციალურ განცხადებამდე საფონდო ბაზარზე ხდებოდა ”სონერას” აქციების კოტირება. ფასში განსხვავებას ”სონერას” აქციონერებისთვის სადაზღვევო პრემიის სახე ექნება.

გაერთიანებული კომპანიის შტაბ-ბინა სტოკჰოლმში იქნება. ახალი კომპანიის სახელს მოგვიანებით დაამტკიცებენ, იქამდე კი ორივე მათგანი საქმიანობას ძველი სავაჭრო ნიშნებით განაგრძობს.

ახალ კომპანიას საქართველოსთანაც აქვს ”ნათესაური” კავშირები. საქმე ისაა, რომ ”სონერას” კომპანია ”ფინტურში” აქციების 59 პროცენტი ეკუთვნის. თავად ”ფინტური” კი ქართული კომპანია ”ჯეოსელის” 83-პროცენტიანი სააქციო პაკეტის მფლობელია.

# საკადრო ცვლილება ისრაელის ჯარში

სამშაბათს გენერალი მოშე იაალონი ისრაელის ჯარის გენშტაბის მე-17 უფროსად დაინიშნა. ახალი ეპოლეტები მას პრემიერ-მინისტრმა, არიელ შარონმა და თავდაცვის მინისტრმა, ბენიამინ ბენ-ელიზერმა დაუმაგრეს. იაალონმა ცერემონიაზე წარმოთქვა სიტყვა: "მე გავაკეთებ ყველაფერს, რაც საჭიროა პირადად ჩემი და ჯარის ვალდებულებების შესასრულებლად, რათა ისრაელის უსაფრთხოება იქნას უზრუნველყოფილი".

52 წლის გენერალ იაალონს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება გააჩნია. მას ბავშვობიდან გამოყოლილი "ბუგის" მეტსახელით იცნობენ. ახალ პოსტზე დანიშვნამდე იგი 21 თვის განმავლობაში ისრაელის ჯარის გენშტაბის უფროსის, შაულ მოფაზის მოადგილე იყო. მას, აგრეთვე, აქვს სამხედრო დაზვერვაში მუშაობის გამოცდილება. ერთი პერიოდი იგი დასავლეთ სანაპიროზე ჯარის მთავარსარდალიც იყო. გარდა ამისა, იგი ითვლება 1988 წელს ცნობილი პალესტინელი ექსტრემისტის, აბუ ჯიჰადის ლიკვიდაციის ოპერაციის ორგანიზატორად.


*მოშე იაალონის დანიშვნის ცერემონიალი*

ექსპერტების აზრით, იაალონის დანიშვნით ისრაელის სამხედრო ტაქტიკაში მკვეთრი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი – მისი წინამორბედის, შაულ მოფაზის მსგავსად, იაალონის უსაფრთხოების კონცეფცია კონსერვატიულია. ებრაელი სამხედრო ანალიტიკოსი, ჯარის დაზვერვის ყოფილი უფროსი რონ ბენ-იშაი მიიჩნევს, რომ "ბუგი" სამხედრო საქმეს უფრო ინტელექტუალურს გახდის. იაალონის ერთ-ერთმა ქვეშევრდომმა იგი დაახასიათა როგორც მშვიდი, მომთხოვნი, სანდო და შრომისმოყვარე.

# ჰონგ-კონგი მსოფლიოს უძვირესი ქალაქია

*საკონსულტაციო კომპანია "მერსერმა" გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც მსოფლიოს 144 ქალაქი უცხოელი სტუმრებისთვის ცხოვრების სიძვირის მიხედვითაა დალაგებული.*

"მერსერის" მიერ მომზადებულ ცნობარს მთელი მსოფლიოს კომპანიები იყენებენ თავიანთი თანამშრომლების სამივლინებო ხარჯების განსასაზღვრად.

მსოფლიოს ქალაქების "სიძვირის" შესახებ გამოთვლები საკმაოდ რთული სქემით ხდება. საცხოვრებელი ხარჯების გამოთვლა ემყარება სამომხმარებლო კალათის მონაცემებს, რომლებიც, დაახლოებით, 200 პოზიციას მოიცავს. ეს პოზიციები მოიცავს საცხოვრებელს, საკვებს, ტანსაცმელს, გართობასა და ოჯახისათვის საჭირო ნივთებს. ათვლის წერტილად აღებულია საცხოვრებელი ხარჯების დონე ნიუ-იორკში, რომელიც, პირობითად, 100 ერთეულს შეესაბამება.

უნდა ითქვას, რომ "მერსერის" ცნობარი ხშირად პარადოქსულ მონაცემებსაც შეიცავს, რაც იმითაა განპირობებული, რომ სამომხმარებლო კალათი უცხოელებისათვის განკუთვნილი მომსახურებისა და საქონლის გათვალისწინებით დგინდება. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გარკვეული პროდუქტები ადგილზე არ იწარმოება და ამიტომ მათი იმპორტი აუცილებელი ხდება, რაც უცხოელებისათვის ამ პროდუქტებს აძვირებს. იგივე შეიძლება ითქვას საცხოვრებელზე. ხშირად უცხოელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ბინაში გადახდილი თანხები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. მაგრამ "მერსერის" სიის დანიშნულებაც ხომ სწორედ ის არის, რომ უცხოელი სტუმრების გზამკვლევის როლი შეასრულოს და არა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამსახველი სტატისტიკის ფუნქცია.

"მერსერის" მიერ გუშინ გამოქვეყნებული მონაცემები 2002 წლის მარტში ჩატარებული კვლევის შედეგადაა მიღებული. პირველ ადგილზე წელს ჰონგ-კონგი გავიდა, რომელსაც 124,2 ბალი მიენიჭა (შარშან პირველი ტოკიო იყო). მეორე ადგილზე აღმოჩნდა მოსკოვი, ხოლო მესამეზე - ტოკიო. 144 ქალაქისაგან შემდგარ სიას ასრულებს იოჰანესბურგი, რომელსაც 34,4 ბალი მიენიჭა. შარშან მსოფლიოს უიაფესი ქალაქი მალავის ბლანტაირი იყო.

უნდა ითქვას, რომ გასულ წელთან შედარებით, განსხვავება უძვირეს და უიაფეს ქალაქებს შორის 15 პროცენტით შემცირდა. ექსპერტები ამას გლობალიზაციის თანამდევ მოვლენად მიიჩნევენ. საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ საქონელს აწარმოებენ ადგილებზე, რითაც ამცირებენ იმპორტის აუცილებლობას და, შესაბამისად, აიაფებენ ცხოვრებას.

ზოგიერთი საინტერესო დეტალი:

ევროკავშირის ქვეყნებს შორის უძვირესი ქალაქის ტიტული წელს ლონდონმა კოპენჰაგენს ჩამოართვა. ლონდონში განსაკუთრებით ძვირია საცხოვრებელი და ტრანსპორტი, ისევე, როგორც ალკოჰოლი და თამბაქო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ლონდონს სიძვირით "გაუსწრო" არა მარტო მოსკოვმა, არამედ სანკტ-პეტერბურგმაც. ევროკავშირის უძვირეს ქალაქებს შორისაა კოპენჰაგენი, მილანი, დუბლინი და პარიზი. ევროპული ქალაქების შედარებითი სიიაფე ანალიტიკოსებს საშუალებას აძლევთ დაასკვნან, რომ ევროს შემოღებას ევროპაში ცხოვრება არ გაუძვირებია.

შეერთებული შტატების უძვირესი ქალაქი, ნიუ-იორკი, გაცილებით უსწრებს უახლოეს "მდევრებს" – ლოს-ანჟელესს, ჩიკაგოსა და სან-ფრანცისკოს.

გასულ წელთან შედარებით, ყველაზე მეტად "გაიაფდა" ბუენოს-აირესი, რაც არგენტინის ეკონომიკური კრიზისისა და პესოს დევალვაციის შედეგი უნდა იყოს. არგენტინის დედაქალაქმა 23-დან 133-ე ადგილზე გადაინაცვლა.

"მერსერის" გამოკითხვით გაირკვა, რომ მსოფლიოს ყველაზე სასურველ ქალაქებად უნდა ჩაითვალოს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ქალაქები, რადგან ისინი სიძვირით ნამდვილად არ გამოირჩევიან (უძვირეს ქალაქთა პირველ ასეულში მხოლოდ სიდნეი მოხვდა), ხოლო ცხოვრების ხარისხით მსოფლიოს პირველ 30 ქალაქს შორის ხვდებიან.

# თურქეთში კრიზისი მწვავდება

გიორგი ხელაშვილი

*თურქეთის მთავრობის ვიცე-პრემიერის გადადგომა კიდევ ერთი ნაბიჯია სამთავრობო კრიზისის გაღრმავებისკენ.*

თურქეთის ვიცე-პრემიერი ჰუსამეთინ ოზქანი, ერთ დროს, პრემიერ-მინისტრ ეჯევითის მარჯვენა ხელად და მის მემკვიდრედ ითვლებოდა. მაგრამ მოულოდნელად ოზქანმა და კიდევ ოთხმა წამყვანმა მინისტრმა, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრმა ჰასან ჯემიჩიმ, მთავრობა დატოვეს. მათ შეუერთდა პარლამენტის 22 წევრი, რომლებმაც მმართველი კოალიციის წამყვანი პარტიის, დემოკრატიული მემარცხენე პარტიის რიგები დატოვეს და ამით ბულენთ ეჯევითის პარტიას პარლამენტში დასაყრდენი შეურყიეს.


*ეჯევითს მძიმე დრო დაუდგა*

ვიცე-პრემიერ ოზქანის გადადგომა სერიოზული პოლიტიკური მარცხია მმართველი კოალიციისათვის და პირადად ბულენთ ეჯევითისათვის. დემოკრატიული მემარცხენე პარტია 1980-იან წლებში შეიქმნა და უფრო ხშირად მოიხსენება, როგორც ბულენთ ეჯევითისა და მისი მეუღლის, რაჰსანის პარტია. 77 წლის ეჯევითის პარტიიდან წასვლის შემთხვევაში პარტია, უბრალოდ, დაიშლება. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა ჰუსამეთინ ოზქანის ხმაურიანი გადადგომის შემდეგ.

ახლანდელი კოალიციის სამწლიანი მმართველობის პერიოდში ოზქანი, რომელიც თურქული პოლიტიკისათვის იშვიათი მოქნილობითა და კომპრომისზე წასვლის უნარით გამოირჩევა, ყოველნაირად ცდილობდა კოალიციაში შემავალი სამი პარტიის შეკავშირებასა და საერთო ენის გამონახვას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ძნელი ამოცანა ოზქანმა წარმატებით გადაჭრა. სამი ურთულესი წლის განმავლობაში, როდესაც თურქეთის ეკონომიკაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული წინააღმდეგობრივი რეფორმები მიმდინარეობდა, მმართველმა კოალიციამ საერთო ენის გამონახვა და შეკავშირება მართლაც მოახერხა. ბედის ირონიით, ბოლო დღეებში სწორედ ერთიანობისა და თანხმობის მომხრე ოზქანი აღმოჩნდა მმართველ პარტიებს შორის განხეთქილების მთავარი მთესველი. ჯერჯერობით არ არის გარკვეული, თუ რატომ გადადგა ოზქანმა ეს ნაბიჯი. თურქეთის შიდა პოლიტიკის ანალიტიკოსები დანამდვილებით ვერ ამბობენ, თუ რა ამბიცია ამოძრავებს შედარებით ახალგაზრდა, აწ უკვე ყოფილ, ვიცე-პრემიერს.

ოზქანის დემარშს ისიც დაემატა, რომ ეჯევითის პარტიის მემარჯვენე პარტნიორმა კოალიციაში, ეროვნული ქმედების პარტიამ რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას დაუჭირა მხარი. პარტიის ლიდერმა ბაჰჩელიმ პარლამენტის საზაფხულო არდადეგებიდან გამოწვევა, სპეციალური სხდომის გამართვა და რიგგარეშე არჩევნების ნოემბრისათვის დანიშვნა მოითხოვა. ბაჰჩელის პარტია სერიოზული პოლიტიკური ძალაა. ეჯევითის პარტიის საპარლამენტო ადგილების შემცირებასთან ერთად, ბაჰჩელის პარტია პარლამენტში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია გახდა, რომელიც პარლამენტის 550 ადგილიდან 127-ს აკონტროლებს.

თავისთავად, არც რიგგარეშე არჩევნებია პანაცეა. თურქეთის საარჩევნო სისტემა პარლამენტში მოხვედრისათვის 10-პროცენტიან ბარიერს აწესებს, რომლის გადალახვაც პარტიებისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ხოლმე. ახლანდელი მმართველი კოალიციის არც ერთ პარტიას - არც ეჯევითის დემოკრატ მემარცხენეებს, არც ბაჰჩელის ნაციონალისტებს და არც ილმაზის "დედა სამშობლოს" პარტიას - არ გააჩნია საკმარისი პოლიტიკური მხარდაჭერა ამ 10-პროცენტიანი ბარიერის გადასალახად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რიგგარეშე არჩევნებში თითქმის ავტომატურად გაიმარჯვებს ისლამისტთა პარტია, რომელსაც ერდოგანი უდგას სათავეში. ამას კი თურქეთის პოლიტიკური სინამდვილისათვის ტრადიციული სამხედრო გადატრიალება შეიძლება მოჰყვეს. გადატრიალებები თურქეთში ადრეც მომხდარა, მაგრამ ახლანდელ ვითარებას უფრო ამძიმებს ის ეკონომიკური სიძნელეები, რომლებიც თურქეთს უკვე ორი წელია, მოსვენებას არ აძლევს.

რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, ისლამისტების შესაძლო გამარჯვება და შემდგომი სამხედრო გადატრიალება თურქეთის ეკონომიკისათვის მეტად არასახარბიელო სურათს ხატავს. ქვეყანა ამგვარ ეკონომიკურ სიძნელეებს 1945 წლის შემდეგ აღარ წასწყდომია.

თურქეთში შექმნილ კრიზისულ პოლიტიკურ ვითარებას თურქეთის ეროვნული ვალუტის კურსის განუწყვეტელი დაცემაც ემატება, რამაც ბოლო ხანს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია (ერთი დოლარში 1 მილიონ 680 ათას ლირას იხდიან). პრემიერ-მინისტრ ეჯევითის ავადმყოფობასა და ვიცე-პრემიერ ოზქანის გადადგომას ორშაბათსა და სამშაბათს თურქული კომპანიების აქციების დაცემა მოჰყვა. ფინანსურმა პრობლემებმა, შეიძლება, შეაფერხოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ კრიზისის დასაძლევად შეპირებული 16 მილიარდ დოლარიანი კრედიტის გამოყოფა. ეს კრედიტი აუცილებელია თურქეთის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და იმ რეფორმების გატარებისათვის, რომელთა საშუალებითაც თურქეთი ევროკავშირის წევრობის რეალურ კანდიდატობას აპირებს.

თურქეთის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მოვლენები ანალიტიკოსებს აძლევს იმის თქმის საბაბს, რომ თურქეთი სერიოზული სამთავრობო კრიზისის წინაშე იმყოფება, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკისათვის კიდევ უფრო უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია.

## საერთაშორისო ამბები

# წინსვლა ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებში

ისრაელისა და პალესტინის მთავრობებს შორის, 4-თვიანი შესვენების შემდეგ, დიალოგი განახლდა. კერძოდ, ორშაბათს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი შიმონ პერესი პალესტინის ფინანსთა მინისტრს, სალამ ფაიედს შეხვდა. მხარეებმა ეკონომიკური საკითხები განიხილეს. შიმონ პერესის მრჩეველმა, იორამ დორიმ განაცხადა, რომ ფაიედთან გამართული 90-წუთიანი შეხვედრა არის "პირველი იმ სერიიდან, რომელიც გაიმართება". უკვე სამშაბათს დაგეგმილია პერესის შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან, აბდელ რაზაკ იაჰიასთან, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორში უსაფრთხოების საკითხების განხილვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ იაჰიაც და ფაიედიც პალესტინაში წამოწყებულ რეფორმების პროცესში მონაწილეობენ.

ფინანსთა მინისტრმა, ფაიედმა სთხოვა პერესს, რომ პალესტინას 2000 წლის სექტემბრამდე (როცა მეორე ინტიფადა დაიწყო) ისრაელის ხელისუფლების მიერ პალესტინელებისგან აკრეფილი გადასახადები (2 მლნ. შეკელი) გადასცეს, რომელიც ისრაელის ხაზინაში იქნა გაყინული. ისრაელი აცხადებს, რომ ეს თანხა პალესტინას არ გადაეცემა, სანამ ისრაელი არ დარწმუნდება, რომ ფული იარაღის ყიდვასა და ტერორისტების დაქირავებას არ მოხმარდება.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, არიელ შარონმა პერესს მოლაპარაკებების წარმოების ნება იმ პირობით დართო, თუ საუბარი მხოლოდ ჰუმანიტარულ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, დასავლეთ სანაპიროს მოსახლეობისთვის შეზღუდვების შემცირებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განახლების საკითხებს შეეხებოდა.

აშშ-ს და ისრაელის მოთხოვნის საპასუხოდ, პალესტინის ადმინისტრაციამ რეფორმები დაიწყო – ძალაში შევიდა დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია, ერთი თვის წინ პალესტინის მთავრობის შემადგენლობა გადახალისდა და სხვ. ორშაბათს ბუშმა აღნიშნა, რომ პალესტინის სახელმწიფოს აღმოცენებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა.

ბოლო დღეებში იორდანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პალესტინური ავტონომიის ლიდერი იასირ არაფატი უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში გადადგომას აპირებს აშშ-თან, ისრაელთან და გარკვეულ პალესტინურ და არაბულ პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმების შედეგად. "ალ-მაჯდი" არაფატის ყველაზე სავარაუდო მემკვიდრედ პალესტინის საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელს, აჰმად კურაის (რომელიც, აგრეთვე, ცნობილია, როგორც აბუ ლაა) აცხადებს. მეორე შესაძლო კანდიდატი პალასტინის გათავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი მაჰმუდ აბასია, ცნობილი, როგორც აბუ მაზენი. ისრაელის გაზეთმა, "ჰაარეცმა" ისრაელის თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის შეფასება გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც არაფატის პრესტიჟი იმდენად შელახულია, რომ იგი პრაგმატული კონკურენტების გამოჩენას წინ ვერ აღუდგება.

გარდა ამისა, ორშაბათს გავრცელდა ინფორმაცია, რომ არაფატმა თანამდებობიდან გაათავისუფლა თაუფიგ ტირავი, რომელიც სამხედრო დაზვერვის უფროსი იყო. მას ისრაელი ტერორისტულ აქტების მოწყობაში ადანაშაულებს. პალესტინის ინფორმაციის მინისტრმა ეს ინფორმაცია უარყო.

ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო პროცესის განახლების მიმართულებით არაბული სამყაროს ქვეყნების ძალისხმევა გრძელდება. შაბათ-კვირას ეგვიპტის დაზვერვის სამსახურის უფროსი ომარ სულეიმანი ისრაელის წარმომადგენლებსა და არაფატს შეხვდა. სულეიმანი იმედოვნებს, რომ არაფატი რეფორმების დაჩქარების აუცილებლობაში დაარწმუნა.

# უფრო უსაფრთხო მსოფლიო ჰუსეინის გარეშე

ორშაბათს აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა თავის ადმინისტრაციას განუცხადა, რომ ერაყის პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის გადასაყენებლად მის "ხელთ არსებულ ყველა საშუალებას" გამოიყენებს. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე ბუშმა განაცხადა: "მე მტკიცედ მჯერა, რომ მსოფლიო უფრო უსაფრთხო და მშვიდობიანი იქნება, თუ ერაყში რეჟიმი შეიცვლება".

ბუშის საპასუხოდ, სამშაბათს ერაყის ვიცე-პრემიერმა, თარიქ აზიზმა განაცხადა, რომ "ერაყის ლიდერი ხელისუფლებაში პრეზიდენტ ბუშს ან მის მთავრობას არ მოუყვანია და ისინი სადამ ჰუსეინის ხელისუფლებიდან მოშორებას ვერ შეძლებენ. ერაყელები ყოველთვის თვითონ იღებდნენ გადაწყვეტილებებს და ახლაც შესწევთ უნარი, დაიცვან საკუთარი სუვერენიტეტი და ღირსება. ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა ნებისმიერი აგრესიისგან".

წინა კვირას ვენაში გაერო-სა და ერაყის წარმომადგენლებს შორის გამართული მოლაპარაკებები (ერაყში გაერო-ს ინსპექტორების შეშვების თაობაზე) უშედეგოდ დასრულდა. გაერო-ს ინსპექტორთა ბოლო ჯგუფმა ერაყი 1998 წელს დატოვა. ერაყის დელეგაცია გაერო-სგან ითხოვს სანქციების მოხსნასა და გარანტიებს, რომ აშშ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას არ დაიწყებს.

არც გაერო და არც აშშ ამის გარანტიას არ იძლევიან. ორშაბათს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამ კვირაში ერაყის ოპოზიციის ლონდონში დაგეგმილ კონფერენციას. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, რიჩარდ ბაუჩერის განცხადებით, აშშ კონფერენციას არ აფინანსებს, მაგრამ მასზე დასასწრებად თავის დიპლომატს გააგზავნის.

**(CNN)**

# უკრაინა ერაყს ბირთვული იარაღით მოამარაგებს?

ერაყი უკრაინასთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას ცდილობს, იმ იმედით, რომ მომავალში, უკრაინის მეშვეობით, მასობრივი განადგურების იარაღის არსენალის მოდერნიზაციას მოახერხებს, - წერს "Financial Times"-ი. უკრაინა და ერაყი რამდენიმე წლის განმავლობაში თანამშრომლობდნენ თავდაცვითი ტექნოლოგიების გაცვლის სფეროში. ბოლო პერიოდში კვლავ შეიმჩნევა ქვეყნებს შორის ურთიერთობების ამ მიმართულებით გაღრმავება.

"Financial Times"-მა ჩაატარა გამოძიება, რომლითაც დადასტურდა, რომ ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა აქტიურად ცდილობენ ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ხელში ჩაგდებას. ერაყისთვის მასობრივი განადგურების იარაღის ერთ-ერთ შესაძლო წყაროდ უკრაინა მოიაზრება.

**(Reuters)**

# ირან-ერაყ-სირიის ერთობლივი პროექტი

ირანმა, ერაყმა და სირიამ ერთობლივი პროექტის განხორციელება – ახალი სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანა გადაწყვიტეს. ეს ფაქტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში აკრედიტებულმა დასავლეთის დიპლომატიური უწყებების წარმომადგენლებმა შეაფასეს, როგორც ბიძგი ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და ქვეყნებს შორის სამხედრო ურთიერთობების გამყარებისთვის. ახალი სარკინიგზო მაგისტრალი სამ ქვეყანას შორის მიმოსვლას საგრძნობლად გააიოლებს. მაგისტრალის მშენებლობის დეტალები მხარეებმა ივნისის ბოლოს განიხილეს.

**("ირნა")**

## მოსახლეობას სასამართლოთი აშინებენ

ნანა ქადაგიშვილი

ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე მე-8 და მე-10 კორპუსების მაცხოვრებლები დღეს შუადღის დადგომას შიშით ელიან. მართალია, ეზოში მათ მიერ დარგული და ნალოლიავები ხეების ბედი უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ ისინი ფარ-ხმალს მაინც არ ყრიან.

აღნიშნული კორპუსების ეზოში 40-45-წლიანი ხეები დგას. აქაურ მობინადრეებს ისინი საკუთარი ხელით დაურგავთ და ყოველდღე უვლიან. ახლახან მათ ძველ ფიჭვებს "მწვანეების" მიერ მიცემული ხეხილის ნამყენებიც შემატეს. **"ეს ეზო ჩვენი ბავშვების ერთადერთი სათამაშო ადგილია, საღამოობით, ჩვენც აქ ვისვენებთ. ისანი-სამგორის რაიონში ერთი პარკიც კი არ არის, "მუშტაიდსა" და ვაკის პარკში ყოველდღე ხომ ვერ ვივლით. ფულიანი ხალხი კი ამ ადგილსაც გვართმევს,"** – ჩივის მოსახლეობა. გასული წლის შემოდგომაზე ამ კორპუსების ეზოში კერძო პირებმა, ჯენერაშვილმა და კორძაძემ სავაჭრო პავილიონის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ აქაური მაცხოვრებლები მედგრად დახვდნენ და გამოჩხრიკეს, რომ აღნიშნულ პირებს მშენებლობისთვის საჭირო დოკუმენტაცია წესრიგში არ ჰქონდათ. პროექტი ქალაქის გარემოს დაცვის კომიტეტთან შეთანხმებული არ იყო, ამიტომ თბილისის არქიტექტურის დეპარტამენტმა, მოსახლეობის მოთხოვნით, მშენებლობა შეაჩერა. ჯენერალიშვილმა და კორძაძემ ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს მიმართეს და სასამართლომ კომიტეტს პროექტის შეთანხმება მოსთხოვა. კომიტეტმა სასამართლოს მოთხოვნა დააკმაყოფილა და მშენებლები ჯავახეთის ქუჩის მე-8 და მე-10 კორპუსების ეზოს ხელმეორედ მიადგნენ, მაგრამ მოსახლეობა დათმობას არც ახლა აპირებს. რამდენჯერაც მშენებლებმა მიწა გათხარეს, მოსახლეობამ იმდენჯერ ამოავსო. **"ჩვენს ქალაქში ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ყველგან მაღაზია და რესტორანი აშენდა, მოსახლეობის დასვენება და ჯანმრთელობა კი არავის აინტერესებს. ნახევარი წელია, ამ ხეებს "კბილებით" ვიცავთ. გვეუბნებიან, პავილიონის მშენებლობა ხეებს არაფერს შეუშლისო, მაგრამ არ გვჯერა. ამის გარდა, მაღაზია ანტისანიტარიის კერად იქცევა. ჩვენს წინ კორპუსებთან ჯიხურები ჩადგეს, ტუალეტი არც ერთს აქვს და მათ გვერდით ვეღარ გაივლი,"** – შიშობს მოსახლეობა.

ქალაქის გარემოს დაცვის კომიტეტი კი ირწმუნება, რომ სავაჭრო პავილიონის მშენებლობა ხეებს არ დააზიანებს. **"ჯენერაშვილსა და კორძაძეს მშენებლობის ნებართვა იმ პირობით მოვეცით, რომ ერთი ხეც არ მოიჭრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავაჭრო ობიექტის მეპატრონეებს სოლიდური თანხით დავაჯარიმებთ,"** –იმუქრება სახელმწიფო ეკოლოგიის ექსპერტიზის განყოფილების უფროსი მამუკა სალუქვაძე. ისანი-სამგორის რაიონის არქიტექტორები კი აცხადებენ, რომ ჯენერაშვილმა და კორძაძემ მიწა კანონიერად, აუქციონზე იყიდეს, პროექტიც არქიტექტურის დეპარტამენტისა და გარემოს დაცვის კომიტეტთან არის შეთანხმებული და მის განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგება. ხოლო თუ მოსახლეობა წინააღმდეგობის გაწევას გააგრძელებს, ინანებსო, აცხადებენ გამგეობის არქიტექტორები.

ჯენერაშვილმა და კორძაძემ ჯავახეთის ქუჩაზე მცხოვრებლებს "ჭკუაზე მოსასვლელად" ვადა დღეს შუადღემდე მისცეს. გაგვაფრთხილეს, ოთხშაბათს მუშებს მოვიყვანთ და თუ ხელს კიდევ შეგვიშლით, რამდენიმე თქვენგანს სასამართლოში ვუჩივლებთო, - ჩივის მოსახლეობა.

## „ყველაზე კარგი რომანი" და „ახალი" სიძე

გიორგი გახელაძე


ჯანსულ ჩარკვიანი და რომან რურუა
ლევან ხერხეულიძის ფოტოები


დავით კოლუაშვილი

განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს გუშინ, 9 ივლისს, მოადგილე აურჩიეს. 5-თვიანი "ვაკუუმის" შემდეგ, იანვარში პარლამენტიდან წასული დათო მაღრაძე სეხნიამ, "ახალმა" დავით კოლუაშვილმა შეცვალა. ამ კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარე, ნოდარ ამაღლობელი სიამტკბილობით ჩატარებული არჩევნების დასრულებას არც დაელოდა და კმაყოფილება ვერ დამალა: **"ერთადერთი იურისტი გვყავს კომიტეტში და ჩვენს ამ უშველებელ ჩავარდნას ამოავსებს. მარტო ჩემი, ფიზიკოსის ლოგიკა, საქმეს არ შველის, ბატონო, არა."**

თებერვლიდან დაწყებული, ამ არჩევნების ჩატარებას მოითხოვდნენ ვასილ მაღლაფერიძე და მისი მომხრეები, მაგრამ უშედეგოდ. ამ მოლოდინში ეტყობა, გული გაუწვრილდა ერთ-ერთ პრეტენდენტს, ნოდარ გრიგალაშვილს და გუშინდელი სხდომის დასაწყისშივე მოხსნა კანდიდატურა. ნოდარ ამაღლობელისა და ჯანსულ ჩარკვიანის მიერ "კაცი ლეგენდად" მონათლულ რომან რურუას გრიგალაშვილისთვის არ მიუბაძავს. მაგრამ, შესაბამისი დამსახურების გამო იგი კოლუაშვილივით ერთხმად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. **"დათა თუთაშხიას მერე ყველაზე მაგარი რომანი ხარ,"** –შეეცადა ოთხგზის ჩემპიონის, რომან რურუას გახალისებას ჯანსულ ჩარკვიანი.

**"დღეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ჩვენი კომიტეტის სხდომა მძაფრი წინააღმდეგობის გარეშე მიმდინარეობს,"** – აუცილებელ აღსანიშნად მიიჩნია გია შაიშმელაშვილმა. ერთსულოვნების ეიფორიამ ისე აიტანა საზოგადოება, რომ მეცნიერების ქვეკომიტეტის შექმნასაც ხუთიოდე წუთში უყარეს კენჭი. **"მართალია, მეცნიერებისა და განათლების ქვეკომიტეტი გვაქვს, მაგრამ იქ ჰუმანიტარია ვიგულისხმოთ. აქ კი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების განვითარებაზე ვიმსჯელოთ. კულტურის ორი ქვეკომიტეტი ხომ გვაქვს? ამიტომ მკვეთრად გამოხატულ ჰუმანიტარებს ნუ ვაწყენინებთ,"** – დაასრულა სხდომა ნოდარ ამაღლობელმა.

"ამდენ დამსახურებულ ადამიანსა და აკადემიკოსში ძნელია ხელმძღვანელობა", - სიამოვნებანარევი უხერხულობით თქვა ერთადერთი წინადადება ახალგაზრდა დავით კოლუაშვილმა. მაგრამ, ჯანო ბაგრატიონის სადღეგრძელოდ ნათქვამმა ოჯახის დახასიათებამ კომპლექსი მოუხსნა მორცხვ მოადგილეს. **"ერთადერთი ნაკლი აქვს – ჩემი სიძეაო",** -ტოლი არ დაუდო ენამახვილობაში ჯანსულ ჩარკვიანს ვლადიმერ ქარსელაძემ, რომელმაც მანამდე რომან რურუა "კაცობაში შეუმცდარ ადამიანად" დაახასიათა.

მოკლედ, გუშინდელ სხდომას კაი ჭუკჭუკი არ აკლდა, აკლდა - სუფრა და დუდუკი. ალბათ, საღამო ხანს, არც უამისობა იქნებოდა.

## 23 ივლისს უმუშევრების უნარი გამოვლინდება

ეთერ მამულაშვილი

გუშინ შრომისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის დეპარტამენტმა ახალი პროექტის პრეზენტაცია მოაწყო. ამ პროექტის მიზანია საქართველოში რეგისტრირებული უმუშევრების მუდმივი დასაქმება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

პროექტში მონაწილეობის უფლება ყველა რეგისტრირებულ უმუშევარს აქვს. პროგრამაში მონაწილეობისთვის რეგისტრირებულმა უმუშევრებმა შემდეგი პროცედურები უნდა გაიარონ: საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მიმართონ დასაქმების სამსახურს, სადაც 2002 წლის 15 ივლისამდე შეიტანენ განცხადებას უმუშევართა ტესტირებაში მონაწილეობის შესახებ; ტესტირების შედეგად გამარჯვებული პირები მცირე ბიზნესის ხელშემწყობ ცენტრებში გაივლიან 9-დღიან მოსამზადებელ ტრენინგს სამეწარმეო საქმიანობისთვის. სპეციალური კურსების გავლის შემდეგ მათ უფლება აქვთ, წარადგინონ საკუთარი ბიზნეს-იდეა, რომელიც დამუშავდება მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრის თანამშრომელთა დახმარებით. პროექტის მოწონების შემთხვევაში მის ავტორს, იდეის განხორციელების მიზნით, მიეცემა კრედიტი, დაახლოებით, 6000 ლარის ოდენობით. ამ თანხის მიზანმიმართულად ხარჯვის კონტროლსა და მონიტორინგს სამი სუბიექტი განახორციელებს: მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი, "საქართველოს ბანკი" და კერძო სადაზღვევო კომპანია, რომლის ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ.

ტესტირება, რომელმაც 2500 გამარჯვებული უმუშევარი უნდა გამოავლინოს, მიმდინარე წლის 23 ივლისს, 12:00 საათზე ჩატარდება. ამ ტესტირების მიზანია გამოავლინოს უმუშევრის ზოგადი უნარ-ჩვევები, სამეწარმეო საქმიანობისადმი მისი მიდრეკილება და ორგანიზებულობა.

## გამოიცა ქართულ საგალობელთა წიგნი

ანჩისხატის მგალობელთა გუნდის ინიციატივით, გამოიცა წიგნი, რომელშიც 12 საუფლო და სხვა დღესასწაულთა ქართული საგალობლებია თავმოყრილი. ანჩისხატის ლოტბარის მალხაზ ერქვანიძის თქმით, წიგნი რამდენიმე დღეა, რაც გამოიცა და მას თან ახლავს ქართული საგალობლების კომპაქტ-დისკიც.

ქართული საგალობლების კომპაქტ-დისკი მალხაზ ერქვანიძემ რამდენიმე თვის წინათ გამოსცა. მასში შესულია ქართული ხალხური სიმღერები. აღსანიშნავია, რომ ანჩისხატის მგალობელთა გუნდი ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მართლმადიდებლური ქვეყნების მგალობლების საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. მგალობელთა გუნდი აგვისტოში მიემგზავრება პოლონეთში, სადაც საეკლესიო მუსიკის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. მალხაზ ერქვანიძის თქმით, მგალობლები ავსტრიასაც ესტუმრებიან და ქართული ხელოვნების დღეების ფარგლებში კონცერტს გამართავენ.

## ევროსაბჭო მონაწილეობას მიიღებს ელექტრონული მედიის კანონპროექტის დახვეწაში

„ელექტრონული მედიის შესახებ" კანონპროექტის დახვეწისთვის შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები, ევროსაბჭოს ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები.

ამის შესახებ ითქვა იუსტიციის მინისტრის, როლანდ გილიგაშვილისა და ევროსაბჭოს ექსპერტების, მარიო ოთჰამერსა და ქეროლინ მორისონს შორის გამართულ შეხვედრაზე.

როლანდ გილიგაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ ევროსაბჭოში გაწევრიანების დროს აღებულ ვალდებულებებს შორის არის ელექტრონული მედიის შესახებ კანონის მიღება, რომლის პროექტის პირველადი ვარიანტი უკვე მომზადებულია. კანონპროექტი არეგულირებს ელექტრონული მაუწყებლობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ელექტრონული მაუწყებლობის სახეებს, ადგენს მათი საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს.

მარიო ოთჰამერმა განაცხადა, რომ ევროსაბჭო მზად არის, მხარი დაუჭიროს და ითანამშრომლოს საქართველოსთან ისეთი მნიშვნელოვანი კანონის მიღებაში, როგორიც არის ელექტრონული მედიის საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება.

კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტს უნდა წარედგინოს გაისად, გაზაფხულზე.

*მედია-ნიუსი*

## „ვინც ამ კანონის წინააღმდეგია, ნარკომაფიის წინააღმდეგი არ არის"

### ჯანდაცვის სამინისტრო შსს-სა და პარლამენტის წინააღმდეგ

მაკა ჭაიანი

"ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" კანონპროექტის ირგვლივ ვითარება თანდათან იძაბება. ჯანმრთელობის დაცვის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ დოკუმენტის მოწინააღმდეგეთა მიმართ აქამდე შედარებით ლოიალურები იყვნენ, პარლამენტში განვითარებული მოვლენების შემდეგ გამწვავებას აღარ ერიდებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გაღიზიანებას იწვევს ის, რომ, პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ჯანდაცვის სამსახურები ვალდებულნი აღარ იქნებიან, ნარკომანებთან დაკავშირებული სამედიცინო საკითხები ამ უწყებასთან შეათანხმონ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის განცხადებით, ამ კანონის მოწინააღმდეგეებს ნარკომაფიის მოწინააღმდეგეებად ვეღარ მივიჩნევთ. სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი გამყრელიძე უფრო კონკრეტულია:

**"დიდი ფიქრი ამას არ სჭირდება. კანონპროექტი, ერთი მხრივ, მიმართულია იქითკენ, რომ ნარკომანს აღმოუჩინოს დახმარება, მეორე მხრივ კი, ქვეყანაში ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვას არეგულირებს. დაინტერესება სწორედ ამაშია. თუ ნაკლები ნარკომანი გვეყოლება, შავ ბაზარზე ნაკლები ნარკოტიკი გაიყიდება. ნარკომანების მკურნალობის ჩანაცვლებითი მეთოდი შვიდამდე პრეპარატს გულისხმობს, მაგრამ თერაპიაზე საუბრისას რატომღაც მხოლოდ მეტადონს ასახელებენ. მეტადონის პროგრამაში საქართველოში, დიდი-დიდი, 500-1000 კაცი ჩაერთოს და ამ ხალხისთვის საჭირო პრეპარატი კილოგრამობით აიწონება. მათთვის წელიწადში კილო-კილონახევარი ნარკოტიკი იქნება საჭირო, მაშინ როდესაც ჩვენი ნარკომანები, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, წლის განმავლობაში ორ-სამ ტონა ჰეროინს ან ოპიუმს საჭიროებენ. ვინც ამ ციფრებს იცნობს, არ კამათობს, მაგრამ, ვინც იცნობს და კამათობს, ლოგიკურ კითხვას ბადებს: რა ინტერესი ამოძრავებს? ძნელია, სხვების ინტერესებზე ილაპარაკო, მაგრამ ყველა, ვინც ამ კანონის წინააღმდეგია, ნარკომაფიის წინააღმდეგი არ არის."**

ძირითადი წინააღდეგობა "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" კანონპროექტს პარლამენტში ნატო ჩხეიძისგან შეხვდა. ყოველ შემთხვევაში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ კანონი მეორე მოსმენით სწორედ ქალბატონი ნატოს გამოსვლის შემდეგ არ გავიდა. იმაზეც საუბრობენ, რომ მის გამოსვლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს "სული" იგრძნობა.

აკაკი გამყრელიძე: **"40 წელია, ნარკომანიის საკითხებზე ვმუშაობ. ვიცნობ ყველას, ვისაც ამ საკითხზე უმუშავია, ყველას აზრი ვიცი და ვხვდები, ვის რა არგუმენტები მოჰყავს. მართალია, ქალბატონმა ნატომ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ ამ პრობლემით აღარ დაინტერესებულა. მის მიერ გახმოვანებული ინფორმაცია კი ძალიან ჰგავს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ წერილებს, რომელსაც ადრე კონკრეტული პირები წერდნენ. როცა ვინმეს საუბარში ნაცნობი ჟღერადობა გესმის, ასეთი ეჭვი ბუნებრივად გებადება, თორემ ამის დამტკიცება მე არ შემიძლია."**

გაცილებით შორს მიდის არასამთავრობო ორგანიზაცია "სასოების" ხელმძღვანელი გურამ მამაცაშვილი: **"მე ვერ გავიგე, სხვას რას გვთავაზობს კანონპროექტის საწინააღმდეგო უსუსური მტკიცებების ავტორი ექიმი ქალი? ქვეყანაში მოსახლეობის 4 პროცენტი ნარკომანია, ამ დროს ვიღაცა ნარკოტიკების შავ ბაზარს ლობირებს. ნუ გვაბრმავებენ. გაიხსენეთ, რა მოხდა "ომეგასა" და "ელიზს" შორის."**

ჩვენი მცდელობა, ნატო ჩხეიძისგან მოგვესმინა აზრი მის წინააღმდეგ გამოთქმული პრეტენზიების შესახებ, ფუჭი აღმოჩნდა - პარლამენტარი სასაუბროდ არ დაგვიკავშირდა. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, იქ ჯანმრთელობის დამცველთა შეხედულებების კომენტარისგან თავი შეიკავეს. სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა ალეკო ტაბატაძემ მხოლოდ ეს განგვიცხადა: **"ჩვენ კომენტარს არ ვაკეთებთ. ჩვენი კომენტარი საკომიტეტო მოსმენაზე დავაფიქსირეთ. კანონს სრულებით არ ვუპირისპირდებით, კანონი მისაღებია, მაგრამ გვაქვს ჩვენი მოსაზრებები მეტადონთან დაკავშირებით. დანარჩენ მუხლებზე ლაპარაკი არ არის."**

## სასამართლომ კულტურის სასახლეს ბატონ-პატრონი დაუბრუნა

ქეთი ქადაგიშვილი


ირაკლი ტუღუში
იური ლობოდინის ფოტო

მიმდინარე წლის 1 ივლისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ კულტურის სასახლის კუთვნილი შენობა საბოლოოდ დაიბრუნა.

1992 წელს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გაერთიანების კუთვნილი შენობა სამხედრო ღონისძიებების ჩასატარებლად ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოს გადასცა. 1998 წლამდე ამ შენობაში, გვარდიის გარდა, საჯარისო ნაწილები, კიტოვანისა და ქობალიას რაზმებიც იდგნენ. 1998 წელს კი, გაერთიანების წარმომადგენელთა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ, თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, სასახლე კვლავ პროფკავშირების გაერთიანებას დაუბრუნა. მაგრამ, რადგან სამინისტროს ღონისძიებების ჩასატარებლად საკუთარი შენობა არ ჰქონდა, კვლავაც კულტურის სასახლეში დარჩა. წლეულს საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას მშრალზე არც თავდაცვის სამინისტრო დაუტოვებია. პროფკავშირების გაერთიანება ვალდებულია, სამინისტროს ღონისძიებების უფასოდ ჩატარების ნება მისცეს.

შენობა კი დაიბრუნეს, მაგრამ,როგორც ამბობენ, მთლიანად გაძარცული. მარმარილოს იატაკი, ძვირფასი ინვენტარი, 80 ფოტოაპარატი და უამრავი მოსასმენი აპარატურა სადღაც გაქრა. ხოლო რაც დარჩა, მთლიანად გამოსაცვლელია. პირველ რიგში, მწყობრიდან გამოსული სახანძრო მოწყობილობა უნდა შეიცვალოს, რადგან ყოველ წუთს შეიძლება ცეცხლი გაუჩნდეს და შენობა მთლიანად დაიწვას. გაფუჭებულია საკონცერტო დარბაზიც, რადგან სახურავიდან წყალი ჩადის. შესაკეთებელია საკომუნიკაციო სისტემა. გაერთიანების თანამშრომელთა თქმით, სასახლე 1988 წლის შემდეგ აღარ გაუმაგრებიათ.

ყველა სიკეთესთან ერთად, თავდაცვის სამინისტრომ პროფკავშირების გაერთიანებას კომუნალური მომსახურების ვალებიც დაუტოვა. სასახლეს "წყალკანალის" 28 ათასი, ხოლო "ეიეს-თელასის" 18 ათასი ლარი მართებს .

**"პირველ რიგში მაინც შენობის შეკეთებაზე უნდა ვიზრუნოთ. თუ არ გავამაგრეთ და გავარემონტეთ, არავინ იქირავებს, შემოსავლის სხვა წყარო კი, ჯერჯერობით, არა გვაქვს,"** – გვითხრა გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმა. პროფკავშირების გაერთიანებას გადაწყვეტილი აქვს, სასახლეში კულტურული ღონისძიებები მოაწყოს. შენობით შოუბიზნესის წარმომადგენლებიც ისარგებლებენ. ეს ყველაფერი სამომავლო გეგმებია, ჯერჯერობით, კი გაერთიანებას, ავარიული შენობის გარდა, არაფერი გააჩნია.

სასამართლო დარბაზი

# მკვლელობაში ბრალდებულთა უპრეცედენტო განაჩენი

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ქუთაისის სამხედრო პროკურატურის თანამშრომლების საქმიანობას გენერალური პროკურატურა გადაამოწმებს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, აკაკი ქოიავას მიერ გამოტანილი უპრეცედენტო განაჩენით, "წყალში ჩაიყარა" ქუთაისის სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის წელიწადნახევრიანი თავდადებული შრომა.*

*გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსანტის, ვიქტორ ბიჩუკის, მკვლელობაში ბრალდებულნი, მეხუთე საპყრობილის შვიდი პატიმარ - განსასჯელი, რომელთაც ქუთაისის სამხედრო პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნით უვადო პატიმრობა ემუქრებოდათ, ორთვიანი სასამართლო გამოძიების შემდეგ მოსამართლემ გაამართლა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.*

მკვლელობაში ბრალდებული განსასჯელებისთვის გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი მძიმე აღმოჩნდა ქუთაისის სამხედრო პროკურატურისთვის. მოსამართლე აკაკი ქოიავას კერძო განჩინებით, გენერალურ პროკურატურას ქუთაისის სამხედრო პროკურატურის თანამშრომელთა გადამოწმება დაევალა. შედეგი ერთი თვის განმავლობაში უნდა ეცნობოს უზენაეს სასამართლოს. პატიმრობის შესახებ კანონის დარღვევისთვის თავის - მართლება ქუთაისის გარნიზონის ჰაუპტვახტის თანამშრომლებსაც მოუწევთ. მათი საქმიანობის შესწავლა და მათ მიმართ სათანადო ზომების მიღება, მეორე კერძო განჩინებით, მოსამართლემ თავდაცვის მინისტრს მოსთხოვა.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მკვლელობაში ბრალდებული შვიდი განსასაჯელის ბრალეულობის მტკიცებულებების გაბათილებისა და წინასწარი გამოძიების



*გამართლებულები სასამართლო გალიას ტოვებენ* გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. რაც ყველაზე მთავარია, მკვლელობის ვერსია, რომელზეც აგებული იყო საბრალდებო დასკვნა, სასამართლო გამოძიების პირველ ეტაპზევე გამოირიცხა. თუმცა ბრალდების მხარე მაინც თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ვიქტორ ბიჩუკი სწორედ ამ შვიდმა განსასჯელმა გადააგდო "ფოთი-თბილისის" მიმართულებით მიმავალი მატარებლიდან. შემდეგ მათ მოძებნეს გვამი და ხეზე ჩამოკიდეს, თვითმკვლელობის ვერსია შეიმუშავეს და გარდაცვლილს ჯიბეში სწორედ თვითმკვლელობაზე მიმანიშნებელი შინაარსის ბარათი ჩაუდეს. სახელმწიფო ბრალმდებლები, რომელთაც პროცესზე განსასჯელთათვის 15- წლიანი პატიმრობა მოითხოვეს, თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას იშველიებდნენ, რომლის მიხედვითაც, ბარათის დამწერად დაუსაბუთებლად იმხილებოდა ერთ-ერთი განსასჯელი. მოსამართლემ ეჭვი შეიტანა ექსპერტიზის ამ დასკვნაში და ხელმეორე კრიმინალისტიკურ-კალიგრაფიული კომისიური ექსპერტიზა დანიშნა უძლიერესი ექსპერტების ჩართვით. განმეორებითმა ექსპერტიზამ დასაბუთებულად კატეგორიულად გამორიცხა განსასჯელთაგან რომელიმეს ხელწერა, რამაც, თავისთავად, მკვლელობის ვერსია გამორიცხა.

სასამართლო გამოძიება არ დაეყრდნო წინასწარი გამოძიების დეტალებს. უფრო მეტიც, ქუთაისის სამხედრო პროკურატურის თანამშრომლები სამსახურეობრივ სიყალბეში და კანონის დარღვევის კონკრეტულ ფაქტებში ამხილა.

"საბრალდებო დასკვნა უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევით არის შედგენილი. გამოძიება კანონისა და კონსტიტუციის უგულებელყოფით არის ჩატარებული," - ასეთია გამამართლებელი განაჩენის შინაარსი.

სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა დაზარალებულის – გარდაცვლილის ბიძის -- სამოქალაქო სარჩელი, რომლითაც იგი განსასჯელთაგან მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად 20 ათას ლარს ითხოვდა; გამართლებულ განსასჯელებს კი მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც უბოძა.

ერთი სიტყვით, ორი დღის წინ თითქმის ორწლიანი პატიმრობის, ტანჯვა-წამებისა და მორალურად განადგურების შემდეგ ვარლამ აფხაძემ, კონსტანტინე გვენეტაძემ, შოთა წულეისკირმა, ზაზა ფაილოძემ, ოთარ კუჭავამ, კობა დანელიამ და ნუკრი ვაშაკიძემ გამართლებულებმა დატოვეს სასამართლო დარბაზი. "ამ ქვეყანაში ცხოვრება, თურმე, კიდევ ღირს... სამართლის ძებნაც, თურმე – შეიძლება," - ასეთი იყო მათი განწყობა.

# რუსთავის საქმის ბრალდებული ჩვენებას ცვლის

ინგა ალავიძე

*დღეს რუსთავის საარჩევნო კრიმინალის შესრულებაში ბრალდებულ შოთა თინიკაშვილის საქმეს განიხილავს თბილისის საოლქო სასამართლო. უფრო ზუსტად, სასამართლო პასუხს გასცემს ადვოკატ ალეკო ალადაშვილის შუამდგომლობას.*

შოთა თინიკაშვილის დამცველი ასაჩივრებს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ ბრალდებულისთვის მისჯილ სამთვიან წინასწარ პატიმრობას და პატიმრის გათავისუფლებას ითხოვს.

**"უდანაშაულო კაცი გაწირეს პოლიტიკური შეკვეთის შესასრულებლად. თუმცა, მე ამ საქმის პოლიტიკურ შეფასებას არ დავიწყებ და მხოლოდ გამოძიების მიერ დაშვებულ სერიოზულ ხარვეზებზე მოგახსენებთ,"** – განაცხადა ადვოკატმა ალეკო ალადაშვილმა და პრესკონფერენცია გამოძიების მიერ საქმეში დაშვებულ უკანონობაზე საუბრით გააგრძელა.

ადვოკატის პრეტენზია, ძირითადად, საქმეში არსებულ პროცესუალურ დარღვევებს ეხებოდა. კონკრეტულად, მოწმეთა დაკითხვისას და ეჭვმიტანილთან დაპირისპირებისას კანონდამცველთა მიერ ხელოვნურად დაშვებულ ხარვეზებს, რომელთა მეშვეობითაც მოხდა თინიკაშვილის ბრალდების გამყარება. თუმცა, ადვოკატის განცხადებით, ძიებისას შექმნილ ვითომდა მტკიცებულებებს



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

კანონიერი ძალა არა აქვს და იგი საქმესთან ერთად "დაირღვევა."

ადვოკატის განცხადებით, საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ შსს-ში უკვე ბრალდებულად გამოცხადებულ შოთა თინიკაშვილს აღიარებითი ჩვენება შსს-ს თანამშრომლებმა ჭაფოძემ და კენკებაშვილმა ჩვეული მეთოდებით გამოსძალეს. ამის შესახებ მისთვის ბრალდებულს უთქვამს გუშინწინ, პირველი შეხვედრისთანავე. შოთა თინიკაშვილმა ორთაჭალის ციხიდან ადვოკატის მეშვეობით გენერალურ პროკურორს ახალი განცხადება გაუგზავნა. ბრალდებული, ამჯერად, მის მიერ შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში მიცემულ აღიარებით ჩვენებას აპროტესტებს: **"რამდენიმე პიროვნება მიხსნიდა, რომ ჩემი აღიარება საჭირო იყო სახელმწიფო ინტერესებისთვის, რომ ამის შემდეგ მამალაძეს გააგდებდნენ სამსახურიდან... მემუქრებიდნენ, რომ თუ არ მივცემდი მათთვის სასურველ ჩვენებას, გამოიყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას: მცემდნენ, შემაერთებდნენ დენზე,ააწიოკებდნენ ჩემს ოჯახს და ა.შ. ჩემი ასეთი დამუშავება გრძელდებოდა რამდენიმე საათი, შემდეგ შემოიტანეს შავი ფერის სახელურიანი ტელეფონის აპარატი და მითხრეს, მოვმზადებულიყავი დენში ჩასართავად, თან იცინოდნენ, ერთი ვნახოთ, რა მაგარი ხარო... ძალზე შევშინდი და დავთანხმდი ჩვენების მიცემაზე,"** - აცხადებს შოთა თინიკაშვილი, რომელიც ახალი ჩვენების მიცემას მანამდე არ აპირებს, სანამ გენერალური პროკურორი არ დასჯის მასზე ზეწოლის განმხორციელებელ კანონდამცველებს.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი რევაზ ზარანდია, რომელიც რუსთავის საქმის საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობს, აცხადებს: **"რომელ ზეწოლაზეა საუბარი, როცა თინიკაშვილი ამოიცნეს მოწმეებმა, შედგა მასსა და მოწმეებს შორის დაპირისპირება. პირადად მე მოვიწვიე მისი ადვოკატი, რომლის თანდასწრებითაც მოხდა მისი სამედიცინო შემოწმება, შედგა დასკვნა, რომ არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, რომელსაც ხელი თინიკაშვილმა და მისმა ადვოკატმაც მოაწერეს და ყოველივე ამის შემდეგ ზეწოლაზე როგორ საუბრობენ, ჩემთვის გაუგებარია; ან რომელ პოლიტიკურ შეკვეთებზე მსჯელობენ. იცით, რას გეტყვით? პროკურატურა პოლიტიკური შეკვეთის შემსრულებელი მაშინ იქნებოდა, თუ ამ საქმეს არ გახსნიდა,"**- ამბობს პროკურორი რეზო ზარანდია.

# მკვლელები თავისუფლად დასეირნობენ

სოფიკო ჩხაიძე

დანაშაულთა კლასიფიკაცია მრავალი ნიშნით შეიძლება; მათ შორის იმის მიხედვითაც, თუ რა ტიპის კრიმინალის გახსნა და გამოძიება ხელეწიფებათ ჩვენს სამართალდამცველებს. ამის დადგენა არც ისე რთულია, თუ ყოველდღიურად მომხდარ დანაშაულთა და მათზე სამართლებრივი თუ ოპერატიული რეაგირების სტატისტიკურ მონაცემებს გადახედავთ. მაგალითად ის, რომ ნარკომანიის ფაქტი ყოველთვის იხსნება, სულაც არაა გასაკვირი – ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მაინცადამაინც პოლიციელს თუ არ შეეჩხა, ცხადია, ყურმოკრულის გამო, მის დანაშაულს სტატისტიკის დასამძიმებლად არავინ აღნუსხავს. გაცილებით რთული მდგომარეობაა ქურდობასთან დაკავშირებით. ქურდობათა დიდი ნაწილი ხომ გაუხსნელი რჩება. მაგრამ გასაკვირიც ის გახლავთ, რომ შს ორგანოების ხელმძღვანელობა გაუხსნელი ქურდობების დიდი რაოდენობით ამაყობს კიდეც. მათი თქმით, ადგილობრივი პოლიციის განყოფილებების მხრიდან დანაშაულის დაფარვით მიღწეული სტატისტიკური მონაცემების დაფიქსირება, ძირითადად, სწორედ ქურდობების დამალვით ხდებოდა. ამჟამად კი ეს პრაქტიკა შს მინისტრის ბრძანებით მოიშალა და აშკარა გახდა, რომ ქურდობა იმ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა გახსნა და დამნაშავეთა დაკავება პოლიციისთვის საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

სტატისტიკური მონაცემების განხილვისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყველაზე მძიმე დანაშაულს – მკვლელობას—ჩვენი სამართალდამცველები ხშირად ცხელ კვალზე ხსნიან. მაგალითად, წელს მარტო მაისსა და ივნისში მომხდარი 35 მკვლელობიდან 23 მაშინვე თუ არა, მეორე დღეს მაინც არის გახსნილი. მაგრამ აქ ერთ გაუგებრობას ვაწყდებით: ტერმინი "დანაშაულის გახსნა" არ გულისხმობს მხოლოდ დამნაშავის დაკავებას. თუ პოლიცია გვაუწყებს, რომ ესა თუ ის მკვლელობა გაიხსნა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მკვლელიც დაკავებულია. აქედან გამომდინარე, როცა პოლიციის მონაცემებს ჩაუღრმავდებით, აღმოაჩენთ, რომ მკვლელთა დიდი უმრავლესობა თავისუფლად არ დასეირნობს, მაგრამ მალვაში მყოფის ცხოვრების წესით ცხოვრობს. ფაქტი ჯიუტია – ისინი დაპატიმრებულნი არ არიან. იმავე მაის-ივნისში ჩადენილი მკვლელობებიდან დაპატიმრებულია მხოლოდ ცხრა მკვლელი. დაკავებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულს თუ ზედაპირულად მაინც შეისწავლით, აღმოჩნდება, რომ პოლიციას ძირითადად ოჯახურ-მეზობლური კონფლიქტების ნიადაგზე მომხდარი მკვლელობების ავტორთა დაკავება ძალუძს. დაკავებული ცხრა მკვლელიდან ოთხს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მეზობელი მოუკლავს, ერთს – ძმა, ერთს – ცოლი. მეზობლური და ოჯახური კონფლიქტების გარეშე მკვლელობის ჩამდენი კი პოლიციას მხოლოდ სამი დაუკავებია. აქედან ერთი რკინიგზის სადგურის დარაჯი გახლავთ, რომელმაც სანადირო თოფით ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოქალაქე მოკლა, ორიც ძარცვის დროს წინააღმდეგობის გამწევი მსხვერპლის მკვლელები არიან. დანარჩენი 26 მკვლელობის ჩამდენი დღემდე თავისუფალია. სამაგიეროდ, პოლიციურ ინფორმაციაში ხშირად შეხვდებით მონაცემებს სამი, ოთხი, ათი წლის წინათ ჩადენილი მკვლელობების გამო ძებნილთა დაპატიმრების შესახებ. რა თქმა უნდა, ის, რომ დამნაშავეს თუნდაც წლების შემდეგ უწევს პასუხისგება, მისასალმებელია. თუმცა შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არსებობს – ძებნილობის პერიოდში დამნაშავეები კვლავ ჩადიან დანაშაულს და, შესაბამისად, სამართალდამცველთა უუნარობა, დროულად დააკავონ ისეთი სერიოზული დანაშაულის ჩამდენი, როგორიც მკვლელობაა, საზოგადოებას რეალური საშიშროების წინაშე აყენებს.

# მოსამართლეების სამუშაო პირობები თანამედროვე სტანდარტებს უტოლდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

პირველად თბილისის ისტორიაში მოსამართლეებს მიეცემათ საშუალება, მართლმსაჯულება განახორციელონ საუკეთესო პირობებში, თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ შენობაში.

საქართველოს სასამართლოების შენობების რეკონსტრუქციას არც ისე დიდი ხნის წინ მსოფლიო ბანკმა მიჰყო ხელი და ამ პროექტის ფარგლებში უკვე გახსნილ თელავისა და რუსთავის რაიონულ სასამართლოებს გუშინ მესამე, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს შენობა დაემატა. უახლოეს მომავალში რეკონსტრუირებულ სასამართლოებს შეემატებათ გორის, ზუგდიდის და ახალციხის სასამართლოს შენობები. მსოფლიო ბანკის პროექტით გათვალისწინებულია 11 სამოდელო სასამართლოს რეკონსტრუქცია. პროექტი 2003 წლამდე უნდა დასრულდეს. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხების გახარჯვა სრულიად გამჭვირვალედ ხდება. მაგალითად, გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს რეკონსტრუქციაზე გათვალისწინებული 570 ათას 540 ლარის ნაცვლად 562 ათას 381 ლარი დაიხარჯა. მთლიანობაში გაწეულმა ეკონომიამ 8158 ლარი შეადგინა. ასეთივე დიდი დანაზოგებით მოხდა რუსთავისა და თელავის რაიონული სასამართლოების რეკონსტრუქცია.

**"ყველა სამუშაო ძალიან მაღალ დონეზეა შესრულებული. მოსამართლეებს და სასამართლოს თანამშრომლებს აქვთ იდეალური პირობები მუშაობისთვის. ის პრინციპი, რომ დასახლებულ პუნქტებში ყველაზე ლამაზი შენობა სასამართლოსი უნდა იყოს, საფუძველია ჩვენი მხრიდან მშენებლებისთვის წაყენებული მოთხოვნებისა. ვფიქრობ, ეს არის ქვეყნის აღმშენებლობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და მომავალშიც ამ სულისკვეთებით გაგრძელდება მუშაობა,"**-- სიამაყით განაცხადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ გუშინ გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს შენობის პრეზენტაციაზე.

მოქალაქის უფლებები

# ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება კანონით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის დარღვევა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსი.

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი მოქალაქის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სახის ადმინისტრაციული სასჯელი: გაფრთხილება, ჯარიმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის სასყიდლით ჩამორთმევა, კონფისკაცია, უფლების ჩამორთმევა, გამოსასწორებელი სამუშაოები, რომლის მინიმალური ვადაა 15 დღე, მაქსიმალური ვადა კი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ადმინისტრაციული პატიმრობა, რომლის მაქსიმალური ვადაა 30 დღე-ღამე. ადმინისტრაციული პატიმრობის დაკისრების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. ყველა სხვა ადმინისტრაციული სასჯელის შეფარდება შეუძლია შესაბამისი თანამდებობის პირს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის მოქალაქეს ადმინისტრაციული სასჯელი და პასუხისმგებლობა ეკისრება 16 წლიდან.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ უცხოელ მოქალაქეებსაც. გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულია ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებსაც უფლება აქვთ განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები და გამოიყენონ სასჯელი.

თანამდებობის პირი, რომელსაც უფლება აქვს განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მომხდარ შემთხვევაზე ადგენს ოქმს, სადაც უნდა აღინიშნოს თარიღი და ადგილი, შემდგენის ვინაობა და თანამდებობა, დამრღვევის ვინაობა, ახსნა-განმარტება, დარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, მოწმეთა და დაზარალებულთა ვინაობა და მისამართი.

მოქალაქეს უფლება აქვს: არ მოაწეროს ხელი ოქმს, დაურთოს მას ახსნა-განმარტება, შენიშვნა.

შედგენილი ოქმი დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, არის შემთხვევები, როცა ოქმი და მასალები გადაეგზავნება არა სასამართლოს, არამედ უფლებამოსილი ინსტანციის ზემდგომ ორგანოს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას შესაძლებელია ოქმის შესადგენად მოქალაქის მიყვანა პოლიციაში; ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოქმის შედგენა დარღვევის ადგილზე ვერ მოხერხდება.

თუმცა, ადმინისტრაციული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შესაძლებელია მოქალაქის დაკავება 3 დღე-ღამის განმავლობაში.

ადმინისტრაციული წესით დაკავებისას აუცილებლად უნდა შედგეს დაკავების ოქმი.

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მოქალაქეს უფლება აქვს: გაეცნოს საქმის მასალებს, წარადგინოს მტკიცებულებები, მისცეს ახსნა-განმარტება, აიყვანოს ადვოკატი, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, საქმის განხილვის ვადები განისაზღვრება დარღვევის მიხედვით.

საქმეზე გამოტანილი დადგენილება უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე და 3 დღის ვადაში ჩაბარდეს დამრღვევს.

მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, მოქალაქეს პასუხისმგებლობა უმსუბუქდება, თუ იგი მოინანიებს დარღვევას, ნებაყოფლობით აანაზღაურებს ზარალს, თუ სახეზეა პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები.

მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციული დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანოს, თანამდებობის პირს შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი პასუხისმგებლობისგან.

ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენება ვადაში შეზღუდულია. იგი გამოიყენება მაშინ, თუ დარღვევის ჩადენიდან არ არის გასული 2 თვე. ამ ვადის გასვლის შემდეგ მისი გამოყენება დაუშვებელია.

უცხოეთი

# ახალი სკანდალი ამერიკაში

ლოს-ანჯელესის პოლიციაში მიმდინარეობს ვიდეოჩანაწერის დეტალური შესწავლა, ვიდეოფირზე აღბეჭდილია თეთრკანიანი პოლიციელის მიერ შავკანიანი მოზარდის ცემა. ვიდეომასალა სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა სამართალდამცავების ხელში. ავტოგასამართი სადგურის ახლოს მდებარე სასტუმროში, სადაც რასისტული დანაშაული დაფიქსირდა, ტურისტი ვიდეოკამერით სასტუმროს ხედს იღებდა. ტურისტის კამერამ ჩადენილი დანაშაულის ფაქტი შემთხვევით დააფიქსირა.

პოლიციელების თქმით, 16 წლის შავკანიანი მოზარდი და მამამისი უმნიშვნელო საგზაო წესების დარღვევისთვის გააჩერეს. მოზარდი დააკავეს, ხელბორკილები დაადეს და უმოწყალოდ სცემეს.

დანაშაულში მხილებული პოლიციელი დაკავებულია. შავკანიანი მოზარდი უარყოფს დაკავებამდე გაწეულ წინააღმდეგობას.

გვინდა შეგახსენოთ ანალოგიურ შემთხვევა, როცა 1991 წელს როდი კინგიზე პოლიციელთა დაუნდობელი თავდასხმის ვიდეოკამერაზე აღბეჭდვა, მაშინაც შემთხვევით მოხდა. 1991 წელს გაერომ შავკანიანებზე თავდასხმათა სიმრავლე დაგმო და გამოსცა ანგარიში, სადაც მწვავედ აკრიტიკებდა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე რასისტული ძალადობის ფაქტებს და ნაციონალური უმცირესობის დევნას.

ამერიკაში რასისტულ დისკრიმინაციაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამერიკულ ციხეებში პატიმართა უმეტესი რაოდენობა შავკანიანია. სიკვდილმისჯილთა შორისაც ეთნიკური უმცირესობის სიმრავლე შეიმჩნევა.

პოლიციის ოფიცერთა მიერ ცნობილი რასიზმის გამოვლინებად ითვლება 1997 წელს, ნიუ იორკში, ჰაიტელ ემიგრანტზე - აბნერა ლუიმაზე - თავდასხმა.

მაშინ პოლიციელებს შავკანიანი ემიგრანტის ცემა ძალიან ძვირი – 9 მილიონი დოლარი -- დაუჯდათ.

# თავისუფლების ინსტიტუტს ვახტანგ ბოჭორიშვილიც უჩივლებს

თამარ მჭედლიშვილი

*გურამ შარაძე "თავისუფლების ინსტიტუტის" წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებს. იგი, ქუჩის აქციების შემდეგ, პარლამენტში მართავს პრესკონფერენციას და საჯაროდ აცხადებს, რომ "თავისუფლების ინსტიტუტს" უახლოეს მომავალში სასამართლოში უჩივლებს. მას არ აკმაყოფილებს პარლამენტის ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებების საფუძვლიანობას შეისწავლის საგამოძიებო კომისია. გურამ შარაძეს "თავისუფლების ინსტიტუტთან" ურთიერთობის გარკვევა სასამართლო დარბაზში სურს. სწორედ იქ უნდა დაამტკიცონ შარაძის ოპონენტებმა მისი სუკ-ის აგენტობა. და კიდევ: ახლო მომავალში, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დახმარებით, იგი მოიწვევს საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს და შეატყობინებს, თუ როგორ ეწევა თავისუფლების ინსტიტუტი დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას.*

საგულისხმოა ისიც, რომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე "თავისუფლების ინსტიტუტის" წინააღმდეგ "მომაკვდინებელ" ბრალდებებს" არა თავად გურამ შარაძე, არამედ უფრო მეტად ფრაქცია "XXI საუკუნის" ლიდერები ახმოვანებდნენ. მაგალითად, ელიზბარ ჯაველიძემ "თავისუფლების ინსტიტუტი" ამხილა რუსეთის სპეცაგენტურის ფარულ მხარდაჭერაში. თავად ფრაქციის თავმჯდომარემ ვახტანგ ბოჭორიშვილმა კი განაცხადა, რომ პრესკონფერენციაზე ისინი **"ჭეშმარიტებამ მოიყვანა". "თავისუფლების ინსტიტუტი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა,"** - განაცხადა მან და იქვე დასძინა, რომ ამ დასკვნამდე იგი იმ მიმართვის გაცნობის შემდეგ მივიდა, რომელიც განკუთვნილია თავისუფლების ინსტიტუტისა და მათი მეგობარი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის. მისივე თქმით, იგი სასამართლოში "პრეფაქტო სარჩელის" შეტანას გეგმავს, რომელმაც "თავისუფლების ინსტიტუტის" არსებობის არსი უნდა გამოარკვიოს. **"უნდა დამტკიცდეს, რომ ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც უნდა აიკრძალოს,"** - განაცხადა ვახტანგ ბოჭორიშვილმა.

გუშინ გურამ შარაძემ მიმართვის ტექსტი თავიდან ბოლომდე წაიკითხა, მაგრამ არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ ვინ იყო ამ მიმართვის ავტორი. მან ჟურნალისტებს მხოლოდ "თავისუფლების ინსტიტუტის" დაფინანსების წყარო შეახსენა. თავად მიმართვის ტექსტს არც ხელმოწერა და არც მისი რეალობის დამადასტურებელი რაიმე ნიშანი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ამგვარი **"კოსმოპოლიტიზმის იდეებით გაჟღენთილმა აბსურდმა"** დარბაზში და გურამ შარაძის სპეციალური მოწვევით მყოფ აუდიტორიაში ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია.

საინტერესო დეტალი: გუშინდელ პრესკონფერენციას ფრაქცია "სოციალისტის" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სოციალისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა იური ჩიხრაძემ დემონსტრაციულად, მედიის თანდასწრებით, სოლიდარობა გამოუცხადა გურამ შარაძეს და თავისუფლების ინსტიტუტთან ომში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

გუშინ არაერთი პრეტენზია თავად პრეზიდენტ შევარდნაძის მისამართითაც გაისმა. როგორც ფრაქცია "XXI საუკუნის" წევრმა ანზორ აბრალავამ განაცხადა, **"პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ ქაოსზე სწორედ შევარდნაძემ უნდა აიღოს".**



ელიზბარ ჯაველიძე, გურამ შარაძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ანზორ აბრალავა

# როგორ გავიგოთ, არის თუ არა გურამ შარაძე რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი და აქვს თუ არა ამას მნიშვნელობა?

გია ნოდია

ლევან რამიშვილის შენიშვნამ გურამ შარაძის მიმართ, "რუსთავი-2"-ის ღია ეთერში, საშუალო მასშტაბის პოლიტიკური სენსაცია გამოიწვია. შარაძის იმ ბრალდების საპასუხოდ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დასავლეთის და არა საქართველოს ინტერესებს გამოხატავენ, რამიშვილი დაინტერესდა: შარაძის ხშირი მოგზაურობა დასავლეთში 70-80-იან წლებში ხომ არ მოასწავებს, რომ ის საბჭოთა სუკის საიდუმლო თანამშრომელი იყო? მეორე დღეს პარლამენტის სხდომამ ლამის დაივიწყა სახელმწიფო ბიუჯეტი, რაკი დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა – რამიშვილის შენიშვნების გამო – თავისუფალ მედიას და არასამთავრობოებს შეუტია. კიდევ ერთი დღის შემდეგ კი თავად ბატონი გურამი განრისხდა და დეპუტატის მანდატი დროებით პარლამენტში დატოვა, სანამ ერთ-ერთი საპარლამენტო კომიტეტი, მისი თხოვნით, მისი სუკ-ის აგენტობის საკითხს გაარკვევს.

ეს ეპიზოდი მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველ რიგში, როგორ უნდა დაადგინოს საპარლამენტო კომიტეტმა, იყო თუ არა მოცემული მოქალაქე სუკ-ის თანამშრომელი? ლუსტრაციის კანონზე მსჯელობისას, ხშირად ისმის არგუმენტი, რომ შესაბამისი არქივები დიდი ხანია, გატანილია, ამიტომ "აგენტების" გამოვლენა უკვე შეუძლებელია. თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ საპარლამენტო კომისია გადამწყვეტს ვერაფერს იტყვის. პარლამენტარი ამას გამარჯვებად ჩაითვლის და მანდატს უკან წაიღებს, მაგრამ საზოგადოების ის ნაწილი, ვინც შარაძეს რუსული სპეცსამსახურების მაღალჩინოსნად მიიჩნევდა, ისევ თავის აზრზე დარჩება.

უფრო მნიშვნელოვანია, ზოგადი საკითხი დავსვათ: როგორ გაარჩიოს მტერი და მოყვარე საზოგადოებამ, რომელსაც არქივებზე ხელი არ მიუწვდება? შარაძის შემთხვევა შეიძლება, მხოლოდ მაგალითად გამოვიყენოთ. ამთავითვე ჩამოვაყალიბებ ჩემს პირად პოზიციას: მეც საკმაოდ სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ბატონი გურამი იმ ავადსახსენებელ ორგანოებთან თანამშრომლობდა. რაკი მაქვს წარმოდგენა იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემაზე და საბჭოთა სახელმწიფოს პრიორიტეტებზე, მიჭირს დავიჯერო, რომ ადამიანი, ვინც სისტემურად მუშაობდა დასავლეთში ქართულ ემიგრაციასთან, ამას არამცთუ საბჭოთა სპეცსამსახურებთან შეთანხმებით, არამედ მათი პირდაპირი დავალებით და ხელმძღვანელობით არ აკეთებდა.

მაგრამ ცხადია, შეიძლება ვცდებოდე და არ მესმოდეს საბჭოთა სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკა. რაც გინდა დამაჯერებელი იყოს პირადად ჩემთვის ასეთი ვარაუდი, ის მაინც ვარაუდად დარჩება და არა ფაქტად.

მთავარი ჩემთვის ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ ბატონი გურამ შარაძის მთელი მოღვაწეობა, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, თანამიმდევრულად ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და, ამავე დროს, ემთხვევა რუსეთის სპეცსამსახურების მიზნებს - ყოველ შემთხვევაში, ჩემს წარმოდგენას იმ მიზნებზე, რაც უნდა ჰქონდეთ მათ საქართველოში.

ბატონი გურამის მოღვაწეობას რომ ვაკვირდები, ეჭვი არ მეპარება, რომ ის მოქმედებს საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ. უხდიან თუ არა ამაში ჰონორარს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, ამის დადგენა ჩემთვის მეორეხარისხოვანია.

ამ ორი რამის გამიჯვნა მნიშვნელოვანია, რადგან პირველ საკითხზე რაციონალური დავაა შესაძლებელი, მეორეზე კი – მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა, სანამ შესაბამის არქივებში არ ჩაგვახედებენ. ეს კი, შეიძლება, არასოდეს მოხდეს.

ამ შეფასების დასასაბუთებლად ჯერ ჩამოვაყალიბებ, როგორ მესმის ჩემი ქვეყნის ეროვნული ინტერესები. მათ შორის უპირველესია ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება და ძლიერი, ქმედითუნარიანი სახელმწიფოს შექმნა. არც ერთი ამ მიზანთაგანი შესრულებული არ არის და არც გარანტია გვაქვს, რომ მოხილვად მომავალში შესრულდება.

ამ მიზანთა შესრულებაში ბევრი ფაქტორი გვიშლის ხელს, მაგრამ, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯერ გარე ფაქტორებზე გავამახვილებ ყურადღებას. რომელია გარე ძალა, ვისაც ყველაზე მეტად არ აძლევს ხელს ამ მიზნის შესრულება? - ეს რუსეთია. რატომ? - მას უნდა, რომ კავკასიაში დომინირებული პოზიცია ეკავოს, მაგრამ იცის, რომ ძლიერი და ერთიანი საქართველო მას არ დაემორჩილება. არც სუსტი ემორჩილება მაინცდამაინც, მაგრამ ეს იმიტომ, რომ დასავლეთის დახმარების იმედი აქვს.

შესაბამისად, რომელია საქართველოს ძირითადი გარე მოკავშირე მისი მიზნების განხორციელებაში? - დასავლეთი და, უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატები. ამერიკის მხარდაჭერის სტაბილურად გაგრძელების შემთხვევაში, საქართველოს ეძლევა შანსი, დაშლის პროცესი შეაჩეროს და ქმედითუნარიანი სახელმწიფო შექმნას. თუ როგორ გამოიყენებს ამ შანსს საქართველო და მისი ხელისუფლება – ეს სხვა საკითხია, ამაზე ახლა არ ვიმსჯელებ.

ყოველივე ამის მიზეზი ის არ არის, რომ რუსები ბუნებით ბოროტები არიან, ხოლო ამერიკელები – ბუნებით კეთილები. უბრალოდ, მოცემულ ეტაპზე ასეთია მათი პოლიტიკური ქცევის ლოგიკა. რუსეთს – ყოველ შემთხვევაში, მისი არსებული პრიორიტეტების და რესურსების პირობებში –სუსტი, დაქუცმაცების პირას მისული (მაგრამ არა ბოლომდე დაშლილი) საქართველო ურჩევნია, შეერთებულ შტატებს კი, კავკასიაში საიმედო და ქმედითუნარიანი პარტნიორი სჭირდება.

აქედან გამომდინარე, როგორი უნდა იყოს რუსეთის სტრატეგია საიმისოდ, რომ გაიადვილოს სამხრეთ კავკასიაში დომინირება? - როგორმე უნდა დაუკარგოს კავკასიისადმი ინტერესი ამ აბეზარ შეერთებულ შტატებს, ან, ყოველ შემთხვევაში, შეასუსტოს მისი პარტნიორობა საქართველოსთან. რა უნდა გააკეთოს ამისთვის რუსეთმა? - მან უნდა აჩვენოს შეერთებულ შტატებს, დასავლეთის სხვა ქვეყნებს, რომ საქართველო მათი საიმედო და ქმედითუნარიანი პარტნიორი ვერასოდეს იქნება, რომ ის ქრონიკულად სუსტი სახელმწიფოა, რომელიც ვერასოდეს დაძლევს ეთნიკურ კონფლიქტებს, ვერასოდეს გახდება მართლა დემოკრატიული და მოწესრიგებული ქვეყანა, ამიტომ მასში პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების დაბანდება არარაციონალურია.

მე თვითონ არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მომისმენია ეს არგუმენტაცია რუსი კოლეგებისაგან: კავკასია ქრონიკულად კონფლიქტური რეგიონია, ხოლო საქართველო – მისი ყველაზე უფრო სუსტი რგოლი. თქვენ – ამერიკელებო, ევროპელებო – აქ რეალური და სტაბულური ინტერესი მაინც არა გაქვთ, და აქაური პრობლემატიკა წესიერად მაინც არ გესმით, ამიტომ სჯობია, ჩვენ დაგვანებოთ ამ რეგიონის მოვლა. რატომ იტკიებთ აუტკივარ თავს? არც ჩვენ გვიხარია ამ შავი საქმის კეთება, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, თვითონ ვართ კავკასიის ნაწილი. თანაც აქაურობა კარგადა გვაქვს შესწავლილი, ამიტომ უფრო მივაღწევთ შედეგს.

აქედან გამომდინარე, როგორ უნდა გამოიყენონ რუსეთის სპეცსამსახურებმა თავისი აგენტურა საქართველოში?

მე რომ მათ ადგილზე ვიყო, ასეთ დავალებას მივცემდი: საჭიროა, ხელი შეეწყოს დაპირისპირებას ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე; ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხელს შეუშლის ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში და გააღვივებს მათში მტრულ დამოკიდებულებას ქართული სახელმწიფოსადმი; ამასთან, წახალისებას იმსახურებს ყველანაირი პროცესი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს დასავლეთში დისკრედიტაციას და საქართველოს ხალხში დასავლეთისადმი ნდობის შესუსტებას. საქართველოს მოსახლეობას უნდა ჩაენერგოს აზრი, რომ დასავლეთი მისი მტერია, რომ ის ქართველი ერის და ქართული კულტურის დანგრევას ცდილობს.

ახლა, რა მოვლენებით მახსენდება ბატონი გურამ შარაძის მოღვაწეობა ბოლო წლების საქართველოში? მოვიყვან რამდენიმე გახმაურებულ ეპიზოდს.

როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ მზადდებოდა ქართული რელიგიური ხელოვნების გამოფენა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გურამ შარაძე ამის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. ოფიციალური მოტივი: ამერიკელებმა შეიძლება ჩვენი სიწმინდეები აღარ დაგვიბრუნონ და, საერთოდ, ამ "ულმერთო" ქვეყანაში მგზავრობის გამო მათ შეიძლება მადლი დაკარგონ. უნებისყოფო ხელისუფლება დათანხმდა, გამოფენა ჩაიშალა. რა ამოძრავებდა ბატონ გურამს? როდიდან გადავარდა ის მისტიკაში? გამოფენის მიზანი იყო, გაეცნო ამერიკელებისთვის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურა, ეჩვენებინა, რომ საქართველო მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტების და "მხედრიონის" ქვეყანა არაა. კონტრაქტის ჩაშლა, თან ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური მოტივებით, ბუნებრივია, საქართველოს რეპუტაციას არ შეუწყობდა ხელს, აჩვენებდა, რომ საქართველო არ არის სანდო პარტნიორი და მისი ხელისუფლება თავის ქვეყანას ვერ აკონტროლებს. საზოგადოებას კი ჩაენერგებოდა სტერეოტიპი, რომ ამერიკა მართლმადიდებლობისთვის მტრული ძალაა.

ბატონი გურამი ცნობილია, როგორც ყველაზე ხმამაღალი მომთხოვნი საქართველოს მოქალაქის საბუთებში ეთნიკური ეროვნების გრაფის დაბრუნებისა (აქაც, უნებისყოფო პრეზიდენტმა დაუჭირა მხარი მის ინიციატივას, თუმცა განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე, და ეს საკითხი კვლავ შეჩერებულია). რატომ? - შარაძე საზღვარგარეთ კარგად ნამოგზაურები კაცია, მან მშვენივრად იცის, რომ ნორმალურ ეროვნულ სახელმწიფოებში ასეთი რეკვიზიტი არ არსებობს, და ეს შემთხვევითი არ არის. ასეთი ჩანაწერი იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფო ასხვავებს, ყოფს თავის მოქალაქეებს, მათდამი არათანაბარ დამოკიდებულებას იჩენს. ამით ის ხელს უშლის ქვეყანაში ერთიანი სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, უნერგავს თავისი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს იმ აზრს, რომ მათ ინტერესებზე სახელმწიფო არ იზრუნებს და მათ სხვა დამცველი უნდა მონახონ. ქვეყნები, სადაც ასეთი ჩანაწერები არსებობდა, ან უკვე დაიშალა (სსრ კავშირი, იუგოსლავია), ან მისი მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორეს დაერია (რუანდა). რუანდაში მიხვდნენ თავის შეცდომას, ტუტუს და ტუტსის (ამ ქვეყნის ორი მთავარი ეთნიკური ჯგუფია) ერთმანეთისგან განსხვავება ბელგიური კოლონიალიზმის გადმონაშთად ჩათვალეს და ეროვნების რეკვიზიტი ყველა ოფიციალური საბუთიდან მოხსნეს. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მოახერხა, იგივე გაეკეთებინა რუსეთში, თუმცა, მისი ეთნიკური ავტონომიები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ მას ძვირად ულირს საკუთარი ქვეყნის მთლიანობა და წინააღმდეგობას არ შეეპუა. შარაძე კი ჯიუტად მოითხოვს, რომ ეს რეკვიზიტი აღვადგინოთ.

ბატონი გურამი, სრულიად მოულოდნელად, წითელი ჯვრის აქტივისტადაც მოგვევლინა: ის ყველაზე აქტიური დამცველი გახდა მოქალაქე ცქიტიშვილისა, რომელიც საქართველოს წითელი ჯვრის თავმჯდომარე იყო და რომელსაც საერთაშორისო წითელი ჯვარი მის მიერ მიწოდებული თანხების გაფლანგვაში სდებდა ბრალს. რატომ დაინტერესდა შარაძე ამ ორგანიზაციის საქმიანობით და ამბრაზურასავით რატომ გადაეფარა ცქიტიშვილს, ძნელი სათქმელია. ერთი რამაა გასაგები: წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციამ განაცხადა, რომ ცქიტიშვილთან ვერ ითანამშრომლებდა და, თანამდებობაზე მისი დარჩენის შემთხვევაში, საქართველოში პროგრამებს შეწყვეტდა. ეს მხოლოდ იმას როდი ნიშნავს, რომ მრავალი გაჭირვებული ადამიანი დახმარების გარეშე დარჩებოდა: როცა ქვეყანასთან თანამშრომლობა წითელ ჯვარსაც კი აღარ შეუძლია, ეს ერთობ მძიმე დარტყმაა ამ ქვეყნის პრესტიჟზე.

სხვა ეპიზოდებს აღარ გავიხსენებ და გურამ შარაძის მოღვაწეობის ყველაზე ცნობილ სფეროს მივადგები: ესაა იელოველები და ბასილ მკალავიშვილი. გურამ შარაძე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისაგან განდგომილ, მაგრამ მართლმადიდებლობის სახელით მოქმედ რელიგიურ ფანატიკოსთა ჯგუფის მთავარი დამცველია. ხოლო, თუ რამე უტეხს საქართველოს სახელს დღევანდელ მსოფლიოში, ეს მკალავიშვილის ბრბოს აულაგმავი ძალადობაა. ის საქართველოს წარმოაჩენს როგორც ჩამორჩენილ, ცივილიზაციისგან შორს მდგარ ქვეყანას, რომელსაც იმპოტენტი, არაფრის მაქნისი ხელისუფლება ჰყავს. ასეთ ქვეყანას უნდა ეხმარებოდეს დემოკრატიული დასავლეთი?

აქ მეორე მომენტიცაა აღსანიშნავი: მართალია, მკალავიშვილი იელოველების და სხვა რელიგიური ჯგუფების, აგრეთვე, თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ბრძოლითაა განთქმული, მის მოქმედებას, ფაქტობრივად, მეორე სამიზნეც აქვს: ესაა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. მისი მოღვაწეობა სწორედ ამ ეკლესიის დანაწევრებაზე და მისი სახელის გატეხვაზეა მიმართული. ეკლესია კი ერთადერთი ძალაა დღევანდელ საქართველოში, რომელიც საზოგადოებაში მორალურ ძალას ინარჩუნებს. მკალავიშვილის მხარდაჭერა ეკლესიასთან დაპირისპირებაა. მიუხედავად ამისა, გურამ შარაძისთვის სწორედ მკალავიშვილია უდიდესი გმირი, სწორედ მან დაიმსახურა ყველაზე მხურვალე ოვაციები, შარაძის მიერ ამას წინათ ორგანიზებულ შეკრებაზე.

თვალსაჩინოა, რომ ყველა ამ ეპიზოდს აქვს ის საერთო ლაიტმოტივი, რაც ზევით ვახსენეთ: შარაძის ინიციატივები მიმართულია ან საქართველოში ეთნიკური და კონფესიური გათიშულობის და დაპირისპირების წახალისებაზე, ან საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობის გაფუჭებაზე, ან - ორივეზე ერთად.

მინდა თუ არა იმის თქმა, რომ უცხო ქვეყნის აგენტობა ერთადერთი შესაძლებელი ამხსნელია მისი ქცევისა? - რა თქმა უნდა, არა. ყოველივე ეს შეიძლება გაუგებრობის, უჭკუობის შედეგიც იყოს. იქნებ ბატონ გურამს მართლაც ჰგონია, რომ საქართველოს სწორედ იელოველები ანგრევენ და, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ყველაფერზე უნდა წახვიდე, ან ქართველს თუ პასპორტში არ ჩაუწერ, რომ ქართველია, თავისი ქართველობა დავიწყდება? მის აზრებს, მის კამპანიებს ხომ არაერთი მხარდამჭერი ჰყავს – ყველა მათგანს უცხო ქვეყნის აგენტად ხომ ვერ ჩავთვლით? ეჭვი არ მეპარება, რომ პოლიტიკაში ნაკლებ გათვითცნობიერებულ ადამიანს ასეთი შეცდომები მართლა შეიძლება მოუვიდეს. მაგრამ ბატონი გურამი ჩემზე ასეთი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

იქნებ, ბატონი გურამი უბრალოდ მოფაშისტო დემაგოგია, რომელიც ყველა ქვეყანაში არსებობს, დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ევროპაში? იქნებ მას უბრალოდ უნდა, ის პოლიტიკური ნიშა დაიკავოს, რაც საფრანგეთში ლე პენს უჭირავს, ხოლო რუსეთში – ჟირინოვსკის? ესეც სავსებით შესაძლებელია. ყველა მისი "მესიჯი" მოფაშისტო პოპულიზმის ლოგიკაშიც ჯდება. მაშინ სულ ტყუილად აბრალებენ უცხო ქვეყნის აგენტობას და ჩვენი ეჭვების გამო ბოდიში უნდა მოვუხადოთ: რას ვერჩით, არის კაცი, პატიოსნად, ჩვეულებრივი ფაშისტი (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფაშისტობა და აგენტობა ერთმანეთს არანაირად არ ეწინააღმდეგება).

მოკლედ, სათაურში გამოტანილი საკითხი ღიად რჩება: ბატონი გურამ შარაძე შეიძლება იყოს უცხო სპეცსამსახურების კმაყოფაზე, მაგრამ შეიძლება - არც იყოს. თუმცა ეს არ არის მთავარი. მთავარი სხვაა: ის იქცევა ზუსტად ისე, როგორც მის ადგილზე ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურების იდეალური აგენტი უნდა მოიქცეს.

### კომენტარი

კომენტარისთვის "24 საათი" თავად გურამ შარაძეს დაუკავშირდა, თუმცა მან გია ნოდიას ბრალდებები უპასუხოდ დატოვა. **"მე, გურამ შარაძე ვაცხადებ, რომ უზნეობად მიმაჩნია არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, გია ნოდიას შეხედულებების თაობაზე რაიმე კომენტარი გავაკეთო. მკითხველმა თავად განსაჯოს, ვინ არის ის და ვინ არის გურამ შარაძე,"** - განაცხადა მან.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

www.24hours.ge 24 B

ექსკლუზივი

# რობერტ სტურუა ბეკეტის პიესაზე იწყებს მუშაობას

სულ ცოტა ხნის წინ საქართველოში დაბრუნებულმა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ "24 საათს" თავისი ახალი ჩანაფიქრი გაანდო. ზაფხულში, დაახლოებით 14 ივლისიდან, რეჟისორი სემუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინზე" დაიწყებს მუშაობას. მთავარ როლს, სავარაუდოდ, რამაზ ჩხიკვაძე ითამაშებს. მართალია, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, შედგება თუ არა რუსთაველის თეატრის სცენაზე განუმეორებელი ტანდემი სტურუა-ჩხიკვაძე, მაგრამ ბეკეტის სტურუასეულ ინტერპრეტაციას ქართველი მაყურებელი ნამდვილად იხილავს.



*რობერტ სტურუა*

ИТАР-ТАСС

გამოკითხვა

# ვინ მოვა აქციებზე

ეთერ მამულაშვილი

*პოლიტოლოგების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ შემოდგომაზე პოლიტიკური სიტუაცია საგრძნობლად გამწვავდება, რასაც შეიძლება, ქუჩის მასობრივი აქციები მოჰყვეს.*

***საჭიროა თუ არა ხალხის ქუჩაში გამოსვლა და აქვს თუ არა ამას აზრი?*** *– ამ კითხვებით გუშინ ქუჩის სახელდახელო გამოკითხვა მოვაწყვეთ. რესპონდენტთა უმრავლესობამ ტრადიციული გულგრილობა გამოიჩინა. სამაგიეროდ, ზოგიერთი სიამოვნებითაც კი გვპასუხობდა. გთავაზობთ ათი მოხალისის აზრს.*

**კუკური კუპრავა - კოსმეტოლოგი**

ქუჩის აქციები შედეგიანი ნამდვილად არ არის. ძალიან თუ არ დაცხა, ზაფხულში მართლაც მოსალოდნელია აქციების აგორება, თუმცა ჩვენი საზოგადოების არსებული მენტალიტეტის ფონზე ამის საჭიროებას ვერ ვხედავ.

**ბადრი ჭალაგონია - 47 წლის, გამყიდველი**

ქუჩის აქციები ძალიან საშიშია, ყოველთვის დიდი შანსია იმისა, რომ ის მასობრივ არეულობაში გადაიზარდოს და ისევ ხალხისთვის დამთავრდეს ცუდად.



**მიმოზა აბრამიშვილი - 50 წლის, ყვავილების გამყიდველი**

აუცილებლად საჭიროა ასეთი აქციები. ხელისუფლებამ ყველანაირად გადაგვიარა თავზე. შედეგი აუცილებლად იქნება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. როცა საქმე ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და ჩემი უფლებების დაცვას ეხება, ყოველთვის აქციის მონაწილე ვიქნები.



**ინჟინერ-მშენებელი - 55 წლის**

საქმე მეტი არაფერი არა აქვთ, არ მუშაობენ და ვისაც უნდა შხამისა და ბოღმის გადმონთხევა, აქციაზეც ის მიდის.

პრეზიდენტის და ხელისუფლების გინება სისხლში გაუჯდათ. შეიძლება არ მოგწონდეს ის, მაგრამ ვალდებული ხარ, პატივი სცე მას. სხვა საქმე უნდა ნახონ.



**ეთერ მეტრეველი - 30 წლის, აბიტურიენტი...**

გააჩნია, ვისთვის არის ეს აქციები საჭირო. ეჭვი მეპარება, რომ ასეთმა აქციამ პოლიტიკურ ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. გაჭირვებული ნამდვილად არ მეთქმის, მაგრამ თუ აქცია იქნება სოციალურ ნიადაგზე, სოლიდარობის გამო აუცილებლად შევუერთდები.



**დიმიტრი არსენოვი - ფიზიკოსი, 61 წლის**

ხელისუფლება დროულად უნდა აქცევდეს ყურადღებას ხალხის მოთხოვნებს და მან არ უნდა დაუშვას, რომ ხალხმა თავისი ემოციები ქუჩაში გამოხატოს. მე ასეთ აქციაში არასოდეს არ მიმიღია მონაწილეობა, არც მივიღებ, რადგან ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო საკუთარი გრძნობების ქუჩაში გამოტანა.



**მარინა ჩხენკელი - 37 წლის, ექიმი**

უარყოფითი რეაქცია მაქვს აქამდე გამართულ ყველანაირ აქციაზე. რადგან ძირითადად მოთხოვნები იყო და არის უაზრო და ისეთი, რომელიც არასოდეს არ განხორციელდება. შესაბამისად, მას შედეგიც არ ექნება.



**ავთო წოწორია - 51 წლის, სამხედრო**

ქუჩის აქციები კარგს არაფერს მოიტანს, მითუმეტეს, ამის სავალალო მაგალითები სახეზე გვაქვს. ეს არის დროის ფუჭად დაკარგვა.



**იურისტი - 27 წლის**

ყველანაირი ქუჩის აქციის წინააღმდეგი ვარ, რადგან ქუჩაში გამოყვანილი ხალხის მართვა ძალიან იოლია. შეიძლება, ისინი ვიღაცამ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.



**ნინო ჟვანია - 24 წლის, სტუდენტი**

ქუჩის აქციები საჭიროც არის და კარგიც, თუნდაც მას შედეგი არ მოჰყვეს. ამ დროს ხალხი საკუთარი აზრის უკეთ და თავისუფლად გამოხატვას ეჩვევა.



## მერილინ მონროს პორტრეტისთვის

მერილინ მონროზე ბევრ დაუჯერებელ ისტორიას ჰყვებიან. მასზე შთაბეჭდილებების პრესასთან გაზიარება დღესაც არავის ეზარება. ჰოლივუდის "ოქროს ხანის" მსახიობი რიჩარდ უიდმარკი "დეილი ტელეგრაფთან" ინტერვიუში მერილინ მონროს პორტრეტს ახალ შტრიხებს სძენს: "მერილინი ძალიან მომწონდა, მაგრამ მასთან მუშაობა ყველაზე საშინელი, აუტანელი რამ იყო", - იხსენებს ძველი ჰოლივუდელი. უიდმარკის თქმით, როცა მონრო რამეზე გაბრაზდებოდა, საგრიმიოროში შეიკეტებოდა და ათასი თხოვნის მიუხედვად, არ გამოდიოდა. გადასაღებ მოედანზე მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა, როცა ხასიათზე მოვიდოდა, მაგრამ ისტერიკებს მაინც აწყობდა – აწეწილი ნერვების მოთოკვა უჭირდა.

87 წლის უიდმარკი მერილინ მონროსთან ერთად დაახლოებით 50 წლის წინათ მუშაობდა, ფილმზე Don't Bother to Knock. "ალბათ, მერილინი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ მას ბევრი რამის ეშინოდა, თავს უსაფრთხოდ ვერასდროს გრძნობდა, ეტყობოდა, რომ თავიდანვე ტრავმირებული იყო და საოცრად ჰგავდა დაშავებულ ჩიტს", - იხსენებს მსახიობი. სამაგიეროდ, უიდმარკს განსხვავებული მოგონებები აკავშირებს სპენსერ ტრეისისთან: "ის ისე იოლად და მარტივად აკეთებდა ყველაფერს, რომ მაოგნებდა. მასთან ერთად თამაში ფიგურულ სრიალს ჰგავდა, ისე მსუბუქად და ბუნებრივად ახერხებდა გარდასახვას". სხვათა შორის, რიჩარდ უიდმარკი ჰოლივუდის "ოქროს ხანის" ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან მსახიობთაგანია, რომლებიც ცოცხლები არიან. მათ დამსახურებლად უწოდებენ მოსიარულე კინო-კლასიკოსებს.



მერილინ მონრო

## ქალი სხვა რაკურსით

ორშაბათიდან ბრიტანეთის პორტრეტების ნაციონალურ გალერეაში იხსნება გამოფენა, რომელიც მთლიანად როკ-მუსიკოს ქალბატონებს ეძღვნება. ეს ორიგინალური პროექტი მუსიკის სფეროში მოღვაწე ჟურნალისტის, ლუსი ობრაიენის წიგნს (She Bop II: The Definitive History of Women in Rock, Pop and Soul) ეფუძნება. ძირითადად, გამოფენენ 20 ყველაზე ცნობილი მომღერლის პორტრეტს, მათ შორის იქნება: როკერი კრისი ჰაინდი, სოულის პრიმადონა დასტი სპრინგფილდი და დისკოს დედოფალი მადონა.

**"ქალებს ფოტოებს ხშირად იმ მიზნით უღებენ, რომ მათი ვიზუალური სილამაზე გადმოსცენ. ამ ფოტოებს სხვა მიზანი აქვს – მათ ქალი მომღერლების ქარიზმა და ძლიერება უნდა აჩვენონ"**, - ასე ხსნის ლუსი ობრაიენი წიგნისა და გამოფენის იდეას.

პროექტს მეტ ხიბლს ანიჭებს ის ფაქტი, რომ ფოტოები ცნობილ და დამსახურებულ ფოტოგრაფებს ეკუთვნით: ერიკ უატსონს, ველ ვილმერს, ჯილ ფურმოვსკის, პენი სმიტს... ფურმოვსკის ნამუშევარია ჰაინდის, ჯოან არმატრეიდინგის, ბიორკის პორტრეტები. ფოტოები ქრონოლოგიურად არის დალაგებული. გამოფენას ჯერ 60-იან წლებში გადავყავართ, თავისი მერიენ ფეითფულით, სენდი შოუთი, სპრინგფილდით. შემდეგ მოდის 70-იანი წლები, ანუ სუზი კუატროსა და კეიტ ბუშის ხანა, 80-იან წლებს თან შადე და ენი ლენოქსი მოჰყავს, უფრო თანამედროვე ეპოქას კი მადონა და დები ჰარი ასახავს.


შადე
REUTERS

XX საუკუნე – ქალები

## მდუმარე მუზა - ასტა ნილსენი

ანა კორძაია-სამადაშვილი

*დანიამ აჩუქა მსოფლიოს პირველი კინოვარსკვლავი, იმდროინდელი მზეთუნახავებისაგან სრულიად განსხვავებული - გამხდარი, მოძრავი, უშუალო ასტა ნილსენი, დიდი, ანთებული, შავი თვალებით. უცნობმა დანიელმა გოგომ ყველა წინამორბედის, თვით ფრანგი ტრაგიკოსის სარა ბერნარის დიდება დაჩრდილა.*

1881 წლის 11 სექტემბერს კოპენჰაგენში, მუშისა და მრეცხავის ღატაკ და არეულ ოჯახში დაიბადა ასტა ნილსენი. მის მომავალზე, ცხადია, არავის უფიქრია. მამა ავადმყოფი იყო, ენერგიული დედა ქალიშვილს სისტემატურად სცემდა მათრახით.

სკოლაში სწავლის დროს ასტამ იბსენის დრამები წაიკითხა და მაშინ გადაწყვიტა მსახიობობა. "ყველა დავრდომილისთვის, ღარიბისა და უბედურისთვის მინდოდა რამის თქმა, ამის ერთადერთ საშუალებად კი თეატრი მესახებოდა." ჯერ კოპენჰაგენის სამეფო თეატრს შეეკედლა, გუნდში იყო დაკავებული. მოგვიანებით, როცა 14 წლისას მამა გარდაეცვალა, სკოლას თავი დაანება და კერძო გაკვეთილებზე დაიწყო სიარული ერთ მსახიობთან, რომელიც მასზე დიდად ზრუნავდა და ფინანსურადაც ეხმარებოდა. ახალგაზრდა ქალის ცხოვრების წესი იმ დროს ყოვლად უმსგავსოდ ითვლებოდა, ხოლო როცა თვრამეტი წლისა დაორსულდა – (მამის ვინაობა არ გაუმხელია) – საყოველთაო გაკიცხვის საგანი გახდა. მიუხედავად ამისა, ასტამ ბავშვი გააჩინა, ქალიშვილი, იესტა: "ბავშვის ყოლა ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია; ქმრისა – ნაკლებად." თუმცა, გოგონა თავდავიწყებით უყვარდა, მრავალი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ მოგონებებში მასზე ფაქტობრივად არაფერი დაუწერია – ასტა ფრიად თავისებური ქალი ბრძანდებოდა და არავის პირად ცხოვრებაში არ ერეოდა, თითქოს არც აინტერესებდა.

1879 წელს ასტა ცოლად გაჰყვა კოპენჰაგენელ პეტერ ურბან გადს, რომელიც მისი ფილმების სცენარის ავტორი და რეჟისორი იყო, ერთად 20-ზე მეტი ფილმი გადაიღეს. გერმანიამ იოლად შეძლო ცოლ-ქმრის გადაბირება და დანიელი ნილსენი გერმანული მუნჯი კინოს ვარსკვლავი გახდა.

იმხანად უკვე ცნობილი თეატრის მსახიობის, ასტა ნილსენისა და დრამატურგის, პეტერ ურბან გადის ერთობლივი კინოდებიუტი, Der Abgrund, 1910 წელს შედგა და უმალვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

ფილმი 45 წუთი გრძელდება, მასში მოთხრობილია ერთი ლამაზი გოგოს ამბავი, რომელიც პასტორის ოჯახში აღმზრდელად მუშაობდა, შემდეგ კი ცირკის მსახიობმა შეაცდინა. გოგონას მოჯირითე ძალიან შეუყვარდა, მაგრამ უცხო გარემომ ნელ-ნელა გარყვნა და ბოლოს მან თავისი საყვარელი მოკლა.

ეს გახლდათ ერთ-ერთი პირველი ეროტიული მელოდრამა, სტილითაც უჩვეულო: მიუხედავად იმისა, რომ თეატრის მსახიობი იყო, ასტას არ ახასიათებდა იმ დროის კინოში მიღებული ეგზალტირებული პოზები და დრამატული მიმიკა. ასეთი მსახიობი ევროპაში ჯერ არ ენახათ. ამჟამად Der Abgrund ევროპაში პირველ პროგრამულ ფილმადაა მიჩნეული.

გერმანიაში ასტა ნილსენს საკუთარი კინოსტუდია ჰქონდა, Art-Film, მეორე ქმრის, საზღვაო ფლოტის ოფიცრის საჩუქარი. სტუდიის ყველაზე დიდი წარმატება იყო ფილმი "ჰამლეტი" (1920). ჰამლეტს თავად ასტა თამაშობს, და მისი ინტერპრეტაციის თანახმად, პრინცი ბოლოს გადაცმული ქალი აღმოჩნდება. მიუხედავად ასეთი უჩვეულო გადაწყვეტისა, კრიტიკოსები აღფრთოვანებული იყვნენ: "შექსპირი დიდებულია, რადგან 15.000 სიტყვა აქვს გამოყენებული. ასტა ნილსენმა უსიტყვოდ წარმოადგინა მისი დიდება." თავად ასტა კი წერდა: "ახდა ჩემი მრავალწლიანი ოცნება და გამართლდა ჩადებული შრომა და მოთმინება. ფილმი საუკეთესო ჯილდო იყო."

ასტა თანაბარი წარმატებით თამაშობდა პატარა გოგოს და ასაკშეპარულ ქალს, მეძავს და პროლეტარს, ესპანელს და ესკიმოსს, ქალს და მამაკაცს. განსაკუთრებით იმ ფილმებში იმსახურებდა მოწონებას, სადაც დიდი და უბედური სიყვარულის ამბავი იყო მოთხრობილი, გმირის ტანჯვა და სიკვდილი – დრო იყო ასეთი, მაყურებელს გული უჩუყდებოდა.

1932 წელს ასტამ ხმოვან ფილმში ითამაშა - "შეუძლებელი სიყვარული". ეს გერმანიაში მისი ბოლო როლი იყო, ხმოვანი ფილმის გაჩენასთან ერთად მისი კარიერა დასრულდა, რადგან საშინელი დანიური აქცენტით ლაპარაკობდა. ღირსეული მეტოქეც გამოჩნდა - გრეტა გარბო. მართალია, თავად გარბოს თქმით, "გამოხატვისა და გარდაქმნის უნარზე თუ ვისაუბრებთ, მასთან (ასტასთან) შედარებით არარაობა ვარ," ხოლო რეჟისორი გ.ვ. პაბსტი წერდა: "თუ გრეტა გარბოს ღვთაებრივს უწოდებენ, ასტა ნილსენი ადამიანურია." გარდა ამისა, სტუდია დაიხურა - ასტამ ქმარი მიატოვა და სხვა კაცთან დაიწყო ცხოვრება.

ასე თუ ისე, 25 - წლიანი ტრიუმფის შემდეგ 1935-ში ასტა დანიაში დაბრუნდა. გერმანია ძნელად შეელია ვარსკვლავს. ნაციონალ-სოციალისტებისა და ასტას ურთიერთობა არ შედგა: პროპაგანდის მინისტრი გებელსი საკუთარ კინოწარმოებას სთავაზობდა, მაგრამ ქ-ნი ნილსენი ფრიად პრინციპული ადამიანი იყო. გარდა ამისა, გერმანიის დატოვება, იმ დროის მრავალი ხელოვანისაგან განსხვავებით, არ გასჭირვებია, დანია მისი სამშობლო იყო და ხელგაშლილი ელოდა.

"ის არის ერთადერთი კინოხელოვანი, რომელსაც შეიძლება გენიალური ეწოდოს და რომლის შემოქმედება ბუნებრივი მონაცემებითაა განპირობებული. ყველამ, ვისაც მასთან მეგობრობის ბედნიერება ხვდა წილად, იცის, რომ ეს ქალი, ისევე, როგორც ყველა დიდებული ხელოვანი, ძლიერი პიროვნებაა და მისი არნახული იუმორი და ცხოვრებისეული სიბრძნეც გაწუმეორებელია." ამ სიტყვებით ახასიათებდა მსახიობი და რეჟისორი პოლ ვეგენერი ასტას.

აღნიშნული იუმორი და სიბრძნე მკითხველს თვალში ხვდება 1946 წელს გამოქვეყნებული მოგონებების, "მდუმარე მუზის" (ორიგინალში Den tiende Muse) ყოველ გვერდზე. ასტამ 65 წლის ასაკში დაიწყო წერა და, ნობელის ლაურეატი იოჰან იენსენის თქმით, "დიდი მსახიობი რომ არ ყოფილიყო, დიდი მწერალი იქნებოდა." ის წერდა მოთხრობებს, საგაზეთო სტატიებს და ტექსტს რადიოგადაცემისათვის "სიბერე – ახალი ცხოვრება".


ასტა ნილსენი ჰამლეტის როლში

მართლაც, სიბერესთან ერთად ახალი ცხოვრება დაიწყო და სახვით ხელოვნებაშიც კი წარმატებას მიაღწია: "სხვა სახის ფერწერა აღმოვაჩინე, არა ფუნჯითა და საღებავით, არამედ ფერადი მასალით, რომლითაც ადამიანებს და ცხოველებს, პეიზაჟებსა და ყვავილებს ვქმნი."

ამ სრულიად დაუზარელ და დაუღალავ ქალს ქალიშვილის თვითმკვლელობამაც ვერ მოუღო ბოლო, თუმცა იმხანად 83 წლისა იყო. ის არაფერს ეპუებოდა და როცა გაირკვა, რომ მისი ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღებას ხელი ვერავინ მოჰკიდა, 86 წლისამ რეჟისორობა სცადა. შედეგი – ფილმი "ასტა ნილსენი" - შესანიშნავი იყო.

შემდეგ მესამედ გათხოვდა, 18 წლით უმცროს, ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე ქრისტიან თედეს გაჰყვა ცოლად - "ის ჩემი ცხოვრების დიდი სიყვარულია". ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა: 1970 წელს გარდაიცვალა ქრისტიანი, ორი წლის შემდეგ კი - ასტა.

ცოლ-ქმარმა თავისი ქონება ფონდს უანდერძა, რომელიც ნაკლებადშეძლებული მოხუცებისათვის მოგზაურობებს აწყობს. მიზეზი? "მოგზაურობა ძალიან კარგი იყო და მოგვინდა, რომ სხვებისთვისაც მიგვეცა ამის შესაძლებლობა."

**P.S.** *1997 წელს ბერლინის გამომცემლობა* Jovis*–მა გამოაქვეყნა წიგნი: "სიყვარული ოთხმოცი წლის ასაკში. ასტა ნილსენი – ქრისტიან თედე. წერილები." თუ ხელი მიგიწვდებათ, წაიკითხეთ, ძალიან ისიამოვნებთ. თან დარწმუნდებით, რომ მუნჯი კინოს ვარსკვლავი ასტა ნილსენი არასოდეს დაბერებულა.*


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

### დავით ბუხრიკიძის სვეტი

## ცხელი ვახშამი და კამერული გამოთხოვება საფრანგეთთან

უნდა გამოვტყდე, რომ ცხელი ვახშამი, უფრო ზუსტად სადილ-ვახშამი, ორჯერ ვიგემე კამერული მუსიკის თანხლებით და ორივეჯერ ეს საამო-გასტრონომიული აქტი საფრანგეთთან არის დაკავშირებული. ერთხელ ეს იყო ლიონში, ორი წლის წინ, სადაც თანამედროვე ცეკვის ბიენალეზე აღმოსავლეთის თემით გაცისკროვნებული ორკვირიანი ქორეოგრაფიული სანახაობა გავსინჯე (საფრანგეთის საელჩოს ხელდასმით) და მეორედ გასულ შაბათს, როდესაც საფრანგეთის ელჩის მრჩეველი კულტურის საკითხებში, ქალბატონი პასკალ ჟუსტი კულტურით ზედმეტად "დატვირთულებისათვის" გამოსათხოვარ ვახშამს აწყობდა.

თუ პირველ შემთხვევაში ლიონის რესტორანში, მსუბუქი კამერული ტრიოს ფონზე, "ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობილი კრიტიკოსი ანა კისელგოფი გამიმასპინძლდა (რომელმაც ჩინებულად იცის რუსული და ოცდაათი წელი ფრანგულ ქორეოგრაფიას შეალია), მეორე შემთხვევაში ეს იყო საფრანგეთის საელჩოს მრჩევლის სახლი, სადაც რეზო გაბრიაძის, მანანა დოიჯაშვილის და კულტურით გულანთებულ სხვა ქართველთა გულები კამერულმა კვარტეტმა კარპოსა და ბოკერინის კვარტეტებით გაალღო.

ესთეტიკური და გასტრონომიული ოინი საფრანგეთის კულტურის ატაშემ ძალიან დახვეწილად ჩაატარა - ჯერ იყო მშვიდი და მადისაღმძვრელი აპერიტივი, ხოლო შემდეგ ხანგრძლივი და, გემრიელი სადილი, რომელსაც დესერტად უგემრიელესი ნამცხვრების კასკადი მოჰყვა. მესმის, რომ ამგვარი დეტალები გულისამრევია ოდნავ საშუალოდ მაცხოვრებელი ან მეტროში მოსიარულე მოქალაქისათვის, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ სტატეგიულად დახვეწილი ვახშამი, გახეხილი ჯინსები და ნაძალადევი ბაასი ფრანგულ მუსიკასა და ქორეოგრაფიაზე, საქართველოში რთულად ეწყობა ერთმანეთს.

ქალბატონმა პასკალ ჟუსტმა საქართველოს კულტურულად "მოქცევას" ხუთი წელი შეალია. 1997 წლიდან იგი ელჩის მრჩეველია კულტურის საკითხებში და შესაბამისად, ბევრი უცხო, უცნაური თუ საამო საღამო მოაწყო, განსაკუთრებით ქორეოგრაფიითა და თეატრით გატაცებულთათვის. ზოგჯერ იყო ხაზგასმით ინტელექტუალური შეხვედრებიც, რომელიც ფრანგული წიგნების გამოცემას შეეხებოდა და იყო სნობებისათვის გამიზნული ალენ დელონის რეტროსპექტივაც. თუმცა მრავალწლიან კულტურულ საჩუქრებს, მით უმეტეს - ფრანგულს, კბილი არ გაესინჯება.

სნობებიც და გულშემატკივრებიც ქალბატონ ჟუსტს ნამდვილად დაუფასებენ არცთუ უსაფუძვლო გარჯას თანამედროვე ფრანგული ქორეოგრაფიის პროპაგანდისათვის. ვისაც ახსოვს მელანქოლიურად და მსუბუქად შემართული კატრინ დივერესი "სამეფო უბნის თეატრში", ტრაგი-კომიკურად და დასამახსოვრებლად მჟღერი ბეკეტი "ვიდი ლოზანის" ინტერპრეტაციით მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში, ან დანიელ ლარიოს გეომეტრიული პოეზიით ნაქსოვი ქორეოგრაფია სპექტაკლში "როგორ მშვიდად ვიყავით", მას პასკალ ჟუსტის სახელიც ემახსოვრება. მითუმეტეს, რომ მსგავს აქციებს (მნიშვნელობისა და ხარისხის მიუხედავად) ქართველი მაყურებელი ნაჩვევი არ იყო. არანაკლებ საინტერესოა ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის დაარსების საქმეში მრჩევლის როლიც. მისი მეუღლე, ალენ პორი კი მედიათეკის დირექტორი იყო, საიდანაც პროვინციულ თვითგვემაში მოქცეულ ინტელექტუალს ნამდვილად შეეძლო მიეღო რაღაც კულტურული საზრდო - დაწყებული ფრანგული კლასიკური მუსიკით და დამთავრებული თანამედროვე ფრანგული ცეკვით.

მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და პასკალ ჟუსტის კულტურულმა ჟამმაც მოაწია. კულტურის ატაშემ, რომელსაც, ცოტა არ იყოს, სევდიანი განწყობილება ჰქონდა იმ საღამოს დამსწრე პუბლიკას საფრანგეთის ელჩის ახალი მრჩეველი, ბატონი ფრანსუა ლორანი წარუდგინა, რომელიც მანამდე მოსკოვში და მინსკში მუშაობდა. ორმოცს გადაცილებული, იუმორით სავსე მუსიე ფრანსუა, თურმე, კინოსა და ცეკვის დიდი მოყვარული ყოფილა. მისი საყვარელი რეჟისორია ანდრე ტეშინე, რამაც ჩემში ოდნავ მლიქვნელური აზრიც აღძრა: მაშინვე მივუგე, რომ ანდრე ტეშინეს "ბაროკო" (იზაბელ აჯანის მონაწილეობით) ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფილმია. შემდეგ დიდხანს ვისაუბრეთ მოსალოდნელი კულტურული კონტაქტების გაღრმავებაზე და იმაზე, რომ ნაცრისფერი ბელორუსის შემდეგ საქართველო ნამდვილად ბაროკოს მაუწყებელია.

მართალია ბატონ ფრანსუა ლორანს ბატონი ლუკაშენკო კულტურულად არ გაუთათხავს, მაგრამ არც ირონია დაუმალავს. მოგვიანებით, დესერტის ჟამს მისი ქორეოგრაფიული სიმპათიებიც გაირკვა. თურმე უყვარს თანამედროვე ფრანგული ცეკვის "პატარა პრინცი" დომინიკ ბაგუე, პოსტ-მოდერნისტი ჟან კლოდ გალოტა და არც ზემოხსენებულ კატრინ დივერესზე არის მწყრალად. როდესაც განვუცხადე, რომ დივერესის ცეკვა ორი წლის წის თბილისში ვნახე, გაოცებისაგან მხრები აიჩეჩა, თუმცა, დასძინა: "ეს სულ პასკალის ოინებია".

დიახ, ქალბატონ პასკალის კულტური ოინები თბილისში დასრულდა. სამაგიეროდ იწყება ბატონი ფრანსუა ლორანის ხუთწლიანი კულტურული საგა, რომელიც, იმედია, ისეთივე ნაყოფიერი, გემრიელი და მსუბუქი იქნება, როგორც ფრანგული ვახშამი კამერული მუსიკის თანხლებით კულტურის ატაშესთან... უკაცრავად, უკვე ყოფილ და მომავალ კულტურის ატაშესთან. კულტურა ხომ ერთი გრძელი და ფაქიზი კონტინიუმია.

## ნუნუ გაბუნია საბავშვო სიმღერების კომპაქტ-დისკის გამოშვებას აპირებს

კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია საკუთარი სიმღერების კომპაქტ-დისკის გამოშვებას აპირებს. როგორც კომპოზიტორი ამბობს, ეს იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც რუსთავის სახელმწიფო საბავშვო თეატრში სპექტაკლი „კონკია" მუსიკალურად გააფორმა.

„კონკიას" პრემიერა საბავშვო თეატრში ერთი თვის წინათ გაიმართა.

ნუნუ გაბუნიას თქმით, სპექტაკლი, რომელიც გიგა ლორთქიფანიძის სტუდენტებმა დადგეს, დიდი წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლში კომპოზიტორის მიერ შექმნილი მრავალი საბავშვო მელოდია აჟღერდა. „საბავშვო სიმღერების კომპაქტ-დისკი ქართველი ბავშვებისთვის ნამდვილი სიურპრიზი იქნება, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რომელი სიმღერები შევა ახალ დისკში", - აცხადებს გაბუნია.

*მედია-ნიუსი.*

### თეატრები

✓ **პანტომიმის თეატრი**
"დუმილის პოეზია", რეჟ. ამირან სალიკაშვილი, დას. 18.00

### საგამოფენო დარბაზები

✓ **ეროვნული გალერეა**
თამაზ ნუცუბიძის გამოფენა

✓ **საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გიორგი მაქაცარიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

✓ **TMS**
ინტერიერის გამოფენა

✓ **ორიენტი**
80-იანელების ფოტოარქივი

✓ **ქარვასლა**
თინათინ კლდიაშვილის გამოფენა: ბატიკა და გობელენი
"ვიზუალური კვლევა წამების გარშემო": ვატო წერეთლის, გურამ წიბახაშვილის, გიო სუმბაძისა და ლევან ჭოღოშვილის ნამუშევრების გამოფენა

✓ **New art**
"ხელოვნება თქვენს სივრცეში": თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა

✓ **შერატონ მეტეხი პალასი**
გია გუგუშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

✓ **ჰობი**
თამაზ ყიფშიძის, მურმან მახათაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

✓ **ვერნისაჟი**
ნიკო ცეცხლაძის, ლიკა ქავჟარაძის და შოთა კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა

✓ **სალონი ხელოვნება**
ხელოვნების ნიმუშების და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

✓ **ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

### კინოთეატრები

✓ **რუსთაველი**
"ადამიანები შავებში", დას: 17:00; 19:00; 21:00; 22:30

✓ **ამირანი**
"შოუ იწყება", დას: 19:00
"დროის მანქანა", დას: 21:00; 10:30

# ქართული მხატვრობის ბედი არტ-ბაზარზე



პიკასო - საწყისი ფასი 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი

REUTERS

მსოფლიოში ხელოვნების ნიმუშებზე მოდა და, შესაბამისად, ფასები დაახლოებით 7-15 წელიწადში ერთხელ იცვლება. ბოლო 2 ათეული წლის მანძილზე მსოფლიოს წამყვან აუქციონებზე არ ჩამცხრალა ბუმი იმპრესიონისტებზე. ნელ-ნელა გერმანელი ექსპრესიონისტების მხატვრობასაც მოემატა ფასი. ამას მოჰყვა არტ ნუვოს და არტ დეკოს ხელოვნების ნიმუშებით დიდი დაინტერესება. უკანასკნელი 2 წელია კი არტ-დილერები მე-20 საუკუნის ავანგარდულ და მოდერნისტულ მხატვრობას დაეშურნენ. ყოველივე ამას ლონდონში ჩატარებული ბოლო აუქციონების შედეგებიც ცხადყოფს. სოტბიმ 26 ივნისს ჩატარებულ აუქციონზე, გამოტანილი თანამედროვე ხელოვნების 84 პროცენტი გაყიდა რაც სოტბისთვის ამ დარგში ყველაზე დიდი მაჩვენებელია 1990 წლის შემდეგ. გერმანელი ექსპრესიონისტის ერნსტ ლუდვიგ კირჰნერის Akte in der Sonne, morizburg (1910) 3,5 მილიონ ევროდ გაიყიდა. ელიზაბეტ პეიტონის "მათეს პორტრეტი"(1997), რომლის საწყისი ფასი 30000-40000 ევრო იყო, 89000 ევროდ წავიდა. არანაკლები შედეგი აჩვენა კრისტის მიერ 27 ივნისს ჩატარებულმა იმპრესიონისტების და თანამედროვე ხელოვნების აუქციონმა - პიკასოს "მარია ტერეზა ვალტერის პორტრეტი"(1932) 16 მილიონ ევროდ, ხოლო ემილ ნოლდეს Blumengarten (1922) 2,2 ევროდ გაიყიდა.

მსოფლიოში გაბატონებულ მოდას, რომელიც ჩვენთან რუსეთის გზით შემოდის, არც ქართული არტ-ბაზარი ჩამორჩა და საქართველოშიც, ბოლო რამდენიმე წელია, რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება მხატვრობისადმი. აღარავის აინტერესებს მე-19-ე საუკუნის დასავლეთ ევროპული ან რუსული, კლასიცისტური თუ ნატურალისტური, საშუალო და დაბალი ხარისხის სურათები. რაშიც დღევანდელი გადმოსახედიდან ფანტასტიურ თანხებს იხდიდნენ ქართველი და რუსი მყიდველები. საქართველოს კერძო კოლექციებში ზემოთჩამოთვლილი ევროპული მიმდინარეობების ნიმუშები, ფაქტიობრივად არ მოიპოვება. ამდენად, ბუნებრივიცაა, რომ დასავლეთიდან ნაკარნახევი მოდის მიხედვით ჩვენთან ჩანაცვლება ამავე პერიოდის ქართული მხატვრობით მოხდა. დღეისათვის ქართველ მხატვრებზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ფიროსმანი, კაკაბაძე, ქიქოძე, გუდიაშვილი, ახვლედიანი, ფარჯიანი, ვარაზი... მათი რეალიზაცია ძირითადად საქართველოშივე ხორციელდება. იგივე, ვთქვათ, გუდიაშვილი ან ახვლედიანი დასავლეთშიც და რუსეთშიც ნაკლებად აინტერესებთ. ქართველი მყიდველები კი მომრავლდნენ და შემდეგნაირი პრეტენზიებიც კი გაუჩნდათ: გუდიაშვილის შემთხვევაში, მყიდველს მისი პარიზული პერიოდის შეძენა სურს. რაც შეეხება დავით კაკაბაძეს, მის კუბისტურ, აბსტრაქტულ კომპოზიციებს და ბრეტანის სერიას ითხოვენ, ანუ 30-იან წლებამდე შექმნილ ნამუშევრებს, ვიდრე მხატვარი კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი გახდებოდა. ირაკლი ფარჯიანის შემოქმედებიდან რელიგიურ თემატიკაზე შექმნილ დიდი ზომის ნამუშევრებზეა მოთხოვნილება. ფიროსმანს რაც შეეხება ნებისმიერი პერიოდის, ნებისმიერ სურათზე დიდი მოთხოვნაა და არა მარტო საქართველოში. ქართველ მხატვართა ნამუშევრებს ძირითადად კერძო კოლექციების შესავსებად და საჩუქრად ყიდულობენ. მაგრამ ხშირად ქართველ მხატვრებს სახლებში ცარიელი ადგილის ამოსავსებად, ინტერიერის გასაფორმებლადაც იძენენ, გამომდინარე პრინციპიდან ძვირია - ე.ი. კარგია. ზემოთჩამოთვლილ ქართველ მხატვრებზე კი ფასი, როგორც ერთმა არტ-დილერმა მითხრა, სულ უფრო იზრდება. მაგალითად, დავით კაკაბაძის ბრეტანის სერიიდან თითო ნიმუშის სარეალიზაციო ფასი ორი წლის წინ თუ 600-800 დოლარი იყო, დღეს 3 ათას დოლარამდე აღწევს.

სამწუხაროა, რომ საქართველოში აუქციონების მოწყობამ არ გაამართლა, რაც ხელს შეუწყობდა ხელოვნების ნიმუშებზე რეალური ფასის დადგენას და გარკვეულწილად დაიცავდა როგორც ნივთის მფლობელის, ასევე მყიდველის ინტერესებსაც.

ცივილიზებულ ქვეყნებში ნამუშევრის ფასს ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, პირველ რიგში - ავტორი, მისი მოღვაწეობის პერიოდი, ჟანრი, მასალა, ნამუშევრის მდგომარეობა, ზომა და სხვა. ჩვენთან კი ეს ფაქტორები ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში, ანუ მომხმარებელი ნამუშევარს არაპროფესიონალურად უდგება - მომწონს ან არ მომწონს. თუმცა ესეც არგუმენტია, როგორც ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენ.

საქართველოში უკანასკნელად საჯარო აუქციონი 2001 წელს ცისფერ გალერეაში ჩატარდა, მყიდველს თანამედროვე თბილისელი მხატვრების (თემო გოცაძე, ედმონდ კალანდაძე, ლევან ლაღიძე, ზურაბ ნიჟარაძე, ლევან ჭოღოშვილი, ჯიბსონ ხუნდაძე...) სურათებს სთავაზობდნენ. აუქციონი სრული კრახით დასრულდა, არ გაიყიდა არც ერთი ლოტი. აუქციონის წამყვანის, ზურა ყიფშიძის თქმით, მსგავსი მძიმე როლი მას არასდროს "უთამაშია". გასაყიდად გამოტანილი ლოტების საწყისი ფასი არარეალური იყო, გარდა ამისა, ორგანიზატორების მიერ მოწვეული "ახალი ქართველები" აუქციონზე არ გამოცხადდნენ. ამის შემდეგ აუქციონის საჯაროდ მოწყობის სურვილი არავის გასჩენია. დასკვნის გამოტანა, რომ თანამედროვე ქართველი მხატვრები არტ-ბაზარზე ადგილს ვერ იმკვიდრებენ, არასწორი იქნება. უბრალოდ, აუქციონზე შემოთავაზებულ ფასებთან შედარებით მათ გაცილებით დაბალ ფასში უხდებათ გაყიდვა. ჩვენთან თანამედროვე ქართული მხატვრობის რეალიზაციით უმეტესწილად არა არტ-დილერები, არამედ კერძო გალერეების მფლობელები არიან დაკავებულნი. თუმცა დღეს საკუთარი ხელოვნების რეკლამირების და რეალიზაციის ბევრნაირი საშუალება არსებობს, რაც მხატვრისაგან, ნიჭის გარდა, მოხერხებულობას და აქტიურობას მოითხოვს: კონტაქტების დამყარება უცხოელ დილერებთან და მყიდველებთან, ელექტრონული კატალოგების გამოცემა, და რა თქმა უნდა, ინტერნეტში ვებ-გვერდების განთავსება.

# ქართულ სიმღერას გადარჩენა სჭირდება

## კომპოზიტორები საშველად კრიტიკას მოუხმობენ

ვერა ნეფარიძე

"ერთმა ძალიან ცნობილმა მომღერალმა მითხრა, არ ვიცი ნოტი და არც მჭირდებაო",– კომპოზიტორმა ოთარ ტატიშვილმა მართალია არ დაასახელა ამ ადამიანის ვინაობა, მაგრამ ასეთი ტენდენცია რომ საკმაოდ პოპულარულია საესტრადო შემსრულებლებში, ეს მათი აღიარების გარეშეც შესამჩნევია.

არც ვიცი, რამდენად დროული ვუწოდო იმ გამოხმაურებას, რომელიც კომპოზიტორთა კავშირში გუშინდელი შეხვედრის მიზანი იყო. ქართული სიმღერის კრიზისი ბოლო დროს საზოგადოების ყველა ფენის გასარჩევი გახდა. გუშინ კი, ამ თემაზე საჯაროდ პროფესიონალებმაც იმსჯელეს.

ქართველ კომპოზიტორთა კავშირში, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, არავინ არაფერს ეკითხება, საერთოდ, ქართული სიმღერის პრობლემის გადაჭრა გადაწყვიტეს. მაგრამ, შეხვედრას მოწვეულთა მხოლოდ მცირე ნაწილი დაესწრო. კომპოზიტორებს ძირითადი თემა არ ჰქონიათ. აქ ისაუბრეს თანამედროვე სიმღერების ერთფეროვან მუსიკასა და ტექსტებზე (საილუსტრაციოდ მაგალითებსაც იშველიებდნენ) და ზოგადად, კრიზისზე (არაპროფესიონალთა სიჭარბე), რომელიც თანამედროვე ქართულ ესტრადაზეა.

"ჩვენს, შვილებს გემოვნება უკნინდებათ. არ შეგვიძლია ამას ურეაქციოდ შევხვდეთ", – პოეტმა იზა ბედოშვილმა უგემოვნობის ზეიმად შეაფასა ციტატები სხვადასხვა პოპულარული სიმღერებიდან (რასაც, ძნელია, არ დაეთანხმო). რეპლიკაზე კი, თუ ვინ წერს ასეთ ტექსტებს? – მანვე მოკლედ დაამატა: "პროფესიონალ პოეტებთან არ მოდიან".

კავშირის თავმჯდომარე, ვაჟა აზარაშვილი განსაკუთრებით, ქართულ მუსიკალურ სცენაზე არსებული განუკითხაობით იყო აღშფოთებული: "შარშან თბილისზე სიმღერების კონკურსი გამოაცხადეს, კაციშვილმა არაფერი გვკითხა; როდესაც სიმღერა სცენაზე სრულდება ან ეთერში ჟღერს, რაღაც დონეს ხომ უნდა აკმაყოფილებდეს?!". მაგრამ, ვინ ადგენს ამ ზღვარს და, საერთოდ ვინ უნდა იყოს ცენზორი? – ამ შეკითხვას თითქმის სამსაათიან შეხვედრაზე პასუხი არ გასცემია. ძირითადად, ეს მისია მას-მედიას დააკისრეს. განსაკუთრებულ პასუხს კი, სახელმწიფო ტელე-რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობისგან მოითხოვდნენ. "საკონცერტო გამოსვლის შემდეგ ერთი კვირა მეშინოდა, რას დაწერდა ჩემზე პრესა – გაიხსენა სოლიკო კოროშინაძემ, - დღეს კიდევ ყველა კონცერტზე ერთნაირად წერენ: შესანიშნავად, ბრწყინვალედ ჩაიარაო".

ამ ყველაფერში უცხოური მუსიკის დადანაშაულების გარეშე ცხადია, არც გუშინდელ შეხვედრას ჩაუვლია. თუმცა, კიდევ კარგი, რომ ამასთან დაკავშირებით, კომპოზიტორებს შორისაც იყო განსხვავებული აზრი. "ვერაფერს ცუდს ამაში ვერ ვხედავ. პირადად, მეგობრებთან ერთად ერთი პერიოდი აქტიურად "ჩიკაგოს" ვუსმენდით, დიდ ქართველ კლასიკოსებსაც ჰქონდათ უცხოელი მუსიკოსების ზეგავლენა; თუმცა, ზეგავლენა და კალკირება სხვადასხვა რამაა", – ოთარ ტატიშვილს, საბედნიეროდ, შეხვედრაზე ბევრი კოლეგა დაეთანხმა.

შეხვედრას რომა რცხილაძეც ესწრებოდა. მისი გამოსვლის (სადაც, კომპოზიტორთა კავშირის ავტორიტეტზე საუბრობდა) შემდეგ აზარაშვილმა სურვილი გამოთქვა უახლოეს მომავალში რცხილაძე კავშირში გააერთიანოს. თუმცა, საინტერესოა, რა სარგებლობას მოუტანს მუსიკოსს კავშირი, რომელიც ათი წელიწადია, ბიუჯეტიდან არ ფინანსდება და ავტორიტეტული წევრების მიუხედავად, მაინც ვერაფერს წყვეტს თანამედროვე ქართული მუსიკალურ ცხოვრებაში?1

შეხვედრაზე ასევე დიდხანს ისაუბრეს გაუმართლებელ რემიქსებზე. ასეთებში კი, ის სიმღერები იგულისხმება, რომელშიც დარღვეულია ავტორისეული ხელწერა: რიტმი, ტაქტი და ა.შ. ამას წინათ კი, სოლიკო კოროშინაძის ცნობილი სიმღერა "თბილისელი ბიჭი ვარ", ისე გადაუკეთებიათ (რემიქსის ავტორი არ გაამხილა ბ-ნ სოლიკომ), რომ უკმაყოფილო ახალგაზრდა მუსიკოსებს ავტორისთვის მოუბოდიშებიათ: არ გვინდოდა ასე გამოსულიყოო.

საეჭვოა, მსგავსი შეხვედრებით რამე გადაწყდეს, ვიდრე საავტორო უფლებების დასაცავი კანონი არ მიიღება. ეს კანონი კი, ალბათ ბევრ პრობლემას მოაგვარებს.

# მიუნხენელი ქართველი რეჟისორი და კავკასიური დრო

## ინტერვიუ შტეფან ტოლცთან

მერი კახიანი

სპეციალურად "24 საათისათვის"
მიუნხენი - ბილეფელდი

აპრილში სან ფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე მიუნხენელი რეჟისორის შტეფან ტოლცის ფილმი "დროის მიჯნაზე - მამაკაცთა სამყარო კავკასიაში" ნომინაციაში, "საზოგადოება-ინტერნაციონალური კულტურა", Golden Gate-ის პრიზით დაჯილდოვდა.

შტეფან ტოლცი თორმეტი წლის წინ, როგორც პირველი დასავლეთელი სტუდენტი, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში წელიწადნახევრის განმავლობაში სწავლობდა. კავკასია და საქართველო, როგორც ამბობს, მისი მეორე სამშობლოა. ტოლცი საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში მომხდარი თითქმის ყველა პოლიტიკური მოვლენისა და ცვლილების შემსწრეა. გერმანიაში ის ცნობილია, არამარტო როგორც რეჟისორი და კინოდოკუმენტალისტი, არამედ ასევე, როგორც საქართველოს კარგი მცოდნე. მას კონსულტაციისთვის ხშირად მიმართავს საქართველოს საკითხით დაინტერესებული ბევრი თავისი თანამემამულე. შტეფანი გამართულად საუბრობს ქართულად.

დოკუმენტური ფილმი "დროის მიჯნაზე" რეჟისორმა 2000 წელს გადაიღო. ფილმი კავკასიის ოთხ მხარეში "კავკასიურ დროში" ერთგვარი მოგზაურობისა და განსხვავებული სარწმუნოების მქონე კავკასიელი მამაკაცების: უშგულელი რომანის, ბატლუხელი აბდულას, ნავთობის საბადოებზე მომუშავე ელმირას (ქალი, რომელიც ცხოვრების მკაცრმა პირობებმა მამაკაცად ჩამოაყალიბა) და ციხისძირელი უკვე ასაკოვანი უსინათლოების სამყაროთა გადმოცემის მცდელობაა. ეს ოთხივე ადგილი ავტორის მიერ შეგნებულად იქნა შერჩეული, რომ ამით "სივრცისა და დროის რღვევა" უკეთესად მოეხდინა. ფილმის პრემიერა საქართველოში სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. მანამდე კი ინტერვიუ თავად რეჟისორთან.




**- როგორ დაიწყო შენი ურთიერთობა საქართველოსთან და ქართულ კინოხელოვნებასთან?**

- თექვსმეტი წლის ასაკში, სკოლაში სწავლისას, ერთი წლით ამერიკაში ვიმყოფებოდი. მოგვიანებით მიუნხენის კინო-ინსტიტუტში ჩაბარების შემდეგ კი ძალიან მინდოდა, რომ ერთი წელი მაინც ვარშავის პაქტის რომელიმე ქვეყანაში მესწავლა. რჩევისათვის მივმართე ჰანს იოხიმ შლეგელს, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნების კინემატოგრაფიის სპეციალისტად ითვლება. მან ასეთი რამ მითხრა: თუ თეორიას ეხება შენი ინტერესი, მაშინ მოსკოვში უნდა წახვიდე და თუ ფილმის შექმნის საიდუმლოება გინდა გაიგო, მაშინ აუცილებლად თბილისი უნდა აირჩიო. ასე აღმოვჩნდი საქართველოში. თბილისი და საქართველო მაშინ ჩემთვის სრულიად უცნობი სახელები იყო, არავითარი წარმოდგენა არ მქონდა მათ შესახებ და ბუნებრივია, არც არაფერი მსმენოდა ფარაჯანოვის, თენგიზ აბულაძის და სხვათა თაობაზე. თბილისში ჩასვლის პირველ დღეს მივედი თეატრალურ ინსტიტუტში და გოგი დოლიძეს განვუცხადე: სამწუხაროდ, ქართული არ ვიცი. ვფლობ რუსულს და მინდა დავესწრო თქვენს იმ ლექციებს, რომლებიც რუსულად ტარდება. ბატონმა გოგიმ მიპასუხა: "ჩემო ძვირფასო მეგობარო, ლექციები ჩვენ მხოლოდ ქართულად გვაქვს, მაგრამ ეს პრობლემა არ იქნება. ასე რომ, სასიამოვნო დროის გატარებას გისურვებ საქართველოში." და ეს ყველაფერი მართლა ასეც მოხდა. ეს პერიოდი მართლაც ულამაზესი და ძალზედ საინტერესო იყო ჩემთვის. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორებსაც, რომ მაშინ არც თუ ბევრი უცხოელი იყო საქართველოში, რომ მე სპეციალურად გერმანიიდან სასწავლებლად ჩამოვედი და თანაც ქართული ენის შესწავლით დავინტერესდი, ალბათ, გასაგები გახდება, თუ ჩემს ირგვლივ როგორი საოცრად თბილი და სასიამოვნო ატმოსფერო შეიქმნებოდა.

**- რა არის ის, რაც ასე გიზიდავს საქართველოსკენ?**

- შევიძინე ახალი მეგობრები. სწრაფად შემიყვარდა უცხო ქვეყანა და მისი ადამიანები. თუმცა, ამასთანავე ურთიერთსიძულვილის, ნგრევისა და სამოქალაქო ომის პერიოდის მომსწრე ვიყავი.

იმ დროიდან მოყოლებული ხშირად ვბრუნდებოდი კავკასიაში, მაგრამ ჩემი მაშინდელი იდუმალებით მოცული საქართველო აღარ არსებობს. საკუთარი თავის გადარჩენისათვის ბრძოლა მკაცრი გახდა.

ჩემს მოგონებებში დარჩა ქვეყანა, ეულად მყოფი კავკასიური ტერიტორიები, სადაც ფიქრის სივრცე ვიპოვნე და ამასთან უძლიერესი შთაბეჭდილებებით აღვივსე.

ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია გერმანულ-ქართულის კომბინაცია. მე ძალიან გერმანელი ვარ. ამაში მკაცრ წესრიგს ვგულისხმობ. ამასთან გულღია ადამიანი გახლავართ. ძნელად ვახერხებ, უხეშად რომ ვთქვა, რაღაცას გადავახტე... შენ თუ შემოქმედი ხარ და უსასრულო ფიქრის უნარი შეგწევს, მაშინ რაღაც-რაღაცეებს უნდა გადაახტე... შენ თუ შემოქმედი ხარ და უსასრუ-

**- ცოტა არ იყოს, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. კი მაგრამ, დღეს რომ ინტერვიუზე დაიგვიანე? მაშინვე გავიფიქრე: აი, საქართველოს "გავლენის" პირველივე კვალი-მეთქი...**

- სხვათა შორის, დაგვიანება ჩემი ჩვევაა და საქართველომდე მქონდა. აი, ამ ტიპიურ გერმანელობას ერწყმის ჩემში დამკვიდრებული ის მეორე ნაწილი, რასაც საქართველო და ქართული გულის ფენომენი ჰქვია. სწორედ ეს ქართული გული და იმ გრძნობათა, რაც მე 1990-91 წლებში თქვენთან თან მსდევდა, დაუვიწყარი არსებობაა, ასე რომ მიზიდავს საქართველოსკენ. ეს პერიოდი ჩემთვის უბედნიერესი იყო. ეს იყო დრო, როცა მე უფულოდ ვცხოვრობდი, როცა ჩემს მეგობრებს უნდა დავხმარებოდი და პირიქით. როცა თავისუფლების მოთხოვნილება შეუდარებლად მაღლა იდგა, ვიდრე ფულისა.

**- რამდენად ორმხრივ სარგებლიანია შენი ურთიერთობა მეორე სამშობლოსთან?**

- დახმარების სურვილი, ცხადია, მაქვს, მაგრამ ეს დახმარება შემიძლია იმდენად, რამდენადაც ძალმიძს. სწორედ ისეთი ფილმით, როგორიცაა "დროის მიჯნაზე", ვფიქრობ, რომ ცოტას არ ვაკეთებ. ეს არის ის, რისი გაკეთებაც მე პირველ რიგში შემიძლია. მაგალითად, ზოგიერთებმა არაფერი იციან ამ რეგიონის შესახებ და ფილმის ნახვის შემდეგ კი დიდი ინტერესი უჩნდებათ მის მიმართ. ჩემთან ბევრნი მოსულან თვალაცრემლებულნი და უთქვამთ: "მადლობთ, რომ ასეთი სამყაროს დანახვა შეგვაძლებინეთ. კავკასია ამ კუთხით ჯერ არ გვინახავს და განგვიცდია. რასაც ჩვენ ვუყურებთ, ეს არის მხოლოდ სტანდარტული, ერთგვარად "ცივი" სიუჟეტები ამ რეგიონის შესახებ და ახლა ვხედავთ, როგორი თბილი ადამიანები ცხვრობენ იქ".

**- რატომ აღარ არსებობს შენი მაშინდელი საქართველო?**

- დასანანია, მაგრამ ფაქტია, საქართველოში დღეს სხვა სიტუაციაა და ბევრი ადრინდელი ღირებულება ერთგვარად ძალადაკარგულად ითვლება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ქვეყანა უკვე მასშტაბურად დაადგა მკაცრი და საშინელი კაპიტალიზმის გზას. ამ პროცესს კი ეს ცვლილებები, სამწუხაროდ, თან სდევს. ღირებულებათა გადაფასებას ვგულისხმობ.

უკვე ისეთი განვითარებული კაპიტალიზმის მდგომარეობა რომ იყოს საქართველოში, როგორიც დასავლეთშია, სადაც სოლიდარული პასუხისმგებლობაა საერთოსა და ზოგადის მიმართ, მაშინ ცხადია, იქ სხვა სიტუაცია იქნებოდა. უმეტესობას ახლა იქ მხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახის მიმართ აქვს პასუხისმგებლობა და თითქმის არაფერი კეთდება ზოგადი პრობლემების მოსაგვარებლად. სულ უფრო და უფრო იმედგაცრუებული ვრჩები, როცა საქართველოში ვბრუნდები და მდიდარ ქართველებსა და მათ ვილებს ვხედავ. ეს არ არის ის საქართველო, რომელიც მე 1990 წელს აღვიქვი. მაშინ ეს იყო საქართველო, რომელსაც უსაზღვრო ენერგია ჰქონდა. დაუოკებელი სურვილი საკუთარი ქვეყნის მართვისა და თავისუფლების დაბრუნებისა. ეს იყო ბრძოლა სულისა და იდეებისათვის. ეს მთელი სამყარო იყო! რაც, სამწუხაროდ აღარ არსებობს. დღეს ფული იქ ძალიან დიდ და გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჩემი საიდუმლოებებით მოცული საქართველო მაშინ არსებობდა, როცა ფულის როლი მინიმუმამდე იყო დაყვანილი საზოგადოებაში.

**- ისევ კინოს დავუბრუნდეთ. შენი თვალით დანახული სხვაობა ქართულ და გერმანულ კინოხელოვნებას შორის.**

- ჩემთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ფანტაზია, ვიდრე რაციონალური დრამატურგია. ქართული კინოს საიდუმლოება და მისი სპეციფიკურობა სწორედ ამ ულევ ფანტაზიაშია, რაც მას საკუთარ ხედვასა და სტილს უქმნის. გერმანიაში ძალზე პროფესიონალურად კეთდება ფილმები. მე ვგულისხმობ ტექნიკურ მხარეს: გადაღების ხარისხი, განათება, მონტაჟი და ა. შ. საუკეთესოა. თითქოს, ამა თუ იმ ისტორიის გადმოცემაც მშვენივრად მიმდინარეობს, მაგრამ გერმანულ კინოს შინაარსი, იდეა აკლია.. როცა მე „ცისფერი მთები" ვნახე, ჩემთვის გასაგები იყო, რომ სურათი ტექნიკურად ძლიერად გამართული არ არის, მაგრამ იქ ყველაფერი სხვანაირად აღიქმება, კარგი გაგებით. ფილმის ყურების დროს, იმავე მომენტში, პარალელურად ხდება მისი შეგრძნება და აღქმა, რადგან იქ ყველაფერი სწორედ შინაგანი, სულიერი სამყაროდან მოდის. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოში სწავლის პერიოდში გავიცანი თენგიზ აბულაძე. ძალიან დიდი დახმარება გამიწიეს ელდარ შენგელაიამ, რეზო გაბრიაძემ. ძალიან მჭიდრო ურთიერთობა მქონდა დიმა ერისთავთან, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. მან ახალი იდეებითა და ფიქრებით ამავსო ფილმის ხელოვნებასთან დაკავშირებით და ჩემი ფანტაზიისა და ფიქრის არეალი გააფართოვა.

ცუდი, რაც ასე ვთქვათ, ქართული კინოს სამზარეულოში შევიგრძენი, ის არის, რომ კინოხელოვნების მსახურებს არც თუ სახარბიელო დამოკიდებულება და კეთილგანწყობა აქვთ ერთურთის მიმართ. იმას ის არ უყვარს და მოსწონს, იმას კიდე - ის და, როგორც არის ხოლმე საქართველოში, თითქმის ყველა ერთმანეთთან წაკამათებული და ნაჩხუბარია

**- გამოდის, რომ ძირფესვიანად იცნობ ქართული ხასიათის ავკარგიანობას...**

- დიახ. ამის ცოდნა აუცილებელიცაა. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში კეთილგანწყობით არ სარგებლობენ. უბრალოდ აუცილებელიც არის იმის ცოდნა, ვინ ვის ეკუთვნის, ვინ ვის გვერდით დგას და ა. შ. ამის გარკვევა ჩემთვის საკმაოდ რთული იყო. მაგალითად, ქართული კინოხელოვნების ზედა ფენა - ვგულისხმობ იმათ, რომლებიც ქართულ კინოინდუსტრიაში მემკვიდრეობით არიან - მართალია, ძალიან ბევრს გეხმარება, მაგრამ თუკი რაიმე პრობლემის წინაშე დადგები, მაშინ ისინი შენგან ძალიან შორს რჩებიან. მაგრამ ისეთ ადამიანებს, როგორიცაა, მაგალითად, თემურ ბაბლუანი, სხვა პოზიცია აქვთ.

**- ქართული კინემატოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობის შენეული შეფასება.**

- ძალიან რთული მდგომარეობაა, რადგან ბუნებრივია, ფინანსების დიდი ნაკლებობაა...

ვფიქრობ და ეს საკმაოდ მაშინებს, რომ დღევანდელი ქართული კინო ძალზე მკაცრი და ბაზარზე ორიენტირებული გახდა. ფანტაზიამ იკლო..

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დღეს ბევრი ქართველი სტუდენტი უცხოეთში იძენს თავის ცოდნას. მარტო მიუნხენის კინოინსტიტუტში ოთხი ქართველი სწავლობს. ეს, პირველ რიგში, გოგი დოლიძის დამსახურებაა.

**- როგორ ფიქრობ, როგორ მიიღებს ქართველი მაყურებელი შენს ფილმს და თავად რა შეფასებას ელოდები სექტემბრისთვის დაგეგმილი პრემიერის შემდეგ?**

- დიდი ინტერესით ველოდები ამ პრემიერას და, შესაბამისად, ქართველი მაყურებლის აზრს. ნაწილობრივ, ალბათ, ძალიან კრიტიკული იქნება, რადგან თვით თბილისში მცხოვრებ ადამიანთა ერთი ნაწილისათვის, ფილმში ასახული სამყარო თუ სამყაროები, ინფორმაციების ნაკლებობის გამო, თუნდაც უშგულის შესახებაც, უცხო იქნება.

სან-ფრანცისკოში ერთ-ერთი ჩვენების დროს, დარბაზში იმყოფებოდა ქართულ-კალიფორნიული საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც ფილმის დამთავრების შემდეგ ფეხზე წამოდგა და აღშფოთებით თქვა: გაიგო კი მაყურებელმა ამ ფილმით რაიმე საქართველოს შესახებ? მას აინტერესებდა, რომ პუბლიკისაგან შეეტყო, რამდენად სწორი ინფორმაცია მიიღეს მათ საქართველოს შესახებ. მისი აზრით, მაყურებელი ვერ მიხვდება, რომ, მაგალითად, დაღესტანი საქართველო არ არის და ა.შ. მაგრამ ფილმის მიზანი ხომ სხვაა. ფილმის მიზანია დროის ასახვა და თან კავკასიური დროისა. ეს ფილმი არ არის ან მარტო საქართველოზე ან დაღესტანზე, არამედ დროზე, ფონით - მამაკაცთა სამყაროს ასახავით კავკასიაში.

**P.S**. *შტეფან ტოლცი ამჟამად ლაშა ბაქრაძესთან ერთად ახალ სცენარზე მუშაობს. რეჟისორის ვარაუდით, თუკი ყველაფერი ნორმალურად განვითარდა, მაშინ მხატვრული ფილმის გადაღება 2004 წლისათვის დაიწყება.*

ამბები

### ინგლისში მოდაშია "ქანთრი"

როდესაც მადონა ამერიკიდან ლონდონში გადასახლდა, რატომღაც ყველას ეგონა, რომ ბრიტანეთში ვარსკვლავი ჰოლივუდის სტილს ჩაიტანადა. მაგრამ, მადონამ ყველას მოლოდინი გაუცრუა – პოპ-ვარსკვლავმა მოდაში "ქანთრი" შეიტანა.

დასვენების დღეებს ბრიტანული Dunhill-ის სამარკო ტანისამოსში გამოწყობილი მადონა დღემდე ტირის სროლაში ატარებს. ბრიტანელებმაც არ დაახანეს და, მართალია, გოლფის მოედნებზე ჯერ კიდევ ხალხმრავლობაა, მაგრამ ელვის სისწრაფით იმატა მიზანში მსროლელთა რაოდენობამ.

გართობის ეს სახეობა, ცხადია, განსაკუთრებულ ჩაცმულობას მოითხოვს. "ქანთრის" სტილი კი, ამისთვის ზედგამოჭრილია. აქამდე პოპულარული იტალიური ტანსაცმელი, ნელ-ნელა კარგავს კლიენტებს ბრიტანეთში. დიზაინერები სულ უფრო ხშირად იმეორებენ, რომ იტალიელები ხარისხიან ტანსაცმელს თავისთვის იტოვებენ, მეორეხარისხოვანს კი, მომატებულ ფასად საექსპორტოდ უშვებენ.

### კეტრინ ზეტა ჯონსი სამუშაოდ Deutche Telekom-ში გადავიდა

ინგლისელმა მსახიობმა, კეტრინ ზეტა ჯონსმა (მონაწილეობს ფილმებში: "ზოროს ნიღაბი", "დასავლეთი") ხელი მოაწერა ორწლიან კონტრაქტს, რის თანახმადაც მუშაობას დაიწყებს მობილური კავშირგაბმულობის კომპანიაში T-Mobile (რომელიც Deutche Telekom-ის შვილობილი კომპანიაა). "კეტრინს აქვს ინტელექტი, თავდაჯერებულობა და სტილი, რომელთა ერთობლიობაც ჩვენს კომპანიაში მეტად საჭიროა," – ამბობს კომპანიის ამერიკული განყოფილების ხელმძღვანელი. კეტრინ ზეტა ჯონსი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო სარეკლამო კამპანიაში, რომელიც აშშ-ში ამ ზაფხულს დაიწყება.

### „დორსი„ სცენას დაუბრუნდება

ლეგენდარული "დორსის" წევრებმა განაცხადეს, რომ ჯიმ მორისონის სიკვდილიდან 30 წლის შემდეგ ისინი კვლავ ერთად იქნებიან და აშშ-სა და ევროპაში საკონცერტო ტურნეს გამართავენ. მორისონის ადგილს 80-იანი წლების ჯგუფის, The Cult-ის სოლისტი იან ესტბიორი დაიკავებს. დღეისათვის მხოლოდ ერთი თარიღია ცნობილი: პირველი კონცერტი 6 სექტემბერს California Motor Speedway-ში გაიმართება. ასეთი ტურნეები 2003 წელსაც მოეწყობა, მერე კი სტუდიაში ალბომსაც ჩაწერენ. როგორც გაირკვა, რეი მანზარეკს, რობი კრიგერსა და ჯონ დენსმორს უკვე დაწერილიც კი აქვთ სიმღერები ახალი ალბომისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, მიიღებს თუ არა ტურნეში მონაწილეობას დენსმორი, რომელიც ჯანმრთელობას უჩივის. თუ იგი მონაწილეობას ვერ შეძლებს, მისი შემცვლელი Pearl Jam-ის ლიდერი ედი ვედერი იქნება, რომელიც მორისონის სიკვდილის შემდეგ ცოტა ხნის განმავლობაში ჯგუფთან თანამშრომლობდა.

### შორს შოუბიზნესისგან

გოგონათა პოპულარული ჯგუფის Destiny's Child-ის წევრი ბეიონს ნოულზი უცნაურ განცხადებებს აკეთებს. 20 წლის მომღერალი თავის მომავალ კოლეგებს აფრთხილებს, რომ შოუბიზნესისგან თავი შორს დაიჭირონ. სუპერგამძლეობა უნდა გამოიჩინო, რომ ამ საშინელებას გაუძლო. მთელი ინდუსტრია აგენტებით არის სავსე, ირგვლივ სულ ზვიგენებია, რომლებიც ზურგს უკან მიწას გითხრიან – ასეთია ერთ-ერთი Destiny's Child-ის მოსაზრება. **"ჩემს ჯგუფთან ერთად მანამ დავრჩები, სანამ სცენაზე კარგად ვიგრძნობთ თავს და კარგ ჩანაწერებს გამოვუშვებთ. თუმცა, ამ სფეროში მუშაობას არავის ვურჩევდი",** - ასეთი კატეგორიული ტონის მიუხედავად, ნოულზი შოუბიზნესში წარმატებულ სვლას კვლავაც განაგრძობს. ის "ოსტინ პაუერსის" ახალ ფილმში ფოქსი კლეოპატრას როლს შეასრულებს?



## UEFA თბილისს ეწვევა





გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას ტელეფონით დაუკავშირდა უეფა-ს აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს (EEAB) სენიორ-მენეჯერი ერიხ ეპლე, რომელმაც დაადასტურა, რომ ფეხბურთის ფედერაციის შენობის, ანუ "ქართული ფეხბურთის სახლის" გახსნაზე თბილისში საგანგებოდ ჩამოვლენ უეფა-ს პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი, გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი და თავად ერიხ ეპლე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, საპატიო სტუმრების ჩამოსვლის თარიღი უახლოეს დღეებში დადგინდება.

## მკაცრი სხდომა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საგანგებო კომიტეტის სხდომა გაიმართა სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას, გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას და ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრე ჩივაძის შემადგენლობით. კომიტეტმა იმსჯელა სფფ-ს სუბიექტების – საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის", საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის "მეტალურგის" და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ საჯარიმო სანქციების განსაზღვრის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ ამ სუბიექტებმა სამოქალაქო სასამართლოში სფფ-ს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს, რაც სფფ-ს, უეფა-ს და ფიფა-ს წესებით აკრძალულია. ფიფა-ს წესდებაში მკაცრად არის განსაზღვრული, რომ ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის სუბიექტს, რაიმე სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლოში საქმის აღძვრის უფლება არ აქვს. მოდავეს შეუძლია, საკითხის გარკვევისათვის, მიმართოს ეროვნულ ასოციაციას. თუ ასოციაციის გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა, უნდა მიმართოს ორივე მხარის შეთანხმებით შექმნილ არბიტრაჟს. ამის შემდეგ ზემდგომი ინსტანციებია უეფა, ფიფა და საერთაშორისო საფეხბურთო ტრიბუნალი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარჩელი ყველა ამ ინსტანციას მოივლის, საფეხბურთო სუბიექტს უფლება აქვს, მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს. იმავე წესდებაში ნათქვამია, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი, თუ სარჩელი ყველა საფეხბურთო ინსტანციის გავლის შემდეგ მაინც მოხვდება სასამართლოში, ფიფა არ თვლის თავს ვალდებულად, შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

საგანგებო კომიტეტმა, საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, სხდომაზე მოსარჩელეებიც მოიწვია. თბილისის "დინამომ" და ზესტაფონის "მეტალურგმა" წარმომადგენლები გამოგზავნეს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციიდან კი კომიტეტი არავინ დააფასა.

ზესტაფონის "მეტალურგის" წარმომადგენელმა, გიორგი პატარაიამ უფრო ბოდიშის პოზიცია დაიკავა და საგანგებო კომიტეტის შენიშვნებისა და კატეგორიული ტონის გაპროტესტება არც უცდია, თბილისის "დინამოს" მხრიდან იყო იურისტი ნიკოლოზ კობალავა. მისი თქმით, სფფ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება - დაესაჯა სასამართლოში სარჩელის შემტანი სუბიექტები - არ იყო გამართლებული, რადგან სარჩელი შეტანილია არა სადავო, არამედ სარეგისტრაციო საკითხზე, რასაც, "დინამოს" იურისტის განმარტებით, არც სფფ-ს, არც უეფა-ს და არც ფიფა-ს წესდება არ კრძალავს.

საგანგებო კომიტეტის წევრები კატეგორიულად არ დაეთანხმნენ კობალავას, აღნიშნეს, რომ სუბიექტებს სასამართლომდე ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომისთვის უნდა მიემართათ და რადგან ასე არ მოხდა, მერაბ ჟორდანიამ მოწვეულებს ჯარიმის ფორმა გამოუცხადა: "საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების და ფიფა-სა და უეფა-ს წესდებათა დარღვევისათვის, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია დაჯარიმებული იქნას 10000 ლარით. გადახდის ვადაა ორი კვირა. თუ ამ დროში არ მოხდება ჯარიმის გადახდა, თბილისის ფეხბურთის ფედერაციიდან სარჩელზე ხელისმომწერი პიროვნება, ამ ფედერაციის პრეზიდენტი, ავთანდილ კოკაია გათავისუფლდება დაკავებული პოსტიდან და დაკარგავს სფფ-ს ყრილობის დელეგატის უფლებას.

ზესტაფონის "მეტალურგი" დაჯარიმდეს 10 000 ლარით. გადახდის ვადაა ორი კვირა. ჯარიმის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, ზესტაფონის "მეტალურგი" ჩამოქვეითდება პირველ ლიგაში და თანხის დასაფარავად კიდევ ათი დღის ვადა მიეცემა. თუ გუნდი ჯარიმის თანხას დამატებულ ვადაშიც არ დაფარავს, იგი რეგიონალურ ლიგაში ჩამოქვეითდება.

თბილისის "დინამო" დაჯარიმებულ იქნას 10 000 ლარით" (სტილი დაცულია).

იმის გამო, რომ თბილისის "დინამოს" ფედერაციის ანგარიშზე თანხა აქვს დადებული, სფფ-ს ამ კლუბისთვის ჯარიმის გადახდის ვადა აღარ დაუწესებია, რადგან თავადვე მოუხსნის ანგარიშიდან საჭირო თანხას.

## რას ფიქრობს ჩივაძე კოლეგა-კონკურენტზე

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კონკურენტს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლაში - რუსეთის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. ეს პოსტი დაიკავა ქართული სპორტული სამყაროსთვის კარგად ნაცნობმა ვალერი გაზაევმა. გთავაზობთ მისი ქართველი კოლეგის, ალექსანდრე ჩივაძის კომენტარს ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ა.ჩ.: - გაზაევთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ჩვენ მოედანზე მეტოქეებიც ვიყავით, როცა ის მოსკოვის "დინამოში" თამაშობდა და თანაგუნდელებიც, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას ვიცავდით. რომანცევის წასვლის შემდეგ გაზაევი მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატი იყო. მას დიდი გამოცდილება აქვს. რუსეთის ჩემპიონატში არამოსკოვური გუნდი ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ გახდა ჩემპიონი. ეს სწორედ ვალერი გაზაევის გუნდი - ვლადიკავკაზის "ალანია" იყო.

გაზაევის ხელში ბევრმა ქართველმა ფეხბურთელმა გაიარა. ის კარგად იცნობს ქართული ფეხბურთს, ჩვენს შესაძლებლობებს.

სანამ ამ პოსტზე დანიშნავდნენ, გაზაევი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო. ამდენად, ის ასევე კარგად იცნობს როგორც ახალგაზრდა რუს ფეხბურთელებს, ისე ნაკრების გამოცდილ წევრებს და ვეტერანებს.

"24 საათი": - რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე გაზაევის "საბრძოლო ნათლობა" 21 აგვისტოს მოხდება. ამ დღეს რუსები შვედეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ, მეტოქის დაზვერვის მიზნით, ამ მატჩზე ემისარი მიავლინოთ?

ა.ჩ.: - ამავე დღეს ჩვენ ამხანაგური მატჩი გვაქვს ესტონეთის ეროვნულ გუნდთან. ეს შეხვედრა ტალინში გაიმართება და სხვა თამაშისთვის არ გვეცლება. თუმცა, რუსეთისა და შვედეთის მატჩის ვიდეოჩანაწერს აუცილებლად მოვიპოვებთ. ამ დღეებში გავემგზავრები გერმანიაში, სადაც თბილისის "დინამო" გადის შეკრებას. 17 ივლისს "დინამო" საკონტროლო მატჩს გამართავს "ფრიბურგთან". ორივე გუნდში საქართველოს ნაკრების კანდიდატები თამაშობენ. ასე რომ, აუცილებლად მივიჩნიე ნაკრების კანდიდატების თამაშზე დაკვირვება და მათი მზადყოფნის შემოწმება.

"24 საათი": - ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბირმინჰემის "ასტონ ვილამ" და რიგის "სკონტომ" უკვე დაასრულეს მოლაპარაკებები ალეკო რეხვიაშვილის ტრანსფერის თაობაზე და ქართველი ფეხბურთელი ერთ კვირაში გააფორმებს კონტრაქტს ინგლისურ კლუბთან. რას იტყვით ამის თაობაზე?

ა.ჩ.: - მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს ორი კლუბი მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მაგრამ ვერაფერს გეტყვით იმის შესახებ, საბოლოოდ გადაწყდა თუ არა ეს საკითხი. გამიხარდება, თუკი რეხვიაშვილი პრემიერლიგის ასეთ ძლიერ გუნდში გააგრძელებს კარიერას.

*ბავშვთა ფეხბურთი*

## ბურთი, ფული და მოედანი

მიხეილ აბაიშვილი

"რა არის ფეხბურთი? ბურთი, მოედანი, სტადიონი...

მიილო პასი იამანიძემ, გადააწოდა კალოევს. კალოევმა გადააწოდა მესხს, მესხმა თავისი განუმეორებელი ფინტებით მოატყუა ერთი, მოატყუა ორი, მოატყუა სამი, მოატყუა ოთხი, მეკარე, მეკარეც მოატყუა, დარტყმა – არის!" - ალბათ, ყველა ქართველ გულშემატკივარს კარგად ახსოვს ეს მონოლოგი ბრწყინვალე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმიდან "ბურთი და მოედანი". დიახ, ჩვენ გვქონდა ბურთიც, გვქონდა მოედანიც.. ერთ დროს ბერიას, შემდეგ კი ლენინის სახელობის სტადიონი ქართველ ქომაგს ვერ იტევდა. თანაც, ეს ხდებოდა წელიწადში ერთხელ და ორჯერ კი არა, სისტემატურად. სანუკვარი ბილეთის მოსაპოვებლად, რიგში მრავალსაათიანი დგომა იყო საჭირო, ხელისგულზე დაწერილი "პირადი" ნომრით.

დღეს? რა არის დღეს თანამედროვე ფეხბურთი? მსოფლიოში ყველაზე დიდი და ფინანსურად ზემძლავრი იმპერია, რომელიც კარგა ხნის წინ გასცდა თამაშის ჩარჩოებს და დიდ პოლიტიკად იქცა. ამ იმპერიაში ზიდანი 68 მილიონ დოლარად იყიდება, დონეცკის "შახტარი", ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ მატჩში მონაწილეობისთვის, იღებს მილიონ შვეიცარიულ ფრანკს, ხოლო თუ გაიმარჯვა – ორ მილიონს.

მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, სამხრეთ კორეის გასვლით, ფიფა დამატებით დაუგეგმავ 300 მილიონ დოლარით მდიდრდება. თუმცა, ეს მხოლოდ მსოფლიო საფეხბურთო აისბერგის ზედა, ჩვენთვის ჯერჯერობით მიუწვდომელი ნაწილია, რადგან თითქმის ყველაფერი აისბერგის ქვედა, გაცილებით დიდი ნაწილიდან, ბავშვთა ფეხბურთიდან იწყება.

ის, რომ ეროვნულ ჩემპიონატზე გულშემატკივარი არ დადის და მონაწილე გუნდების დონე არა თუ დაბალი, არამედ სასაცილოა, ის, რომ "ბირკირკარები" და "ბატეები" ქართული კლუბებისათვის დაუძლეველ ბარიერს წარმოადგენს და ეროვნული ჩემპიონატი სტამბოლის ბაზრად იქცა, მეტწილად სწორედ ჩვენს ბავშვთა ფეხბურთში არსებული ვითარების "დამსახურებაცაა".

### საფეხბურთო სპორტ-სკოლები

ფიფა-ს მიერ ბავშვთა ფეხბურთის ასაკად მიჩნეულია 5-დან 19 წლამდე შუალედი. ამ პარამეტრის მიხედვით, საქართველოში საფეხბურთო სპორტ-სკოლებში და სექციებში 25 ათასამდე ბავშვი ვარჯიშობს. მთელ საქართველოში 70-მდე საფეხბურთო სპორტ-სკოლაა. პრაქტიკულად, მოშლილია ცენტრალური დაფინანსების სისტემა და სკოლები თვითდაფინანსებაზეა. ამიტომაც, მშობელი ყოველთვიურ გადასახადს იხდის. თბილისში ეს გადასახადი 15-დან 40 ლარამდე მერყეობს, რეგიონებში - 2-დან 15-მდე. გარდა ამისა, ბავშვთა გუნდები ყოველწლიურად, 2-3 გასვლით, საწვრთნელ შეკრებას აწყობენ. ბავშვის ასეთ შეკრებებზე გაშვება მშობელს 150-დან 400 ლარამდე უჯდება. ამას თუ დავუმატებთ სპორტული ინვენტარის ხარჯებს, მაშინ, ერთ წელიწადში, მშობელს საშუალოდ 1000 ლარის დახარჯვა უწევს. არსებობს შეღავათებიც. მაგალითად, თუ ბავშვი გამორჩეულად ნიჭიერია, ან ლტოლვილია, ან სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა, მშობლებს შეიძლება გადასახადი გაუნახევრონ ან მოუხსნან. თუმცა, ეს უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი.

რას იძენს ამ 1000 ლარად ბავშვი? პირობები, რომელშიც ვარჯიში უწევთ ქართველ ბავშვებს, არათუ არ არის დამაკმაყოფილებელი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ჯანმრთელობისთვის სახიფათოც კია. ზემოთ ნახსენები 70 სკოლიდან თითებზეა ჩამოსათვლელი ისეთები, რომლებსაც 3 და მეტი სავარჯიშო მოედანი აქვთ. ამ მოედნებიდან სტანდარტული შეიძლება ერთიც არ იყოს. გაზონი, როგორც ასეთი, სკოლებისთვის ძვირი ფუფუნებაა. ამიტომაც მოედნებს, უმეტეს შემთხვევაში, ასფალტის, ან ეგრეთ წოდებული "გარევოი" საფარი აქვს, თანაც ისეთი უსწორმასწორო, რომ ტრავმის მიღების ალბათობა ძალზე დიდია. უცხოეთის საფეხბურთო ტურნირებიდან დაბრუნებულ ბავშვებზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას არა ტურნირის სპორტული მხარე, არამედ ბრწყინვალე გაზონი ახდენს. მწირი საფეხბურთო ინვენტარი სრულფასოვანი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებისთვის აუცილებელი ვარჯიშების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. სკოლებს არ გააჩნიათ ვიდეოტექნიკა, რის გამოც ბავშვებისთვის თეორიული მეცადინეობის ჩატარება იმ ვიდეოკასეტებით, რომლებზეც მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების თამაში და საწვრთნელი ვიდეომასალაა აღბეჭდილი, 21-ე საუკუნეშიც ხელმიუწვდომელია.

ცალკე საუბრის თემაა ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებული ის საკმაოდ საეჭვო სამწვრთნელო განათლების მქონე "სპეციალისტები", რომლებიც საკუთარ თავს მწვრთნელებს უწოდებენ. ასეთები კი, კვალიფიციურ სპეციალისტებთან შედარებით, გაცილებით მეტი გვყავს.

### "ფეოლები"

მარტო თბილისში ბავშვთა ფეხბურთში 400-მდე მწვრთნელია დასაქმებული. თუმცა, ამ 400-ში ერთი ასეულიც კი არ იქნება ისეთი, ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელისათვის წაყენებულ მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს. ერთი საგულისხმო მომენტი: ქართული საფეხბურთო ბავშვთა გუნდები მეტ-ნაკლებად ახერხებენ მონაწილეობას საზღვარგარეთულ ტურნირებში. როგორც წესი, ჩვენი 13 წლამდე ასაკის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდე-



*მომავალი ფეხბურთელები*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ბი ასეთი ტურნირებიდან გამარჯვებულები ბრუნდებიან. უფრო მაღალ ასაკში კი ყოველთვის ჩავარდნა გვაქვს. ის, რომ ქართველი ბავშვები საყმაწვილო ასაკიდან იუნიორებში "ვერ გადადიან", ძირითადად, სწორედ "ძალადმწვრთნელების" დამსახურებაა. ამ მწვრთნელებს წარმოდგენა არ აქვთ, როგორი ფიზიკური დატვირთვები უნდა შეურჩიონ გარდამავალ ასაკში შესულ მოზარდს იმისათვის, რომ ორგანიზმი არ "გადაწვან". შედეგად, თუ 18-19 წლის ნებისმიერ ქართველ ფეხბურთელს შევადარებთ მისივე ასაკის ევროპელ ფეხბურთელს, თვალშისაცემია ფიზიკურ მომზადებაში და სისწრაფეში სხვაობა, სამწუხაროდ, ევროპელის სასარგებლოდ.

კიდევ ერთი დიდი პრობლემაა "გადაზრდილების" საკითხი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან აკრძალვის და დამსჯელი ღონისძიებების მიუხედავად, ზოგი მწვრთნელი მაინც არ ერიდება ნორჩი ფეხბურთელებისთვის ასაკის გადაკეთებას 1-2, ზოგჯერ კი სამი წლის დაკლებით. ამით მწვრთნელები "ფეირ პლეის" პრინციპსაც არღვევენ, მოზარდებს უპატიოსნო ხერხების გამოყენებას აჩვევენ და თავად ფეხბურთელებსაც დიდ ზიანს აყენებენ. როდესაც ბავშვთა ფეხბურთის ასეთი გულივერები უფროს ასაკში გადადიან, იმის გამო, რომ წლების განმავლობაში უმცროსებთან ერთად უხდებათ ვარჯიში, ასაკის შესაბამისად, ვერ ვითარდებიან და დიდი ფეხბურთისთვის იკარგებიან.

### ფედერაცია

საქართველოში ბავშვთა ფეხბურთს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტი განაგებს. სფფ-ს საფეხბურთო სკოლების მატერიალურ-ფინანსურ საქმიანობაში ჩარევის უფლება არ აქვს. ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტის დანიშნულება, ფიფა-ს წესდების შესაბამისად, ბავშვთა ფეხბურთის განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრით იფარგლება. თუმცა, ამ კომიტეტს გააჩნია ისეთი მოთხოვნები და აკრძალვები, რომელთა დაუცველობის შემთხვევაში სუბიექტს (სკოლას ან მწვრთნელს) ეკრძალება ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობის უფლება.

თუ ამის მსურველს არ აქვს სტადიონი, ან იურიდიულად არ ადასტურებს, რომ სტადიონის აშენების პერსპექტივა გააჩნია, მას სფფ რეგისტრაციაში არ გაატარებს. ასე რომ, იოლი აღარ არის ახალი საფეხბურთო სკოლის გახსნა, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ ხდებოდა.

სფფ-ს ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტი სკოლებს შეძლებისდაგვარად ეხმარება საფეხბურთო ინვენტარით, ძირითადად - ბურთებით. სფფ ბავშვთა ფეხბურთში 5 ტურნირს ატარებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვთა ლიგა (17 და 19 წლამდე ასაკის მოზარდებში). ეს ტურნირი ადრე რეგიონული, ხოლო ამჟამად სპორტული პრინციპით ეწყობა. უეფა-ს რეკომენდაციის თანახმად, ეს ლიგა ახლო მომავალში ეროვნული ჩემპიონატის ზელიგის გუნდების დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატად გარდაიქმნება. ბავშვთა ლიგის საორგანიზაციო ხარჯებს მთლიანად სფფ ფარავს, რაც წელიწადში 100 ათას ლარამდე ჯდება.

სფფ ჯერჯერობით ვერ ახერხებს მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანას, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურად ეწყობა ლექცია-სემინარები უეფა-დან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით. გარდა ამისა, გახსნილია სპეცკურსები, რომლის გავლისა და შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ მწვრთნელებს ეძლევათ ლიცენზია.

ლევან ყიფიანი (სფფ-ს ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე): "სამწუხაროდ, მწვრთნელები, სპეცკურსების გავლის თვალსაზრისით, ძალზე დაბალ აქტივობას იჩენენ. სწავლის სურვილი ერთეულებს თუ გააჩნიათ. შედეგად, ბავშვთა კვალიფიცირებული მწვრთნელი, ვისაც თეორიული ცოდნა აქვს მიღებული, ძალზე ცოტაა. ფედერაციას ისიც კი შეუძლია, რომ ისინი უცხოეთის პრესტიჟულ სამწვრთნელო სემინარებზე მიავლინოს. ამას იმიტომ ვერ ვაკეთებთ, რომ, სამწუხაროდ, ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებულთა 99-მა პროცენტმა უცხო ენა არ იცის. ის კი არა, რუსულიც არ იციან, რაც ძალიან გვირთულებს საქმეს. თუმცა, ეს მათი პრობლემაა, რაც მცირე ხნის წინ დაწყებულ მწვრთნელთა ლიცენზირების პროცესში პირადად მათ შეუშლით ხელს. 23 კაცის შემადგენლობით პირველმა ჯგუფმა უკვე მიიღო ლიცენზიები. მეორე 23-კაციან ნაკადში უფრო ცუდი შედეგი გვაქვს. ეს რეგრესი გაგრძელდება, თუკი მწვრთნელები თავად არ ისურვებენ თეორიული ცოდნის დაუფლებას."

### სახელმწიფო

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ფეხბურთს სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა. არც არის გასაკვირი. ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და მასში ჩადებულ ინვესტიციებს ძალზე დიდი უკუგება მოაქვს. უკრაინაში ფეხბურთი არასპორტულ სკოლებში სასწავლო დისციპლინად არის შეტანილი. თვით ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც კი, რომლებიც, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესაბამისად, უფრო სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებაზე უნდა ზრუნავდნენ, შექმნილია ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა, რაზეც ყოველწლიურად მილიონებს ხარჯავენ.

საქართველოში, 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, მთლიანად სპორტზე მილიონ 200 ათასი ლარია განსაზღვრული.

რა არის თანამედროვე ფეხბურთი?...

ბურთი, ფული და მოედანი.

*Tour de France*

# ფრანგი მწვანეები და დამსხვრეული ოცნებები



*წინ საარბრიუკენისკენ!*

REUTERS

ლუჩანო ტაიოლი

*საარბრიუკენი*

*სპეციალურად „24 საათისთვის"*

იღბალი მაქვსო, ამ ქალაქმა უნდა თქვას. ზედიზედ სამი ღამე ტურ დე ფრანსს არსად გაუთევია. მაგრამ მუდმივი არაფერია და განშორების ზარმაც დაჰკრა. პელოტონმა ერთიც გაიარა ლუქსემბურგის ქუჩებში, დაემშვიდობა გარეთ გამოფენილ ხალხს, - წინ, გერმანიისკენო! და საარბრიუკენისკენ დაადგა გზას.

ახლა დილემის წინაშე ვდგავარ - არ ვიცი, რა მოგითხროთ. ის, რაც უშუალოდ ტრასაზე ხდება თუ ის, რაც იმის მიღმაა. მავანი იტყვის: შე კაი კაცო, სპორტულ შეჯიბრებაზე წერ, აქ ასარჩევი რა არისო!

არადა, თუ მენდობით, ასარჩევი ნამდვილად არის. ამიტომ, სპორტული მხარეც რომ ძალიან არ დავაზარალო, ორიოდე სიტყვით იმ მიღმა ამბებზე გეტყვით და ამის შემდეგ მივუბრუნდეთ ძირითად საქმეს. თუმცა, ვინ იტყვის, რა არის ძირითადი? ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ტურ დე ფრანსი მხოლოდ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაა და არა საერთო ევროპული დღესასწაული? ვინ გაავლებს ზღვარს მის სპორტულ და პოლიტიკურ მნიშვნელობებს შორის?

გინახავთ ორასიოდე მეტრზე გაჭიმული ფერადი ქარავანი? ეს ტურ დე ფრანსია. გინახავთ შეუკაზმავ ცხენებზე ამხედრებული ბიჭების გუნდი, როგორი აზარტით მისდევს ამ ფერად ქარავანს? ესეც ტურია. გინახავთ კილომეტრებზე გაჭიმული, სხვადასხვა ფერის საღებავით აჭრელებული ასფალტი? ესეც მხოლოდ ტურზე ხდება. და როგორ ფიქრობთ, რა ამოძრავებდათ ასფალტის მხატვრებს, საკუთარი სახელების უკვდავყოფა? რა თქმა უნდა, არა. ტურის მთელი სამიათასკილომეტრიანი ტრასა, განსაკუთრებით კი აღმართები, მათი საყვარელი სპორტსმენების სახელებითაა აჭრელებული, ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ გამეორებული. ეს მარტო ტურზე ხდება...

გერმანიის საზღვართან საოცარ სურათს გადავაწყდით. გზიდან მოშორებით, ველზე, ავტომობილებით დაეწერათ: Tour-2002! ერთგან, ეს უკვე გერმანიაში, ფეხბურთის სტადიონის მთელი მინდორი სამფერა ფრანგული დროშით იყო დაფარული. აბა, მითხარით, რომელ პოლიტიკოსს მოუვიდოდა თავში უცხო ქვეყნის პატივისცემის ასეთი სადა და მომხიბლავი ჟესტი! და ხალხი, გზის ორთავ მხარეს ჩამწკრივებული ქალები და ბავშვები, მოხუცები და ახალგაზრდები, ყველგან - ლუქსემბურგშიც, გერმანიაშიც, მერე კი საფრანგეთი იწყება... თუმცა, ეს ყველაფერი წინ გვაქვს, ტური ხომ ეს-ეს არის დაადგა გზას.

სულ რაღაც მეორე ეტაპია და საარბრიუკენს ვუახლოვდებით. პელოტონს სტარტიდან ათი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ სამმა უსახელო სპორტსმენმა შეტევა დაიწყო. წინა წერილში მკითხველს სწორედ ამგვარ სიტუაციებზე შევპირდი დაწვრილებით თხრობას. თითქოს მისმინეს იმ ბიჭებმა და ხელი წამაშველეს.

შეტევის, ანდა, თუ გნებავთ, პელოტონიდან გაქცევის ძირითადი მიზანი ეტაპის მოგებაა. მეტისმეტად თავხედი უნდა იყო, რომ ასეთი რამ ფინიშამდე ას სამოცდაათი კილომეტრით ადრე განიზრახო. მიზეზი სულ უბრალოა. სანამ ველომრბოლი მშვიდად "ზის" პელოტონში, ჰაერის წინააღმდეგობის არარსებობის გამო ენერგიას, ფაქტობრივად არ ხარჯავს. ნებისმიერი ასეთი თავზე ხელაღებულის ჩასაყლაპავად სულაც არ არის საჭირო რამდენიმე ათეული კაცის ძალისხმევა. ხუთი-ექვსი ველომრბოლი, ერთიმეორის მონაცვლეობით, სულ იოლად მოაგვარებს ამ საქმეს.

მაშ, რა აზრი აქვს შეტევას, რომელიც, ადრე თუ გვიან, ფიასკოთი მთავრდება? ის, რომ პელოტონს, მეტისმეტი თავდაჯერებულობის გამო, შეიძლება ჩაეძინოს და თითქოსდა მარცხისთვის განწირული ცდა წარმატებული გამოდგეს. ნაადრევ შეტევას ტაქტიკური მოსაზრებითაც მიმართავენ. ხანდახან ამგვარი შეტევა ყურადღების მოსადუნებლად ესაჭიროებათ. ის მეორე, ნამდვილი შეტევის ერთგვარი პრელუდიაა. ისეც ხდება, რომ ზოგიერთი გუნდი, მეტწილად უპერსპექტივოები, პელოტონიდან გამოყოფას თვითრეკლამისთვის იყენებენ. გაქცეულები გამუდმებით არიან ტელეობიექტივების მხედველობის არეში და რეკლამაც ხომ მეტი არაფერია!

ამგვარად, სამი უსახელო სპორტსმენი შეტევას იწყებს. ერთ მათგანს მომწვანო ფორმა აცვია. ჩვენც სწორედ ის გვაინტერესებს. გვარსახელს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

როცა უკან დარჩა დისტანციის ნახევარი, განსხვავებამ პელოტონსა და გაქცეულებს შორის ხუთი წუთი შეადგინა. ძირითად ჯგუფში საფრთხე იგრძნეს, უფრო სწორად, შეფუცხუნდა "ლამპრე", გუნდი, რომლის წევრიც ლიდერის ყვითელი მაისურით ასპარეზობს. კიდევ ათიოდე კილომეტრის შემდეგ ჩვენს მომწვანო სპორტსმენს კუნთი დაეჭიმა და ჯერ ორი თანამზრახველი მიატოვა, მერე კი, ტკივილით გატანჯული, პელოტონში ჩაიკარგა. ზუსტად ამ დროს მთავარი ჯგუფიდან კიდევ ერთი მომწვანომაისურიანი დაიძრა. აი ის, რაზეც ზევით მოგახსენებდით - "კრედიტ აგრიკოლას" ეს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული. №2 მწვანე საკმაოდ მალე დაეწია წინა ორს და ცოტა ხანში ჩამოიტოვა კიდეც. ამასობაში მდევრის როლი, სავსებით გასაგები მიზეზის გამო, "ტელეკომმაც" იკისრა. საარბრიუკენი ერთადერთი გერმანული ქალაქია, სადაც წლევანდელი ტურის ეტაპის ფინიში მოეწყობა და, თუ არა ერიკ ზაბელმა, კაცმა, რომელსაც ათობით სპრინტერული ფინიში აქვს მოგებული, ვინ უნდა გაიმარჯვოს მისივე მშობლიურ მიწაზე. "ტელეკომი" ხომ გერმანული გუნდია!

ერთი სიტყვით, საქმე ისე წავიდა, რომ ამ ეტაპზე გამქცევებს კარგი არაფერი ელოდათ. როცა მეორეც დაიჭირეს, მწვანეებმა მესამეც გაუყენეს ავანტიურისტთა გზას, მაგრამ არც იმას ელოდა ბედნიერი ფინიში.

როცა გამძვინვარებული პელოტონი ქალაქის ქუჩებში შევარდა, სათავეში გერმანული გუნდი და ერიკ ზაბელი იყო. ფინიშის სწორზე ზაბელს ერთადერთი ტელეკომელიღა უკვალავდა გზას. თითქოს კარგადაც გააქანა თანაგუნდელი და მერეღა ჩამოეცალა გზიდან, მაგრამ ვეტერან გერმანელს, როგორც ჩანს, არ ეწერა გამარჯვება მშობლიურ მიწაზე - ჯერ კვალში მიმავალმა ავსტრალიელმა მაკ'ივენმა გადაასწრო, სულ ბოლო მეტრებზე კი ავსტრალიელის ზურგში მოყუჩებულმა ესპანელმა ფრეირემ იფეთქა...

წუთის შემდეგ ჟურნალისტების ალყაში მოქცეული ბედნიერი ესპანელი დამტვრეული ესპანურ-ინგლისურ-გერმანულით იძლეოდა პასუხებს.

**ტექნიკური შედეგები**

II ეტაპი. ლუქსემბურგი-საარბრიუკენი. 181 კმ.

1. ოსკარ ფრეირე ("მაპეი", ესპანეთი) - 4 სთ. 19 წთ. 51 წმ.
2. რობი მაკ'ივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 4 სთ. 19 წთ. 51 წმ.
3. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერმანია) - 4 სთ. 19 წთ. 51 წმ.

**საერთო ჩათვლა**

1. რუბენს ბერტოლიატი ("ლამპრე", შვეიცარია) - 9 სთ. 18 წთ. 12 წმ.
2. ერიკ ზაბელი - +2 წმ.
3. ლორან ჟალაბერი - +3 წმ.

**საუკეთესო სპრინტერი**

1. ერიკ ზაბელი - 62 ქულა
2. ოსკარ ფრეირე - 57
3. რობი მაკ'ივენი - 56

**მთის მეფე**

1. შტეფან ბერგესი (AG2m, საფრანგეთი) - 26 ქულა
2. ქრისტოფ მენგინი (FDJ, საფრანგეთი) - 23
3. ლუდო დიერკსენსი ("ლამპრე", ბელგია) - 15

**გუნდური**

1. CSC ტისკალი - 27 სთ. 55 წთ. 19 წმ.
2. კოფიდისი - +3 წმ.
3. US პოსტალი - +3 წმ.

# იან ულრიხის ორმაგი ცხოვრება

ნინო პირველი

რა გამოლევს მსოფლიო სპორტში საინტერესო მოვლენებს! სულ რომ გულით გინდოდეს, მოწყენას მაინც ვერაფრით მოახერხებ, იმდენი შესანიშნავი რამ ხდება სპორტულ სამყაროში. ჯერ მარტო ის რად ღირს, მუნდიალი და როლან გაროსი რომ ერთდროულად მიმდინარეობდა და სპორტის იმ მოყვარულებმა, რომელთაც ფეხბურთიც იტაცებთ და ჩოგბურთიც, უბრალოდ აღარ იცოდნენ, რომელ არხზე გადაერთოთ ტელევიზორი. დასრულდა მუნდიალი და დასვენებაც კი არ გვაცალეს, ისე სწრაფად მოგვაჯახეს უიმბლდონის ტურნირი, რასაც, ოდნავ მოგვიანებით, ტურ დე ფრანსიც მოჰყვა. ჰო, მანადე კი იტალიური ჯირო იყო, რომელიც არანაკლებ საინტერესოა ველოსპორტით გატაცებულთათვის.

გერმანელი გულშემატკივრები ალბათ ელოდებოდნენ, რომ წლევანდელი ტურ დე ფრანსი იან ულრიხის ბენეფისად იქცეოდა, მაგრამ... მოკლედ, ვერც კი ჩამოთვლი, რამდენ სპორტსმენს გაუმწარა ცხოვრება ამ დაწყევლილმა დოპინგ-სკანდალმა. 28 წლის იან ულრიხიც აკრძალულ პრეპარატებს ემსხვერპლა. ამაოდ ამტკიცებდა თვალცრემლიანი გერმანელი სპორტსმენი, მხოლოდ სტიმულიზატორის ორი აბი დავლიე და არც კი ვიცოდი, ეს თუ არ შეიძლებოდაო. მისმა ხვეწნაგარეულმა თავის მართლებამ არ გაჭრა და ულრიხს ერთი წლით აეკრძალა ტურნირებში მონაწილეობა.

ამასობაში, ულრიხს ნატკენმა მუხლმაც შეახსენა თავი და გერმანელი სპორტსმენისთვის ცხოვრება კიდევ უფრო უსიამოვნო გახდა. ძნელია ასეთი სტრესის გადატანა, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ გაგიგონიათ. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ დისკვალიფიკაციამ ულრიხს ოჯახის შექმნაში შეუწყოს ხელი. ყოველ შემთხვევაში, მის მეგობარ ქალს, 30 წლის გაბი ვაისს ამის დიდი იმედი აქვს.

იანი და გაბი უკვე შვიდი წელია, ერთად არიან. ამ ხნის განმავლობაში, ულრიხს არაერთხელ მიუყენებია გულისტკენა მეგობარი ქალისთვის, როცა დისკოთეკაზე მარტო წასულა, ანდა მისთვის ღამის გასეირნებების ამბები დაუმალავს. მიუხედავად ყველაფრისა, გაბი მაინც ულრიხის გვერდითაა და მასთან ოჯახის შექმნაც სურს. "ჩვენ ორი შვილი გვეყოლება, ჯვარს კი, ალბათ, სადმე სხვაგან დავიწერთ, გერმანიის გარეთ," - ამბობს გაბი. მაინც სად შედგება ქორწილი, ამერიკაში? იანის ექსცენტრული ხასიათიდან გამომდინარე, ეს სავსებით მოსალოდნელია.

როცა იან ულრიხი კარიერის ზენიტში იყო, ფიქრიც კი არ უნდოდა ქორწინებაზე. მას გაბისთან ერთად ოჯახის შექმნა სურდა, მაგრამ მხოლოდ ველოსპორტიდან წასვლის შემდეგ. ულრიხი, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს დრო ასე მალე დადგებოდა, ის ხომ ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა პენსიაზე გასასვლელად. მაგრამ მოხდა ყოვლად გაუთვალისწინებელი დოპინგ-სკანდალი და ულრიხის სპორტული კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ვინ იცის, როგორ ფორმაში იქნება ულრიხი ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, შეძლებს კი ის ძველი კონდიციების აღდგენას? ეს კითხვა მართლაც ძალიან აქტუალურია სპორტსმენისთვის, რომელსაც მალე ცხოვრების რადიკალურად შეცვლა მოუწევს.



*იან ულრიხი*

REUTERS

აღარც ტურ დე ფრანსი არსებობს იანის ცხოვრებაში, აღარც ჯირო და აღარც სხვა რომელიმე ტურნირი, მან ყოველივე დროებით უნდა დაივიწყოს. ქორწინება, ალბათ, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ულრიხისთვის, მას ხომ ახლა ძალიან სჭირდება ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი. "თუ დავქორწინდებით, ალბათ ამას ჩუმად და უხმაუროდ გავაკეთებთ. არავის შევატყობინებთ ამის შესახებ," - თქვა ერთხელ იანმა. და რაკი ჟურნალისტებმა მისი ახირებულობის ამბავი იციან, სერიოზულად აინტერესებთ, შემთხვევით ხომ არ შედგა უკვე იანის და გაბის ქორწინება ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო?

*ამბები*

## სიკვდილი მონბლანის მთებში

მონბლანის მთებში ორი ინგლისელი მთამსვლელი დაიღუპა. საფრანგეთის ალპებში მდებარე მსოფლიოს უმაღლესმა მწვერვალმა კიდევ ორი სიცოცხლე შეიწირა. ტრაგედია ზღვის დონიდან 4 100 მეტრ სიმაღლეზე მოხდა. წინასწარი ვარაუდით, ინგლისელებს დაზღვევამ უმტყუნა და ისინი 300-მეტრიან ნაპრალში ჩავარდნენ. დაკარგული ალპინისტების გვამები ჯერჯერობით არ უპოვიათ. სამაშველო სამუშაოებს ნისლიანი ამინდი და ძლიერი ქარი ართულებს.

## სეოკ-ი უკმაყოფილოა

2004 წლის ოლიმპიური თამაშები საბერძნეთში უნდა გაიმართოს. ეს ქვეყანა დიდი მონდომებით ემზადება, თუმცა უკანასკნელ დღეებში შეიქმნა სერიოზული პრობლემა. ათენის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა დიდი ხნის წინათ დადგენილ სქემაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რომელიც ახალი სპორტული კომპლექსებისა და სტადიონების მშენებლობა-რეკონსტრუქციას ეხება. ბერძნები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, როგორც თავად აცხადებენ, საბერძნეთში "ნაკლებად პოპულარულ ოლიმპიურ სახეობებს" და, აქედან გამომდინარე, ამცირებენ მომავალი ოლიმპიადის სპორტული კომპლექსების რაოდენობას. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ბერძნები ამ ცვლილებებს თვითნებურად, შეუთანხმებლად ანხორციელებენ. "არც ჩვენ და არც მონაწილე ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტები საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ," - თქვა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დენის ოსვალდმა, - "ბერძნების საქციელი არაკორექტულია. ჩვენ იძულებული ვართ, ჩავერიოთ". საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ცვლილებების შეტანა საერთაშორისო-სარევიზიო კომისიის ვიზიტის დასრულების მეორე დღეს დაიწყო. სეოკ-ი თვლის, რომ ბერძნებმა უბრალო სიტუაციით ისარგებლეს და საერთაშორისო კომიტეტი მოატყუეს. საინტერესოა საბერძნეთის კულტურის მინისტრის, ევანგელოს ვენიზელოსის რეაქცია. იგი აცხადებს, რომ საბერძნეთს ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, უამრავი ძვირადღირებული სპორტული ნაგებობა დარჩება. "ჩვენ არა გვაქვს ასპარეზობის დასრულების შემდეგ ამ ნაგებობების შენახვის საშუალება. ცვლილებები, სწორედ, ამიტომ შევიტანეთ", - თქვა კულტურის მინისტრმა. ცვლილებები სპორტის ისეთ სახეობებს ეხება, როგორებიცაა - ცხენოსნობა, კრივი, ჰოკეი, ბეისბოლი და პენტატლონი.

## ფუჩკა „ინდიანაში" მიდის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბი, "ინდიანა პეისერზი", იტალიის კალათბურთელთა ნაკრებისა და "ბოლონიის" ლიდერის, გრეგორ ფუჩკას ყიდვას აპირებს. ეს იუგოსლავური წარმოშობის იტალიელის, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დამკვიდრების მეორე ცდაა. რამდენიმე წლის წინათ, ფუჩკამ წინადადება მიიღო "ლოს-ანჯელეს კლიპერსისაგან" და ამერიკაში წასვლაზე უარი განაცხადა. "პეისერზი"-ს მიერ შეთავაზებული პირობები კი ფუჩკასათვის მისაღებია. კლუბი მას სამწლიან კონტრაქტს და, ამ ხნის განმავლობაში, 7 მილიონ დოლარს სთავაზობს. გრეგორ ფუჩკას თბილისშიც უთამაშია. 1999 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა სპორტის სასახლეში იტალიელებს უმასპინძლა. ყველაზე უკეთ და შედეგიანად მაშინ, სწორედ, ფუჩკამ ითამაშა.

## მოედანზე ორი ვებერი გავა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრას ცდილობს ცნობილი ვარსკვლავის კრის ვებერის უმცროსი ძმა და, ალბათ, გამოუვა კიდეც. უფროსი "საკრამენტოკინგზში" თამაშობს, უმცროსი დევიდი კი, ფუჩკასთან ერთად, "ინდიანა პეისერზის" ბანაკშია. 22 წლის დევიდი ოთხი წლის განმავლობაში "ცენტრალ მიჩიგანის" უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა და ამ პერიოდში გუნდის საუკეთესო კალათბურთელად ასახელებდნენ. ინდიანელთა მეორე მწვრთნელმა, ბრენდან მელოუნმა დევიდ ვებერს ნებისმიერი მწვრთნელის "ახდენილი ოცნება" უწოდა: "ის საოცარი ადამიანია, თანაც გრძელი ხელები აქვს და დაუღალავად შრომობს. დარწმუნებული ვარ, დევიდი გუნდში დარჩება."

## Uleb-ი Fiba-ს ავიწროვებს

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას ULEB-ის სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. არ გამართლდა ევროპული კალათბურთის მესვეურთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს ლიგა ძლიერ შემადგენლობას ვერ შეკრებდა. გამოქვეყნდა ოფიციალური რეგლამენტი. ULEB-ის ჩემპიონატში 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. 4-4 ადგილი ერგოთ ესპანეთს, იტალიას და საბერძნეთს. 3-3 გუნდით არიან წარდგენილნი საფრანგეთისა და ადრიატიკის (ბოსნია-ჰერცოგინია, ხორვატია, სლოვენია, იუგოსლავია) ძლიერი ლიგები. ორ-ორი ადგილი ერგოთ გერმანიის, ბელგიის და პორტუგალიის კლუბებს. თითო ადგილი კი ისრაელს, რუსეთს, პოლონეთს, შვეიცარიასა და ინგლისს. განცხადების შეტანის ბოლო ვადაა 16 ივლისი, როდესაც კენჭისყრა გაიმართება. 32 გუნდი 4 ჯგუფად დაიყოფა და მომდევნო ეტაპზე 4-4 საუკეთესო გავა. მერვედ, მეოთხედ და ნახევარფინალური პლეი-ოფი მიმოსვლით ჩატარდება და ორ მოგებამდე გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ის კლუბები, რომლებიც უარს იტყვიან ამ ტურნირში მონაწილეობაზე, სამუდამოდ კარგავენ შანსს ითამაშონ ევროპის უძლიერეს საკალათბურთო ტურნირში, ევროლიგაში. ამავე დროს, თუ ULEB-ის თასი მოიგო იმ ქვეყნის გუნდმა, რომელიც უკვე წარდგენილია ევროლიგაში, კლუბი მაინც მოხვდება ევროპის უძლიერესთა შორის. Fiba-ს მიერ სახელდახელოდ შექმნილ ოქროს ლიგაში თამაშის სურვილი კი, ჯერჯერობით, მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის ნაკლებად ცნობილმა კლუბმა გამოთქვა.

## პინტუსევიჩმა იუბილე აღნიშნა

ცნობილმა მორბენალმა, ოცდაათი წლის უკრაინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ჟანა პინტუსევიჩმა, რომელიც იგნორირებას უკეთებს "ოქროს ლიგას", საკუთარი დაბადების დღე წარმატებით აღნიშნა. საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე გამართულ მძლეოსანთა ტურნირზე პინტუსევიჩმა 100 მეტრი 10 წამსა და 84 მეასედში გაირბინა, რითაც სეზონის საუკეთესო დრო უჩვენა. მომდევნო სტარტი უკრაინელს, 20 ივლისს, ბელგიაში ელის.

## შტეფი გრაფმა სეზონი დაასრულა

ავსტრიის მძლეოსნობის ფედერაციის ცნობით, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, 800 მეტრზე სირბილში, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა შტეფი გრაფმა სეზონი ავადმყოფობის გამო დაასრულა. ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელის სეხნიამ განაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 6-11 აგვისტოს მიუნხენში უნდა გაიმართოს. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა გრაფს ნერვის იშემიური ანთების დიაგნოზი დაუსვეს და სირბილი სექტემბრამდე აუკრძალეს.

## კრივის მორიგი მსხვერპლი

პროფესიულმა კრივმა კიდევ ერთი სიცოცხლე შეიწირა. ბრძოლის დროს მიღებული მრავალი დარტყმის შედეგად, გონსმოუსვლელად გარდაიცვალა 29 წლის არგენტინელი პროფესიონალი მოკრივე, ჰუგო ბენჯამინი. მან თავისი მორიგი ბრძოლა, თანამემამულე სესარ რომეროსთან ტექნიკური ნოკაუტით წააგო. მეშვიდე რაუნდში, რომეროს დარტყმის შემდეგ, ბენჯამინი რინგიდან გადავარდა, თავით იატაკზე დაეცა. მან გონება ბრძოლის დასრულებიდან რამდენიმე წუთში დაკარგა, კომაში ჩავარდა და ჰოსპიტალში გარდაიცვალა. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო კრივის მოწინააღმდეგეთა კიდევ ერთი საპროტესტო ტალღის აგორებას. კვლავ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ დიდი ფულის შოვნის მიზნით, ბრძოლების ორგანიზატორები არაფრად აგდებენ მოკრივეთა სიცოცხლეს. ეს უკანასკნელი, სამი თვის განმავლობაში, რინგზე სიკვდილის მესამე შემთხვევაა.

პრეს-პიესა

# "ივერიის" რედაქციაში

## რაღაც თვალსაზრისით, ისტორიული პიესა

ლაშა ბუღაძე

**მოქმედი პირნი:**
**რედაქტორი**
**ახალგაზრდა პოეტი**
**ვალიკო მიროტაძე**
**და სხვ.**

სცენა I

*რედაქტორის კაბინეტი. შუადღე. ასე, 1897-1900-1907 წელი. რედაქტორი საწერ მაგიდას უზის. ისმის კაკუნი.*

**რედაქტორი.** ვაჰ, სოფელო! მაინც რა ხალხი ვართ ეს ქართველები - ერთ წუთსაც არ მოვასვენებთ ერთმანეთს. მობრძანდით!

*შემოდის ახალგაზრდა პოეტი - შავტუხა, უწვერო, თუმც უკვე ისტორიული ულვაშით.*

**რედაქტორი.** რა გნებავთ, ახალგაზრდავ?

**პოეტი.** *(ლაპარაკი უჭირს)* ისა... ია ხატელ... ხო. ვოტ ეტა... *(ჯიბიდან ოთხად გაკეცილ ფურცელს ამოიღებს)* ლექსი დავწერე და...

**რედაქტორი.** აჰა, მაშ მელექსე ყოფილხართ. ფრიად სასიამოვნოა. მაინც რა ხალხი ვართ ეს ქართველები - ლექსების წერა არასოდეს გვბეზრდება.

**პოეტი.** ძალიან... ეტა... მრცხვენია, მაგრამ... ნამეცკო-ფაშისტსკიე ტანკი...

**რედაქტორი.** ბოდიში. ვერ გავიგე?!

**პოეტი.** ვნერვიულობ და ამიტომ ია... სამ ნე ზნაუ შტო გავარიუ...

**რედაქტორი.** დამშვიდდით, გეთაყვა, მე გისმენთ... მაინც რა ხალხი ვართ ეს ქართველები - როცა ამის საჭიროება არ არი, მაშინ ვნერვიულობთ სწორედ!

**პოეტი.** თქვენი აზრი... ისა... მეინტერესება ჩემ იმაზე... ლექსზე, ხო...

**რედაქტორი.** სად სწავლობთ, ყმაწვილოვ? და სწავლობთ კი სადმე?

**პოეტი.** კით... სასულიერო ვ ეტომ... სემინარიაში.

**რედაქტორი.** მერე და, იქ არ გასწავლიან გამართულ ლაპარაკსა? მაინც რა ხალხი ვართ ეს ქართველები - გიმნაზიებსა და სემინარიებში ვჰსწავლობთ, მაგრამ მეტყველების კულტურა კი არა გვაქვსთ! აბა, პოეტოვ, ნუღა აყოვნებ, წამიკითხე ლექსი ეგე.

**პოეტი.** სულ სამ... იმიანია. რა ქვია? - სტროფიანი... მაგრამ მე ჯერ მხოლოდღა ორი დავწერევი...

**რედაქტორი.** ნაღდი იყოს და, თუნდაც - ორი. მაინც რა ხალხი ვართ ეს ქართველები! სულ მეტი და მეტი გვინდა.

**პოეტი.** *(ჩაახველებს, კითხულობს)*

კოკორმა ვარდი გაფურჩქნა
და მერე გადაეხვია ის.
ზამბახსაც რომ გაეღვიძა
თავი დაუქნია ნიავს.



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

ქვეყანაც ტურფასავით აყვავდა,
გაიხარა ივერიამ,
და ქართველმაც ისე ისწავლა
სულ გადარია ყველა.
იყო არაბეთს როსტევან,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო.

**რედაქტორი.** *(დუმილის შემდეგ)* ბოლო ორ სტრიქონს არა უშავს რა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე მოსმენილ-წაკითხული მაქვს. რაც შეეხება პირველ ორ სტროფსა - პატარა წამუშავება სჭირდება და მის დაბეჭდვასაც შევსძლებთ.

**პოეტი.** ბოდიში, მაგრამ... მე მგონია, რომ... ეტატ ლექს უჟე, ამ სახით ისა... სრულყოფილურია.

**რედაქტორი.** ზედმეტად თავდაჯერებული სჩანხართ. ეს კარგი თვისებაა, მაგრამ ზოგჯერ უშედეგო. მაინც რა ხალხი ვართ ეს ქართველები - გვირჩევნია ახლავე დავბეჭდოთ და ცუდი ლექსი იყოს, ვიდრე ხვალისთვის გადავსდოთ საქმე ესე და ლექსიც სასიამოვნოდ საკითხავი გამოგვივიდეს.

**პოეტი.** ესე იგი, არ დამიბეჭდავთ... ვ ტაკომ ვიდე?

**რედაქტორი.** არათუ - არა, ვერა, ახალგაზრდავ.

**პოეტი.** *(ჩურჩულით)* რასტრელაიუ.

**რედაქტორი.** ბატონო?

**პოეტი.** ნიჩაგო, ნიჩაგო... არაფერი.

**რედაქტორი.** თქვენ ნუ იღელვებთ. რედაქციაში ერთი მელექსე გვყავს - ცუდი ლექსისაგან შედევრი გამოჰყავს, ისეთის ოსტატობით უდგება ყოველ სიტყვასა. ემაგ თქვენს თხზულებას... ხი-ხი... ერთს წუთშიდ გამოგიკეთებთ. *(დაიყვირებს)* ვალიკო!.. ვალოდი!

*შემოდის დაბალი, ჩასუქებული მამაკაცი.*

გაიცანით - ვალიკო მიროტაძე, მელექსე.

**პოეტი.** *(ხელს ჩამოართმევს ვალიკოს)* კობა.

**რედაქტორი.** ვალიკო, ჩვენმა ახალგაზრდა პოეტმა ლექსი დაწერა, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო არ იკითხება, დაეხმარე ერთი შენებურად და პატივისცემა ჩემზე და ოლღაზე იყვნეს.

**ვალიკო.** ოჰ, რავა გეკადრებათ, გრიგორიჩ! ამაზე ვარს რაფრა გეტყვით? მომეცით ლექსი, ბიჭიკოვ, კობა ჩემო.

*პოეტი ფურცელს მიაწოდებს, ვალიკო საწერ მაგიდას მიუჯდება.*

უფ! სეკუნდი უნდა ამას, სეკუნდი! *(ფრთას მოიმარჯვებს, წერს)*

**რედაქტორი.** *(პოეტს)* ხომ გეუბნებოდი, ერთ წუთში მოაგვარებს-მეთქი ყველაფერს.

**ვალიკო.** მზადაა, გრიგორიჩ. ბოლო ორი სტრიქონი არ გავმართე მხოლოდ, ბოდიში და, გასაგებ მიზეზთა გამოისობით.

**რედაქტორი.** აბა, წაგვიკითხე!

**ვალიკო.** "კოკორმა ვარდი გაფურჩქნა და მერე გადაეხვია ის" ასე გადავაკეთე: *(კითხულობს)*

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვეოდა იასა... *(პაუზა)* მერე კობას ასე აქვს: "ზამბაზსაც რომ გაეღვიძა, თავი დაუქნია ნიავს". ჩემი შესწორება კი ასეთია: *(კითხულობს)*
ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უქნევდა ნიავსა.

ხოლო, მეორე სტროფს მთლად ლიწინ-ლიწინით ჩავუყევი, გრიგორიჩ: *(კითხულობს)*

აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
იხარე ივერთ მხარეო,
და შენც ქართველო სწავლითა
სამშობლო გაახარეო.

**რედაქტორი.** ჰა, კობა, რას იტყვი? ხომ უკეთესია?

**პოეტი.** ახლა დაბეჭდეთ და დანარჩენი მე ვიცი.

**ვალიკო.** ამ ლექსზე კაი სიმღერის დაწერაც შეიძლება, გრიგორიჩ!

სცენა II
ჯოჯოხეთში

*წარსულში პოეტი, აწ სტალინის სული - დაკითხვაზე ეშმათა მეუფესთან.*

**ეშმათა მეუფე.** სულ რამდენი კაცი გყავს დანახვრეტი, კობა?

**სტალინის სული.** *(დინჯად, ბავშვური გულწრფელობით)* მილიონტრისტა.

**ეშმათა მეუფე.** ვინმეზე თუ გწყდება გული?

**სტალინის სული.** კი, ერთის დახვრეტა ვერ მოვასწარი, მანამდე გარდაიცვალა. ვალიკო იყო ასეთი, მიროტაძე, ბოდიში მომითხოვია და, მელექსე. მარტო მაგან და კიდე ერთმა კაცმა იცოდა ჩემი საიდუმლო...

**ეშმათა მეუფე.** როგორ წამებას ინებებ, კობა?

**სტალინის სული.** "ლენინიზმის საკითხები" წამიკითხეთ.

სცენა III
სამოთხეში

*ქართველ პოეტთა პარნასი:*
*ღრუბელზე სხედან - შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი...*
*და ვალიკო მიროტაძე.*

ფარდა

იაპონური კროსვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანდინავიური კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** კარელია; ლიბიდო; სელი; ლავსანი; ნინო; კონტაქტი; მაშა; არმატურა; პემზა; ირანი; ტრელაჟი; ძოწი; ფაილი; სენი; ნაიკი; ენკი; ოპალი; წრიაპი; რემონტი; აზურიტი; ქატო; ლამარია; მელომანი; ლიფტი; ფსალმუნი; გიო; ბოტი; ქვირითი; ონტარიო; ციცერონი; პიკასო; ტამპერე; ალიანსი; ლიბია.

**შვეულად:** კალასი; ქორფა; პასტარი; გრადუსი; კნესეტი; პელოტა; დინამო; კლიმატი; ნემო; ქურანი; ლუტეცია; პალიტრა; ეტალონი; იანძი; ნიზამი; ალვა; იოკო; ქლესა; წიპწა; ბანკეტი; გრიმი; ჩინი; ქლიავი; ფრონტი; უდინეზე; აიაზმა; ფინია; ალფა; დიროლი; იასპი; ალჟირი; შვილი; ეტრატი; იორი; იფარი; კიოტო.

N 36 იაპონური კროსვორდის პასუხი



TV პროგრამა 10 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჯაშუშური თამაშები" მთ. როლებში: ბრედ პიტი, რობერტ რედფორდი

### პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვილეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 ბავშვთა უფლებების კონვენცია
14.25 "ჩვენი მისამართია"
15.15 მხ. ფილმი "ეძებეთ ქალი"
16.30 ჯანმრთელობა
16.50 თბილისის დროით
17.15 50-50
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ნუგზარ გამგებელი თბილისში
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.45 ეკოდაიჯესტი
22.10 ტელე-სინე-ვიდეო
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "ექვსი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "უხამსი წინადადება"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "თეთრი ქარავანი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 საუბრები მწვანე ბუხართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა
21.30 თინეიჯერი
22.30 მსოფლიო სპორტი
23.30, 00.30 მხ.ფ. "ამერიკის საყვარლები"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 ალსავალი
08.20, 10.00, 11.55, 20.20, 21.55, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "მოხუცი ნედის სიურპრიზი"
10.10 ძველი კინო_მხ.ფ. "ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები"
20.25 მხ.ფ. "ლამაზი არსებები"
22.10 მხ.ფ. "თავისუფლების სიმაღლეები"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით
11.45 "კლიპები შეყვარებულთათვის" განმეორებით
13.15 მხ.ფილმი
15.00 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "სან-ფრანცისკოში გადაკარგული"
19.00 მუსიკა
20.00 ვიდეო-რადიო
22.00 მიქს-20
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ჩიზემი". მთ. როლში ჯონ უეინი
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "ერთი ნახვით" მთ.როლებში ველ კილმერი, მირა სოლვინო
04.15 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "12 მაიმუნი"
14.00 მხ.ფ. "მამაცი გული"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "მიზერი"
19.20 საექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.00 მხ. ფილმი "ჯერი მაგუაიერი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" 1-ლი სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 1-ლი სერია
10.15, 17.05, 20.15, 23.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.ფილმი "მისს კონგენიალობა"
12.20 დოკ. ფილმი "ეს სანახაობა"
13.10 დისქავერი
14.45 "მთავარი თემა"
15.30 მხ. ფილმი "მილიონერი მაკი" რეჟ. მარიო ანდრაჩო მთ. როლში ჯეიმს კროფტი
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-2 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-2 სერია
18.45 მხ. ფილმი "იდეალური სათამაშო" მთ. როლებში: კინს ლოუპერი, ტაირა ბენქსი
20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა"
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "სასიყვარულო ცეკვა". მთ. როლში ანაბელ ბიში, კამარ დელოსრეისი, დენიკ კოლგროუვი
00.40 მხ.ფ. "ნიჭიერი მისტერ რიპლი". მთ. როლებში მეტ დეიმონი, გვინეტ პელტროუ

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 კომედია "კიკუჯირო"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მელოდრამა "შეშლილი გმირები"
13.40 "რა არ ხდება"
14.00 კომედია "მწვანე ბარათი"
16.15 მულტფილმი
17.00 თრილერი "ძველი თოფი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 ისტორიული ფილმი "კანარის პრინცესა"
20.45 ქართული ფილმი "უკანასკნელი ჯვაროსნები"
22.50" Пресс-папье"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.10 კრიმინალური კომედია "შურისძიების გეგმა"
03.30 დრამა "ტყუილი"
05.20 მუსიკა

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მოკლედ... სპორტი
10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
10.55 მუსიკალური ბიორითმი - "სფაის გელზი"
11.25 "პაემანი" (განმეორებით)
12.20 მულტსერიალი
12.35 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.40 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
13.10 დინეიე და მისი მეგობრები
13.30 "სახლიდან გაუსვლელად"
14.15 სპორტი
14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.00 მუსიკალური ტაიმაუტი
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 "ლა-ლა-ლა"
21.20 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.55 მოკლედ... სპორტი
22.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.10 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "გაქცეული პატარძალი" ა.შ.შ. 1999 წელი. კომედია. რეჟისორი - ჰარი მარშალი. როლებში: ჯულია რობერტსი, რიჩარდ გირი.
00.00 პრესის მიმოხილვა
00.15 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.10 მუსიკალური ბიორითმი - "სფაის გელზი"
01.35 მხ.ფ. ჟანრებში: - "დანტეს პიკი" ა.შ.შ. 1997 წელი. სათავგადასავლო. რეჟისორი - როჯერ დონალდსონი. როლებში: პირს ბროსნანი, ლინდა ჰამილტონი.
03.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
07.40, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "семейные узы"
11.10 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ"
11.05, 14.55, 17.35 "ЕРАЛАШ"
12.15 Программа "100%"
12.35 Следствие видет Коломбо
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.10 "Приказано расстрелять"
15.00 "Народ против". Телеигра.
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.40 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.50 "САЛОМЕЯ"
20.15 х.ф. "ВЫСОТА"
22.00 Время.
22.35 "Слабое звено"
23.25 "Форс-Мажор" с Николаем Фоменко.
00.00 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 "16-й отдел".
02.25 "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

### РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 8.40, 17.45 Афиша
07.40 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Москва- Минск.
10.10 Док. сериал "Это - голивуд!"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "БЫТЬ ЛИШНИМ"
14.15 Мульфильм.
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
18.20 Футбол. СПАРТАК - ЗЕНИТ
20.00 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
22.50 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, КРАЖА ДРАГОЦЕННОСТЕЙ"
00.00 Вести - Подробности
00.30 "Клуб сенаторов"
01.15 х.ф. "ПОЧТИ ЧТО МЕРТВАЯ"
03.00 Горячая десятка

### НТВ

1.40 "О, СЧАСТЛИВЧИК!" Азартная игра
2.15 "ПОСЛЕДНИЙ ОТСЧЕТ" триллер
7.00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
9.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ДВОЙНАЯ ИГРА"
11.00,
15.00,
17.00,
23.00 СЕГОДНЯ
11.20 Прогноз погоды на завтра
11.25 "КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ" "ЛОХОТРОНЩИКИ" 2-я серия
12.00 "КВАРТИРНЫЙ ВОПРОС"
12.35 "СРЕДА" экологическая программа
13.00 СЕГОДНЯ информационная программа
13.20 "КРУЖЕВА" сериал
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня - "СТЕРПИТСЯ - СЛЮБИТСЯ"
16.40 "КРИМИНАЛ"
17.30 "ОСОБЫЙ СЛУЧАЙ" криминальный сериал. Сегодня - "ВОЛЧЬЕ ЛОГОВО"
18.40 "ГРЯЗНАЯ РАБОТА" боевик. США
19.40 "КРИМИНАЛ"
20.00 СЕГОДНЯ с Петром Марченко
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ПОГОНЯ ЗА ПРИЗРАКОМ"
21.45 "ОСОБЫЙ СЛУЧАЙ" криминальный сериал. Сегодня - "УБИТЬ, ЧТОБЫ ВЫЖИТЬ"
23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ - 4" сериал. США

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71 | იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში